8(05)
380

# მ ო ა მ ბ ე

ოვიური ჟურნალი

წელიწადი მეათე

№ IX – 10. 11.

ს ე ძ ტ ე მ ბ ე რ ი, 1903

ინვ. P-133395/2 ~~115~~

ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА

С.Ь.В.
Ц.Н.Б.

ტფილისი
ადმინ. ეროვ. ბიბლიოთეკის ტიპ. (ერეკლეს ქუჩა, № 1—ბა).
1903

Дозв. ценз. 30 Октября 1903 г., Тифлисъ.

# შინაარსი


ბმ.

I—**გლეხი კაცი.**—რომანი ვილჰელმ ფონ-პოლენცისა, თარგმანი იგ. პოლუმორდვინოვისა . . . . . 1

II—**მსხვერპლი.** კომედია სამ მოქმედებად, ალფ. დოდესი, თარგმანი ინ-ანისა. . . . . 46

III—**ქვათახევის მონასტრის გუჯარი.**—წარმოდგენილი ტარასისაგან . . . . . 1

IV—**მთავროგის განკარგულება** . . . . 37

V—**უცხოეთის მიმოხილვა.**—1. შორეა აღმოსავლეთი.—2. ბალკანეთი.—3. ახალი საერთაშორისო მდგომარეობა.—4. დრეზდენის პარტაიტაგი.—5 ერთი სამრეწველო დაწესებულება. 43

# გლეხი-კაცი

(რომანი)

ვილჰელმ ფონ-პოლენცასა

ლევ. ტოლსტოის წინასიტყვაობით.

## წინასიტყვაობა

შარშან ერთმა ჩემმა ნაცნობმა მირჩია, ფონ-პოლენცის რომანი „ბიუტნერბაუერი“ წაიკითხეო. წავიკითხე და სწორედ გამიკვირდა, რომ ამისთანა მშვენიერი ნაწარმოები თითქმის ორი წელიწადია, რაც დაბეჭდილა და მაინც ჯერ თითქმის არავის წაუკითხნია.

ეს რომანი იმ თაღლით და ყალბ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, რომელთა რიცხვი ამ ბოლო დროს აუარებელია ჩვენში. იგი არ ეკუთვნის ყოველ ინტერესს მოკლებულ შემთხვევათა და პირთა აღწერათ, რომელნიც მხოლოდ ავტორის გამოცდილებით და მოთხრობების ტეხნიკის ცოდნით და არანიჭით და შემოქმედებითის ძალით არიან ხოლმე შექმნილნი; არც დრამისა და რომანის ფორმით დაწერილ დისერტაციას წააგავს, რომელიც სხვის ბრძანებით დაწერილს ჰგავს და ჩვენ დროში-კი ნიჭიერად დაწერილ მოთხრობის სახელით საღდება საზოგადოებაში; იგი არც იმ მოთხრობებს ეკუთვნის, რომელთაც ამ ბოლო დროს დეკადენტურს ეძახიან და რომელნიც მხოლოდ იმიტომ მოსწონს მკითხველ საზოგადოებას, რომ ავადმყოფის ბოდვას წააგვანან და ნამდვილად კი რაღაც რე-

ბუსს მოაგონებენ ადამიანს, რომელთა ახსნა-განმარტვა სასია მოვნო საქმედ მიაჩნიათ ჩვენში და მაღალ გემოვნების ნიშნად ითვლება.

ეს რომანი არც ერთს, არც მეორეს და არც მესამე კატეგორიას არ ეკუთვნის და წარმოადგენს იმ ხელოვნურ ნაწარმოებს, რომელშიაც ავტორი იმიტომ ამბობს იმას, რის თქმაც სურს, რომ მეტად ძლიერ უყვარს ის, რასაც მოგვითხრობს და გადმოგვცემს ყველა ამას ცივი მსჯელობითა და ამოცანებით კი არა, არამედ პოეტიურის სურათებით, მაგრამ იმ ფანტასტიურ, არაჩვეულებრივ და გაუგებარ სურათებით კი არა, რომელნიც მხოლოდ მეხანიკურად არიან ხოლმე შეერთებულნი და დაკავშირებულნი, არამედ ყოვლად ჩვეულებრივ, უბრალო პირთა და შემთხვევათა აღწერით, რომელნიც შინაგან, ხელოვნებითი უეჭველობით და ნიჭით არიან დაკავშირებულნი.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ფონ-პოლენცის რომანი ნამდვილ ხელოვნებით ნაწარმოებს წარმოადგენს. გარდა ამისა იგი იმ ჩინებულ ხელოვნებით ნაწარმოებთაგანს ეკუთვნის, რომელსაც მაღალ ნიჭიერ ნაწარმოებთა სამი უდიდესი ღირსება მშვენივრად მოუთავსებია და ერთმანეთისთვის დაუკავშირებია.

პირველი, რომ შინაარსი დიადი აქვს, რადგან გლეხების, ესე იგი უმეტესობის ცხოვრებას, შეეხება, იმ უმეტესობის, რომელიც ყოველ საზოგადოებრივ წეს-წყობილების ნიადაგს და საფუძველს წარმოადგენს და რომელიც ჩვენ დროს ყველგან, გერმანიაშიც და ევროპის სხვა ქვეყნებშიც მრავალ საუკუნოვან წყობილებას იცვლის. (ღირსშესანიშნავია, რომ „ბიუტნერბაუერის“ გამოსვლის დროს, საფრანგეთშიც დაიბეჭდა იმავე მიმართულების და დედა-აზრის ნაწარმოები, რომელიც ამ რომანზედ უფრო დაბლა სდგას ხელოვნებითის მხრივ და რომელსაც ფრანგულად Réné Bazin „La terre qui mentt“ ჰქვიან).

მეორე, ეს რომანი დიდის ნიჭით და ჩინებულის გერმანულის ენით არის დაწერილი, მით უმეტეს იმ ადგილებში,

სადაც ავტორი გამოყვანილ პირთ მდაბიურის, მუშურ „პლატ-ფეიჩით“ ალაპარაკებს.

და მესამე, ეს რომანი მთლად გაჟღენთილია იმ ხალხის და პირთა სიყვარულით, რომელთა დასურათება და დახასიათება მას კისრად უდვია.

მაგალითად, რომანის ერთ თავში ავტორი აგვიწერს ქეიფისა და სიმთვრალის შემდეგ ქმრის დაბრუნებას ოჯახში, თავისს ცოლთან. ცოლი გამოიხედავს ფანჯარაში, სცნობს ქმარსა, ლანძღავს და ძალად აგვიანებს კარების გაღებას. მაგრამ როცა ბოლოს მაინც გაუღებს და მთვრალი ქმარი დიდ ოთახში მოინდომებს შესვლას, სადაც ბავშვებსა სძინავთ, ცოლი წინ აღუდგება და ხელსაც კი ჰკრავს ქმარსა, რადგან არ უნდა, რომ შვილებმა მამა მთვრალი დაინახონ. მაგრამ გონებადაბნეული ქმარი კარებს ჩაებლაუჭება და ცოლს ეჯიჯგინება. ჩვეულებრივ ჩუმი და დინჯი ადამიანი, ის უცბად აფთრდება (გაშმაგების მიზეზი ის არის, რომ წინა დღეს ცოლმა ბატონებისაგან ნაჩუქარ ფული ამოაცილა ჯიბიდან და სადღაც დაუმალა), ჩააფრინდება ცოლს თმაში და უბრძანებს ფულის დაბრუნებას.

— არ მოგცემ, რომ მოკვდე, არ მოგცემ!—ეუბნება ცოლი და თან სცდილობს ქმრის კლანჭებიდან როგორმე გაინთავისუფლოს თავი.

— მეც მოვკვდები და მაინც არ მოგცემ,—უმეორებს ცოლი.

— მომცემ!—ჰღრიალებს ქმარი, წააქცევს ცოლსა და თითონაც ზედ ეცემა. პასუხს რომ ვერ მიიღებს თავისს თხოვნაზედ, გონება დაკარგული სცდილობს დაარჩოს ცოლი. მაგრამ, ცოლის სახეზე სისხლს მოჰკრავს თუ არა თვალსა, შეჩერდება, რადგან ახლად ჩანადენი საქმე შეეზარავს და ფარფატით ძლივ-ძლიობისას ლოგინამდის მივა და ზედ დავარდება.

მართალი და საზარელი სცენაა. მაგრამ ავტორს თავისი გმირები უყვარს და ერთ იმისთანა რამეს დასძენს, რაც კაშკაშა მზესავით ანათებს ყველაფერს და არა თუ სიბრალულს ულვიძებს მკითხველს მათდამი, აყვარებს კიდეც, მიუხედავად

იმისა, რომ ისინი სასტიკნი და თავხედნი არიან. ნაცემ-ნატყეპი და დასისხლიანებული ცოლი გონს მოდის, წამოდგება, ჯერ ატირებულ ბავშვებს ამშვიდებს და მერე ქმარს ეძებს თვალით. ქმარი ისევ ისე გდია საწოლზე, როგორც პირველად დაეგდო, მხოლოდ თავი გადმოვარდნია და სისხლით ევსება. ცოლი მიუახლოვდება, ფრთხილად გაუსწორებს თავსა, ქვეშ ბალიშს ამოუდებს და მხოლოდ მაშინ გაისწორებს ტანთსაცმელს და თავიდან ამოგლეჯილს თმის ბღუჯას მოიშორებს.

ორმოცი და სამოცი ფურცელი მსჯელობა ვერ იტყოდა იმას, რაც ამ პატარა ამბავმა სთქვა. აქ ცხადზე უცხადესი ხდება მკითხველისათვის გადმოცემით აღზრდილ ცოლქმრობის მოვალეობის შეგნება და გადაწყვეტილების ბოლომდის მიყვანის სურვილი, გადაწყვეტილების—რომ არ მივცე ფული, როცა ის ოჯახისთვის საჭირო არისო; აქ წყენაც არის და ცემის პატიებაც, სიბრალულიც და თუ ნამდვილი სიყვარული არა, უწინდელი სიყვარულის მოგონება მაინც; ან არა და თავისი ბავშვების მამის სიყვარულისა. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ეს პატარა ამბავი მარტო ამ ცოლ-ქმრის ცხოვრების შინაგან მხარეს კი არ ანათებს, ის ანათებს და აშკარად ჰყოფს სხვა, ბევრ მილიონ ცოლ-ქმრის ცხოვრებასაც, რომელთაც უწინ უცხოვრიათ და ახლაც სცხოვრობენ; აშკარად ჰყოფს იმათ ცხოვრებას და არამც თუ პატივის-ცემას და სიყვარულს უნერგავს მკითხველს გულში ამ შრომით წელში გაწყვეტილ ხალხისადმი, აფიქრებს კიდეც იმაზე, თუ რისგან არის, რომ ჯანით თუ სულით საღი და ტკბილი, სიყვარულით ცხოვრების მოყვარული ხალხი ასე დავიწყებულნი, უმეცარნი და უვიცნი არიანო?

ამისთანა ჭეშმარიტი ხელოვნური სურათები ერთი და ორი არ არის ამ რომანში. თავისი გმირების სიყვარულით გატაცებული ავტორი თითქმის ყოველ თავში, რომანის ყოველ ნაწილში იძლევა ამისთანა მშვენიერ და ხელოვნურ სურათებს.

ეს რომანი, ეჭვი არ არის, ხელოვნების ჩინებული ნაწარმოებია და ამაში, მე მგონი, ყველა დამეთანხმება, ვინც

კი წაიკითხავს. მიუხედავად ამისა, აგერ სამი წელიწადი იქნება, რაც ეს რომანი ცალკე წიგნად გამოვიდა და ამაზე უწინ »ვესტნიკ ევროპა“-შიც კი იბეჭდებოდა და მაინც შეუნიშნავად და უმნიშვნელოდ ჩაიარა ჩვენს რუსეთშიაც და გერმანიაშიაც. მე გერმანიის რამდენიმე ლიტერატორს დავეკითხე ამ რომანის შესახებ, მაგრამ არც ერთ მათგანს ეს რომანი წაკითხული არა ჰქონდა, თუმცა ავტორის სახელი კი გაგონილი ჰქონდათ. არ ჰქონდათ წაკითხული ეს რომანი მაშინ, როდესაც ზოლას უკანასკნელ რომანებს, კიპლინგის ამბებს, იბსენის დ' ანუნციოს და მეტერლინკის დრამებსაც კი მშვენივრად იცნობდნენ.

ამ ოცი წლის წინად, მეტიუ არნოლდმა კრიტიკის დანიშნულების შესახებ ჩინებული წერილი დასწერა. იმის აზრით, კრიტიკის დანიშნულება ის არის, რომ ყველაფერში, საცა და რაც კი უნდა იყვეს დაწერილი, უმთავრესი და კარგი მხარე აღმოაჩინო. და ამ მხარეებზე მიუთითოს მკითხველ საზოგადოებას.

ამ გვარი კრიტიკა ჩვენ დროს, როცა გაზეთებისა, წიგნებისა და ჟურნალების წარღვნაა სწორედ და ასე უმსგავსად არის გავრცელებული რეკლამა, არა თუ საჭიროა, მე მგონი, ამ გვარ კრიტიკაზეა დამოკიდებული განათლების წინ მსვლელობა და მომავალი.

მეტის-მეტობა არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს იმისთანა საგნებისა, რომელნიც მიზანს კი არა სახსარს, ხერხს წარმოადგენენ. მაშინ კი, როცა ხალხი ამ ხერხს მიზნად მიიჩნევს, ხომ მეტის-მეტად მავნებელია.

ცხენები და ეტლები, როგორც სამგზავრო სახსარი, ტანთ საცმელი და სახლები, როგორც სიცივისა და სიცხისაგან დამფარველი ნივთები და კარგი საჭმელი, როგორც ჯანის შემმაგრებელი, მეტად სასარგებლონი არიან, მაგრამ შეხედავს თუ არა კაცი იმათ, როგორც მიზანს, როცა იმას ბევრი სახლის, ცხენის და ეტლების ქონება ტრფიალების საგნად გადაექცევა, ეს საგნები არა თუ თავისს სარგებლობას ჰკარგავენ, პირიქით, მავნებლებიც კი შეიქმნებიან ხოლმე. სწორედ ეს ბედი ეწი

წიგნების ბეჭდვის საქმეს ევროპის შეძლებულ საზოგადოებაში. წიგნების ბეჭდვა, კარგი და სასარგებლო საქმე ნაკლებად განვითარებულ და განათლებულ საზოგადოების ნაწილისთვის, შეძლებულ ხალხთა წრეში დიდი ხანია უმეცრების გამავრცელებლად გამხდარა.

ამაში დარწმუნება ძნელი არ არის. წიგნები, ჟურნალები და მით უმეტეს გაზეთები ჩვენ დროს ფულის მოსაგებ სახსრად გადაქცეულან, რომელთათვის საჭიროა, რაც შეიძლება, მეტი გამსაღებელი ჰყავდეთ. უმეტესი ნაწილის გემოვნება და ინტერესები კი ყოველთვის მდაბალი, ტლანქი და უშვერია ხოლმე, აბიტომ წიგნების გამომცემლობის კეთილდღეობისთვის საჭიროა, რომ ეს წიგნები უმეტეს ნაწილის გემოვნებაზე იყვნენ დაწერილნი, ესე იგი უნდა ეხებოდნენ მდაბალ, ხშირად უზნეო კითხვებს, ინტერესებს და ტლანქ გემოვნებაზე უნდა იყვნენ აგებულ-აშენებულნი. პრესაც ყურ-მოჭრილი მონა შექმნილა ამ მოთხოვნილებისა, რადგან ერთი—იმის ხელთ არის ეს საქმე და მეორეც—პრესის მუშაკთა შორისაც ამისთანა მდაბალ გემოვნების, ტლანქ და უხეშ შეხედულობის პირნი უფრო უმეტესობას შეადგენენ, ვიდრე მაღალ ინტერესებით გატაცებულ და განვითარებულ გემოვნების პატრონნი. და რადგან წიგნების ბეჭდვის გავრცელებით და მათი ვაჭრობის წყალობით ავტორნი კაი ფულს იძენენ, დღითი-დღე, ისედაც აუარებელი დაბეჭდილი ქაღალდი, უფრო მატულობს და შინაარსზედაც რომ არა ვსთქვათ-რა, მარტო თავისი სიმრავლით განათლების დამაბრკოლებელ მიზეზად ჰხდება.

თუ რომელსამე ჭკვიანს, ხალხიდან გამოსულ ახალგაზდა ყმაწვილ კაცს ნებას მისცემთ თავისუფლად იკითხოს ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდება, ფითქმის გადაწყვეტით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ათი წლის განმავლობაში მარტო სულელურ და უზნეო წიგნებს წაიკითხავს. კარგი წიგნის პოვნა იმისთვის ისევე ძნელი იქნება, როგორც ერთ ჩანახ მარცვლეულში წინად აღნიშნული მარცვლის პოვნა. ყველაზედ ცუდი კი ის არის, რომ ამ უზნეო და მდაბალ გემოვნების ნაწარ-

მოებთა კითხვით ის თან-და-თან უფრო გაიფუჭებს გემოვნებას და უფრო დაქვეითდება. ისე რომ, როცა, დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ, ძლივ-ძლივობისას კარგ თხზულებასაც მიაგნებს, ან სულ ველარ შეიგნებს ან არა და სულ სხვა ნაირად გაიგებს და ლიტერატურულ ნაწარმოებში გატარებულ აზრსა და მიზანს სულ სხვა ნაირად აჰხსნის.

გარდა ამისა, შემთხვევით თუ კარგ რეკლამის წყალობით, ზოგიერთა ყოვლად უვარგისი ნაწარმოებნი, როგორიც, მაგალითად „The Christian" Hall Caine'-სი არის, ყალბი და თაღლითი შინაარსიანი და რაც უნდა იყვეს, არახელოვნური ნაწარმოები ოდოლისა, Pears soap-სავით დაუმსახურებლად ვავრცელდებიან ხოლმე საზოგადოებაში. აი, სწორედ ეს გავრცელება უფრო-და-უფრო მეტ მკითხველს უჩენს ამისთანა წიგნსა და უვარგის და ხშირად მავნებელ წიგნის სახელს თოვლის გუნდასავით თან-და-თან ზრდის და მკითხველების თავშიც თოვლის გუნდასავითვე იზრდება უვიცობა და ხეირიან ნაწარმოებთა შეგნება-დაფასების უნარიც თითქმის სამუდამოდ ეკარგებათ. სწორედ ამიტომ არის, რომ გაზეთებისა, ჟურნალებისა და საზოგადოთ წიგნების გავრცელებით უფრო-და-უფრო დაბლა ეშვება ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა და უმთავრესი ნაწილი ეგრეთ წოდებულის განათლებულის საზოგადოებისა სრულიად უიმედო და გაუსწორებელ უვიცობასა და უმეცრებაში იფლობა.

ჩემ ხსოვნაში, ამ 50 წლის განმავლობაში, მოხდა ეს საკვირველი დაქვეითება გემოვნებისა თუ მკითხველი საზოგადოების კეთილგონიერებისა. ამ საოცარ დაქვეითებას ყოველ დარგში შეიძლება კაცმა თვალი გააყოლოს, მაგრამ მე მხოლოდ ზოგიერთ, უფრო შესამჩნევ და ცნობილ მაგალითებზედ მივუთითებ მკითხველს. რუსული პოეზიის ისტორიაში, მაგალითად, პუშკინისა და ლერმონტოვის (ტიუტჩევს საზოგადოთ ივიწყებენ ხოლმე) პოეტური სახელი და დიდება ჯერ მეტად საეჭვო ღირსების პოეტებზედ გადავიდა—მაიკოვზე, პოლონსკიზე, ფეტზედ, მერე ყოველგვარ პოეტურ ნიჭს მო-

კლებულ ნეკრასოვზე, მერე პროზაიკულ ლექსების მთხზველ ალექს. ტოლსტოიზედ, მერე ერთფეროვან და სუსტს ნადსონზედ და ბოლოს ყოვლად უნიჭო აპუხტინზე; ამ უკანასკნელის შემდეგ კი რუსულ პოეზიაში ყველაფერი დომხალივით ირევა, ჩნდება მრავალზედ უმრავლესი და ბევრზედ ბევრი პოეტი, რომელთაც არამც თუ ის არ იციან, თუ რა არის პოეზია, ისიც კი არ იციან, რასა სწერენ და რადა სთხზვენ თავისს ლექსებს.

მეორე, მეტად საკვირველი ინგლისის პროზაიკების მაგალითი: დიად დიკკენსს მოსდევენ ჯორჯ ელიოტი, ტეკკერეი, მას ტროლოპი მოსდევს და მერე კი კიპლინგის, გულკენის, როიდერ გაგარტის და სხვათა ფაბრიკაცია იწყება. იგივე მოვლენა უფრო გასაკვირველია ამერიკანულ ლიტერატურაში: ყოვლად ნიჭიერ და შესანიშნავ ემერსონისა, ტოროსი, ლოიელის, უიტიერის და სხვა. შემდეგ უცბად სალიტერატურო ასპარეზი ვერანად ჰხდება და ჯაგით ივსება—მხოლოდ ლამაზი, ჩინებულად დასურათებული გამოცემები-ღა რჩება, რომელთა წაკითხვა უშინაარსობისა გამო ყოვლად შეუძლებელი გახდა.

ჩვენ დროს განათლებული ხალხის უვიცობა და უმეცრება იქამდის მისულა, რომ ძველი თუ მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფოსნი, პოეტნი და მწერალნი აღარაფრად ჰფასობენ და ჩვენი დროის მოთხოვნილებას და გემოვნებას ვეღარ აკმაყოფილებენ; ყველა მათ ზიზღით ან და დამცინავის ღიმილით უცქერიან. ფილოსოფიის უკანასკნელ სიტყვად ნიცშეს ყოვლად უზნეო და უაზრო ბოდვა ითვლება; მწყობრად და დეკადენტურ ლექსად დაწყობილი უაზრო სიტყვათა რახა-რუხი უმაღლეს პოეზიად მიაჩნიათ. ყოველ თეატრში ისეთი პიესები იდგმიან სცენაზე, რომელთა აზრი ავტორებისთვისაც კი ბნელით და ნისლით არიან მოცულნი, ათი და ასი ათასობით იბეჭდება და საღდება ისეთი რომანები, რომლებშიაც არც აზრი და არც ხელოვნება არა სჩანს.

— რა ვიკითხო, რომ ჩემი განათლება დავამთავრო?— იკითხებიან ახალგაზდა კაცი თუ ქალი, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებიათ.

ამავე კითხვას იძლევა უბრალო, ხალხიდან გამოსული მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ საშუალო განათლების მაძიებელი კაცი.

პასუხის მისაცემლად, რასაკვირველია, საკმარისი არ არის გამოჩენილ პირებს დავეკითხოთ—რა და რა წიგნსა სთვლით საუკეთესოდაო?

არც თუ მწერალთა ხარისხებათ დანაწილება შველის ამ საქმეს,—გენიოსებად, მეტად ნიჭიერებად და კარგ მწერლებად დაყოფა არა თუ არ შველის ნაწარმოებთა ნამდვილ ღირსების მიგნებას და უთვალავ ნაწარმოებთა შორის ცუდის პოვნას, პირიქით, ხელსაც კი უშლის. იმაზე რომ არც კი ვსთქვათ რამე, რომ ხარისხებათ დაყოფა ხშირად უსამართლოა და თუ მაინც მიღებულია მკითხველ საზოგადოებაში, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხნის საქმეა და ხალხი შეჩვეულია ამ დანაწილებას, ამაზედ რომ არც კი ვსთქვათ მეთქი რამე, ამ გვარი დანაწილება ხშირად მავნებელიც არის, რადგან პირველ ხარისხოვან მწერლებს ხშირად ყოვლად უნიჭო და უვარგისი ნაწერებიც ბევრი აქვთ და უკანასკნელებათ ცნობილთ—კარგი და ნიჭიერები. ასე რომ ის პირნი, რომელნიც ხშირად ენდობიან ამ დანაწილებას და იმ აზრისა იქნებიან, რომ პირველ ხარისხოვან მწერალთ ყველაფერი ჩინებულად აქვთ დაწერილი და უკანასკნელებათ ცნობილთ—ყველაფერი ცუდათაო, ბევრს კარგს რამეს გამოსტოვებენ შეუმჩნევლად და ასე ამ გვარად თავის თავს ვნებას მოუტანენ.

ისე რომ ახალგაზდა, განათლების მაძიებელს ყმაწვილს მხოლოდ კრიტიკა მისცემს ჯეროვან პასუხს. მხოლოდ ის კრიტიკა კი არა, რომელიც გამეფებულა ჩვენში და რომელსაც მიზნად კარგ ნაწარმოებათ ცნობილ თხზულებათა ქება-დიდება გაუხდია და რომელიც თავის აზრთა დასამტკიცებლად რაღაც ბუნდოვან ფილოსოფიურ და ესტეტიურ თეორიებს, ჰქმნის; არც ის კრიტიკა, რომელიც მხოლოდ იმითი სულდგმულობს, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალი მასხარად აიგდოს და ხშირად საქებ ნაწარმოებს სიცილ-ხარ-

ხარი დააყაროს და უფრო ნაკლებად ის კრიტიკა, რომელიც რამდენიმე მწერლის ტიპების გარჩევით სცდილობს საზოგადო ცხოვრების მიმართულება და მოძრაობა დაახასიათოს და ან საზოგადოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გარჩევის მიზეზით თავისი ეკონომიური და პოლიტიკური აზრები გამოჰხატოს და გაავრცელოს ხალხში.

ამ დიად კითხვაზე—რა ვიკითხოთ და რა ამოვარჩიოთ ამდენ ნაწარმოებთა შორის?—მიუგებს მხოლოდ ის კრიტიკა, რომელიც, მეტიუ არნეოლდისა არ იყოს, აზრათ იმას გაიხდის, რომ ძველ თუ ახალ ნაწარმოებთა შორის საუკეთესო ამოარჩიოს და მხოლოდ იმაზე უთითებდეს საზოგადოებასა.

იმის-და მიხედვით, გაჩნდება თუ არა ჩვენში ამ გვარი უანგარო კრიტიკა, კრიტიკა, რომელიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის და რომელსაც ესმის და უყვარს კიდეც ნამდვილი ხელოვნება და მოიმაგრებს თუ არა ამ გვარი კრიტიკა ჩვენში იმოდენად ფეხს, რომ ფულის რეკლამას გაუმკლავდეს, ამის-და მიხედვით უნდა გადასწყდეს მეთქი, ჩემის აზრით, ის კითხვაც—ჩაქრებიან თუ არა ევროპის ეგრედ წოდებულ განათლებულ ხალხში სწავლა-მეცნიერების და ჭეშმარიტ განათლების უკანასკნელი სხივნი, თუ აღორძინდებიან ისევე, როგორც საშუალო საუკუნოებში აღორძინდნენ, და გავრცელდებიან ხალხის უმეტეს ნაწილზე.

ფონ-პოლენცის ჩინებული რომანის და სხვა კიდევ ბევრ კარგ ნაწარმოებთა გაუვრცელებლობამ, — იმ დროს, როცა ყოვლად უაზრო, უვარგისი და თითქმის საძაგელი თხზულებანი გავრცელებულნი არიან, გატაცებით იკითხებიან და ასიათასობით საღდებიან საზოგადოებაში, პოლენცის რომანის გაუვრცელებლობამ შეთქი, გამოიწვია ჩემში ეს აზრები და ვსარგებლობ შემთხვევით, რომ მოკლედ მაინც გავუზიარო ისინი მკითხველ საზოგადოებას.

ლევ ტოლსტოი

# წიგნი პირველი

ყველაზე დიდი მემამულე სოფელში ტრაუგოტტ ბიუტნერი თავისი ორი ვაჟით ეკლესიაში მიდიოდა.

ეს სამი გლეხი ღირსი იყო იმისა, რომ კაცს ყურადღება მიექცია. თვითონ ხნიერი ბიუტნერი, ასჯ სამოცი წლისა იქნებოდა, მაღალი და გამხდარი ტანისა, წვერს იპარსავდა, სახე მზე-მოკიდებული ჰქონდა და ჭაღარა, ზოგგან შეყვითლებულ თმას უწინდებურად გრძლად ატარებდა, რომელიც კისერზე ფაფარსავით ეკიდა ხოლმე. ბიუტნერი, როგორც დიდ მემამულეს შეჰფეროდა, დარბაისლურად დიდის და მძიმე ნაბიჯით მიდიოდა. ლონიერი, მუხის მსგავსი ტანი გრძელ კალთება და ვიწრო, ლაჟვარდის ფერ სერთუკში ჰქონდა გამოწყობილი. ვიწრო სახელოები აწუხებდნენ, თავისუფლებას უხუთავდნენ, მაგრამ ეს ხომ ის სერთუკი იყო, რომელშიაც ამ ოცდა ათი წლის წინად ბიუტნერმა ჯვარი დაიწერა. ისა, რომ სერთუკი ცოტა დაუვიწროვდა და მხრებსა და გულში უჭერდა, სრულიად არ აწუხებდა მოხუცს, პირიქით, ასეთი შეზღუდვა მოძრაობისა და ვიწრო ტანთსაცმელი ძალიან შეჰფეროდა იმ დღესასწაულებრივ გრძნობას და სიმხიარულეს, რომლითაც ყოველი კვირა უქმე დღე უნდა აღნიშნულიყო სოფელში. მოხუცს გრძელ, ჯოხებსავით სწორე და გაფშეკილ თმაზე ცილინდრი დაეხურა, რომელსაც ბედრანგი ფერი დაჰკრავდა და დიდიხნის ხმარებისაგან საცოდავად აბურძგვნილს შნო და ლაზათი დაჰკარგვოდა.

გლეხს ორთავე მხარეს ვაჟები ახლდა—გუსტავი და კარლი.

უფროსი კარლი მამის ტანისა, მხოლოდ იმაზე ცოტა მოსული და მსუქანი იყო. კარლიც მამასავით ულვაშსა და წვერს

იპარსავდა, რასაც ყველა გლეხური ჩვეულებების ამსრულებელი სჩადიოდა სოფელში. მისი დიდრონი და თითქოს ნამძინარევი თვალები და გაბერილი წითელი ლოყები ახალგაზდა დარდიმანდ ჭაბუკს ამსგავსებდნენ კარლსა. მაგრამ ვინც მიუახლოვდებოდა და ფუთიან მუშტებს დაუნახავდა, სამუდამოდ დაჰკარგავდა ამ ჭაბუკთან შებმის სურვილს. დღეს მოხუცსავით იმასაც სქელი ლოცვანი ეჭირა ხელში. ისიც გრძელ კალთება სერთუკში იყო გამოწყობილი, რომელსაც მხოლოდ ეკლესიაში წასასვლელად ჩაიცვამდა ხოლმე, და თავზე განიერი ცილინდრი ეხურა. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, კარლი ბიუტნერის მეორე გამოცემა იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ უფრო სრული და ასე ოცდა ათი წლით ახალგაზდა იყო, იმასთან შედარებით.

უმცროსი ვაჟი, გუსტავი-კი, კირასირის პოლკის უნტერ-ოფიცერი არც ერთსა და არც მეორეს არა ჰგავდა. იქნება გამოკვანძული მუნდირის ბრალი იყო, რომ გლეხების მოუხეშავ სიარულთან შედარებით, ახალგაზდა უნტერ-ოფიცერი გრაციითა და სიმარჯვით სავსე მოსჩანდა. ტანით ცოტა მამაზე და ძმაზე დაბალი იყო, მაგრამ მოყვანილი ტანი და სახე მხიარული და ეშხიანი ჰქონდა. სიარულის დროს გუსტავი ცოტას ჰქანაობდა, თითქოს დარწმუნებულია, რომ ძალიან ლამაზი ვაჟკაცი ვარ და დღეს გალბენაუს ეკლესიაში შეკრებილი საზოგადოება გატაცებით დამიწყებს ცქერასაო. თეთრ ხელთათმანში გამოწყობილ მარჯვენა ხელს ის მალი-მალ იტაცებდა ხოლმე ქერა ულვაშებზედ, თითქოს უნდა დარწმუნდეს ვაჟების დამამშვენებელი ულვაში თავისს ადგილზედა მაქვს თუ არაო. გუსტავი ჯერ არავის ენახა სამშობლო სოფელში ბუზმენტშემოვლებულ პაგონებით. სააღდგომოდ დათხოვნილი, ეხლა პირველად ეჩვენა თავისს ნაცნობებს უნტერ-ოფიცრის ჩინით. ეკლესიაში მიმავალნი მამა და შვილები არაფერზე ლაპარაკობდნენ და ნაცნობებს ძლივს შესამჩნევი თავის დაქნევით აძლევდნენ სალამს. აღდგომა დღეს მთელი სოფელი ფეხზედ

იდგა. ქუჩის ორივე მხარის პატარა ბაღებში პირველი ნარგიზი და ხაშხაში ჰყვაოდა.

ეკლესიაში ბიუტნერმა და იმის შვილებმა ზევითა აივან-ზე კათედრის მახლობლად საგვარეულო ადგილი დაიჭირეს. ბიუტნერები გალბენაუს ერთ-ერთ ძველ საგვარეულოს ეკუთვ-ნოდნენ.

საგალობელსა და საგალობელს შუა საკმარისი თავისუ-ფალი დრო რჩებოდა, ისე რომ გუსტავმა მთელი ეკლესია მიათვალ-მოათვალიერა. საითკენაც უნდა მიეხედნა, ნაცნობ პირებსა ჰხედავდა. ეს იყო მხოლოდ, რომ ზოგიერთი ხნიერები ველარ ჰნახა თავიანთ ადგილებზე, მაგრამ ისინი ხომ შეიძლება გადაიცვალნენ კიდეც.

დრო-გამოშვებით გუსტავი ქვეით ქალებისკენაც ჩაიხედავ-და ხოლმე, მაგრამ ჭრელი თავსახვევები და შლიაპები სახის დანახვას და ნაცნობების ცნობას უშლიდნენ. ახალგაზდა გასა-თხოვარ ქალებსა და გათხოვილებ შორის ცოტანი არ იყვნენ ისეთნი, რომელთანაც ერთად დარბოდა ხოლმე გუსტავი სკოლაში, ზოგიერთნი კიდევ ცეკვის დროს ჰყავდა გაცნო-ბილი.

დიდს ხანს არიდა გუსტავმა ერთ ადგილს თვალი. იმან კარგად იცოდა, რომ იმ ადგილზე ის უნდა მჯდარიყო, რო-მელიც, თუ კი იყო იმ ჟამად ეკლესიაში, მგონი, გაშტერებით უყურებდა გუსტავს. თვითონ არც კი უნდოდა ეჩვენებინა, რომ იმაზედ ფიქრი რამდენადმე აწუხებდა. გუსტავს იმ ქალის-კენ რომ მოენდომნა გადახედვა, თავი სულ მარცხნივ უნდა მიებრუნებინა, რადგან აივნის ქვეშ მარცხნივ უნდა მჯდარიყო. გუსტავმა ძალა დაატანა თავის თავს და ქადაგებამდის ერთხე-ლაც კი არ გადიხედა იქითკენ, მაგრამ ბოლოს თავი მაინც ვერ შეიმაგრა და ქადაგების დროს მარცხნივაც გადიხედა, რად-გან ძალიან უნდოდა გაეგო პაულინა კაჩნერი იქ იყო იმ ჟამად, თუ არა.

გუსტავი ცოტას გადიხარა წინა და თან სცდილობდა ისე გადაეხედნა, რომ ეს მოძრაობა არავის შეენიშნა. ჰო, სწო-

რედ ისეა, როგორც ჰფიქრობდა გუსტავი: პაულიანა იქ იჯდა და პირდაპირ გუსტავს შესცქეროდა!

გუსტავს წითელმა ალმურმა გადაჰკრა. ამან, ცოტა არ იყოს, გააჯავრა ახალგაზდა ბიუტნერი.—სისულელეა! რა ამბავია, პაულინაზე რად უნდა ვფიქრობდე უეჭველად ან და რა საქმე მაქვს იმასთან? ყველა ქალზედ თუ ვიფიქრე, ვისთანაც ოდესმე რაღაც საქმე მქონია, ამიშენდება ოჯახი! მერე პაულინა კაჩნერი! ქალაქში სირცხვილით ვერც კი გავიარ იმის გვერდით. კაზარმებში ხომ სულ მასხარად ამიგდებდნენ, გვერდზედ რომ გამეტარებინა. რა, რითი სჯობია პაულინა რომელსამე მუშა ქალსა? მთელი კვირა ფეხშიშველა და მოკლე კაბით დარბის!—მაშინ კი, როცა თავისი საყვარელი ქალაქის ნაცნობ ქალებს შეადარა, გუსტავი უფრო გაიბღინძა და პაულინას მედიდურად გადახედა. ღმერთმანი, ქალაქში სულ უკანასკნელ მოსამსახურესაც კი უფრო კარგად უჭირავს თავი, სანამ ყველა ამ ქალბატონებს ერთად. და გულში ღრმათ ეზიზღებოდა პაულინა.

მაგრამ იყო დრო, როცა მაგაზედ უძვირფასესი სხვა აღარავინ ეგულებოდა.

უცბად მოაგონდა როგორ ემშვიდობებოდა პაულინას სალდათათ გაყვანის დროს. მაშინ ისე ეგონათ ორთავეს, უკანასკნელ კოცნასთან ერთად ჩვენი სიცოცხლეც მაისპობაო. მერე პირველად რომ დაეთხოვა თავისს უფროსებს და სოფელში ჩამოვიდა... რა ბედნიერი იყო და რას არ სჩადიოდა სიხარულით სავსე პაულინა? ორთავენი გიჟებსავით იყვნენ, ამას რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა. რას არ ჰპირდებოდა და რაებს არ ეუბნებოდა გუსტავი!

გუსტავი ეცადა ამ აზრებისგან როგორმე თავი დაეღწია—მაშინ რა ჭკუა მომეთხოვებოდა, სულელი და გამოყეყეჩებული ვიყავ! მაშინდელ იმის დანაპირებს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა! მეორეც თითონ პაულინაც ვერ იყო ერთგული. რა ხელი მაქვს პაულინას ბავშვთან? ან და ვინ იტყვის გადაწყვე-

ტით, რომ ის ბავშვი გუსტავს ეკუთვნის. ამდენი ხანი ფეხიც კი არ მოუდგამს სოფელში.

არა, გათავდა! გუსტავს პაულინასთან საქმე აღარა აქვს! დეე, რაც უნდათ, ისა სთქვან მეზობლებმა. დეე იმანაც იწუწუნოს, წერილები სწეროს და დაბადების დღეს თუ ახალწელიწადს ულოცოს ხოლმე. ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება მისთვის. სისულელეა! ქალაქში სულ სხვანაირი ნაცნობები ჰყავს გუსტავს, მაგას კი არა ჰგვანან: ისინი განათლებულებსავით ლაპარაკობენ და ვალსის ცეკვაც კი იციან. ვიღაც ღარიბ-ღატაკ გლეხის ქალთან გუსტავს რა საქმე აქვს?

სწორედ ამ დროს პასტორმა ქადაგება დაიწყო. გუსტავი სცდილობდა მარტო ღვთის სიტყვაზედ და ლოცვაზედ ეფიქრნა. ის ჯერ სრულიად არ იყო კაზარმებში ცხოვრებით გაფუჭებული და ამხანაგებში ჯერ კიდევ საქებურად გამოირჩეოდა. იმათ წირვის დროს ან ეძინათ ან და ათასგვარ სისაძაგლეს სჩადიოდნენ... გუსტავი კი ოჯახშივე იყო შეჩვეული ეკლესიის პატივისცემას და რაც სიყრმითვე ჰქონდა ჩანერგული გულში, ის დღესაც საღათ და მთლად შერჩენოდა. მოხუცი მამა პირველი აძლევდა ხოლმე შვილებს კარგ მაგალითსა. ის კვირა და უქმე დღეს ეკლესიას არ დააკლდებოდა და ქადაგებიდან ერთი სიტყვაც კი არ გამოეპარებოდა. არც თუ გალობას დაიზარებდა, თუმცა სიბერით ხმა, ცოტა არ იყოს, წასვლოდა და ალაგ-ალაგ ცოტა კარგათ და სასიამოვნოთ ვერ გაჰკიოდა. კარლი კი, რომელსაც სიზარმაცე არასოდეს არ გამოელეოდა ხოლმე, ისე ვერ მოისმენდა წირვას, რომ ერთი წუთი მაინც არ წაეთვლიმა. ქადაგება (როგორც თვითონ პასტორმა გამოაცხადა) სამ ნაწილად იყოფოდა და პირველი ნაწილის ბოლოშივე შენიშნა გუსტავმა, რომ მისი ძმა კარლი თავსა ჰქინდრავდა და თვალებს საძაგლათ ჰბლიტავდა. წირვის გამოსვლის შემდეგ ისინი კაი ხანი იდგნენ ეკლესიის კარებთან; მოხუც ბიუტნერს მეტად ახარებდა, რომ იმის გუსტავს ყველანი სიამოვნებით და გატაცებით უყურებდნენ. უნტერ-ოფიცერს ახალგაზდანი თუ ხნიერნი, ბევრნი შემოეხვივნენ. იმის მუნდირს

რომ შეჰყურებდნენ, ბევრმა თავისი ჯარის-კაცობა მოიგონა და ხნიერებმა ომში წასვლაც კი გაიხსენეს. თვითონ ბიუტნერიც კი უკანასკნელ ორ ომში მიღებულ ორ მენდალს ატარებდა. კარლმაც გააჩანჩალა როგორც იყო სამი წელიწადი სალდათობაში, მაგრამ დღევანდლამდის არც ერთ ბიუტნერს ამისთანა საპატიო ჩინი არ მიუღია.

გუსტავს ყველა თვის პასუხი უნდა მიეცა ათასგვარ კითხვებზედ. „ხომ არ მოგბეზრდა სამსახური, და როდის აპირებ უკან დაბრუნებასაო?“ ეკითხებოდნენ ირგვლივ. ახალგაზდა ბიუტნერი ღირსებით აძლევდა პასუხს, რომ არა თუ არ მომწყინდა, პირიქით, არასგზით არ გავცვლი სამხედრო კარავს სოფლის ნეხვიან ფაცხაზედაო.

ვაჟებს ორი ქალიც მიუახლოვდა—ერთი ჭრელ თავ-სახვევიანი დედაკაცი იყო და მეორე—წითელ ყვავილიანი შლიაპით ახალგაზდა გასათხოვარი ქალი. გუსტავმა ზეიდანვე იცნო ეს შლიაპა. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა პაულინასთან მეგობრობა ჯერ კიდევ არ გაეწყვიტა, ქალაქში უყიდა ეს შლიაპა და სადღესასწაულოდ ჩამოუტანა. მას აქეთ ატარებს და ატარებს ამ შლიაპას პაულინა. ხნიერი დედაკაცი კაჩნერის ქვრივი, პაულინას დედა იყო.

— გამარჯობა, გუსტავ!—მიჰმართა მოხუცმა დედაკაცმა.

— გაგიმარჯოს!—მიუგო გუსტავმა სალამზედ, შუბლი კოპეპად შეიკრა და ხელი არც კი ჩამოართვა. გასათხოვარი ქალი გაწითლდა და თავ-ჩაღუნულმა ლოცვანს დაუწყო ცქერა.

— აგერ ისევ გალბენაუში ხარ, გუსტავ—უთხრა მოხუცმა და გაიცინა, რომ როგორმე სირცხვილი დაეფარა.

— დიაღ!—ცივად მიუგო გუსტავმა და რაღაც კითხვით ერთ ახალგაზდა ვაჟთაგანს მიუბრუნდა.

ქალები კიდევ იდგნენ ერთს წუთს, იმედი ჰქონდათ გამოგველაპარაკებაო, მაგრამ პაულინამ ველარ გასძლო, რადგან ცრემლს ძლივს-ღა იმაგრებდა, დედას კაბა ჩამოსწია და უთხრა:

— წამო, დედა, დაგვიგვიანდება!

და ორთავენი წავიდნენ.

— რა იყო, გუსტავ, პაულინასთან მეგობრად ალარა ხარ?—დაეკითხა ერთი მეგობართაგანი უნტერ-ოფიცერს.

გუსტავმა მხრები შეიშმუშნა, დინჯად ფეხი მოინაცვლა და თან სცდილობდა, რაც შეიძლებოდა, გულგრილად ეჩვენებინა თავი.

ბოლოს ეკლესიიდან ათი თუ თორმეტი ახალგაზდა ვაჟი გამოვიდა, თორმეტივე გუსტავის ბავშვობის ამხანაგები იყვნენ. გზათ მიმავალნი ჯერ სამიკიტნოში შებრუნდნენ, ლუდი დალიეს, სიგარებს მოუკიდეს და მერე გზას გაუდგნენ. ყველამ თავიანთ სახლისკენ გასწია, რადგან სადილობის დროც მოდიოდა. გადაწყვეტილი ჰქონდათ საღამოთი საცეკვაოთ შეკრებილიყვნენ.

ბიუტნერების სახლი სოფლის სათავეში იყო. მოხუცი ბიუტნერი და კარლი წინ წავიდნენ. გუსტავს უნდოდა მინდორი გადაეჭრა და მოკლე გზით მისულიყო შინა, მაგრამ უცბად ვილაცამ დაუძახა. უკან მოიხედა და რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე პაულინა კაჩნერი დაინახა. საცოდავი ისე მორბოდა, რომ სულს ძლივს-და იბრუნებდა.

გუსტავმა სახე მოიღუშა და მოუხეშავის ხმით დაეკითხა—რა გინდა ჩემგანაო?

— გუსტავ!—შესძახა ქალმა და ხელები წინ გაიწოდა—ნუ, ნუ შვრები მაგას! შენ ისე იქცევი, თითქოს არც კი მიცნობდე.

— მე არა მცალიან!—უთხრა გუსტავმა, მობრუნდა და წასვლა დააპირა.

მაგრამ ქალმა გზა გადაუღობა.

— არა, გუსტავ! ნუ მომექცევი ეგრე, ნუ!

ქალი გუსტავის წინ იდგა, გული აუდ-დაუდიოდა და პირდაპირ სახეში შესცქეროდა ვაჟსა. ვაჟმა რომ ველარ გაუძლო ქალის თვალებს, თავი გვერდზედ მიიბრუნა.

მაგრამ პაულინამ ხელი სტაცა და უთხრა:

— ხელი მაინც ჩამოგერთმია, ჩემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა პატიოსნებაა, რომ ქალი უკან გამოუდგეს კაცსა, დაეწიოს და საქმე გაუჭიროს ლაპარაკითა,—ჰფიქრობდა გუსტავი,—ეხლავე უნდა დამანებოს თავი. და სცდილობდა ისე ეჩვენებინა თავი, ვითომც შენი ქცევა ძალიანა მწყინს და მოთმინებიდან გამოვყევარო. საკმარისი იყო გუსტავს ხელი გაენძრია, რომ ქალი ჩამოეშორებინა, მაგრამ გუსტავი ამას არ სჩადიოდა.

— აგერ წელიწადზე მეტია, რაც მე და შენ ერთმანეთი არ გვინახავს! რამდენი წერილი მოგწერე, მაგრამ შენ პასუხის ღირსიც კი არ გამხადე. ისე მექცევი, თითქო ვილაც უვარგისი მაწანწალა ვიყო!..

ამ სიტყვებზე ქალს თვალები ცრემლებით აევსო.

ეგ-ღა მაკლდა სწორედ, ეხლა ღრიალიც მორთოს! ქალის ცრემლი ჭირსავით ეჯავრებოდა გუსტავს. აგერ მოლბა კიდეც, ქალის ღია სახეს რომ შეხედა და მის გულიდან ამონაკვნესი ხმა რომ გაიგონა. რამდენი რამე მოაგონდა იმის შემაცქერალს! პაულინა იმდენ ბედნიერებას მისცემდა ხოლმე, რამდენიც არც ერთ ქალს არ მიუნიჭებია მისთვის. რასაკვირველია, ეს ხომ პირველი სიყვარული იყო. ამ გრძნობაში მისთვის რაღაც არაჩვეულებრივი რამე იფარებოდა, რაღაც, სამშობლოს სიყვარულსავით ან და იმ ქალისადმი მადლობა, რომელიც უსამზღვროდ იყო მისთვის კეთილი. აი, სწორედ ამიტომ არ იყო კარგი, რომ ეს ქალი ეხლა სტიროდა! გუსტავს თავისი თავი საძაგელ და სასტიკ კაცად მიაჩნდა და ეს აზრი მეტად აწუხებდა!..—ამ გოგოს კი თავს ვერ დააღწევს ადამიანი,— გაიფიქრა შიშით ბიუტნერმა.

ქალმა შავი ფართუკის ბოლოთი ცრემლები მოიწმინდა და დაეკითხა გუსტავს:

— ნეტავ თუ რა გაქვს ჩემ წინააღმდეგ? ერთხელ მაინც მიხარი, რა დაგემართა, რამ გამოგცვალა ეგრე უცბად?

გუსტავს სახე მოეღუშა და დაფიქრებული ულვაშებს იკვნეტავდა. ყველაზე ადვილი, რასაკვირველია, ის იყო, რომ პირდაპირ გამოეცხადებინა—ჩემს აქ არ ყოფნაში შენ სხვას

დამეგობრებიხარ და სხვას შეჰყრიხარო. მაგრამ ქალის სუფთა თვალებს რომ შეჰყურებდა, ცხადათ ჰხედავდა, რომ ამ ჟამად ეჰვის გამოცხადება მეტად უადგილო და უსამართლო იქნებოდა. ესეც რომ არა ყოფილიყო, თითონაც ხომ არა სჯეროდა, რასაც ეუბნებოდნენ პაულინაზედ. ეს მხოლოდ საბაბად და მიზეზად თუ გამოადგებოდა, რომ ქალი სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან.

გუსტავზე მთელი თავით დაბალი, ქორფა, ალი და ვაშლსავით მრგვალი, დიდრონი ლამაზი თვალებით და თეთრ ბროლის ისგავს კბილებით რომ იდგა პაულინა და გუსტავს თვალცრემლიანი შეჰყურებდა, მან კვლავ მოახდინა გუსტავზე შთაბეჭდილება და კვლავ გაუღვიძა თბილი და სასიამო გრძნობა.

— მე, საცა სამართალია, ძალიან უნდა ვიყო შენზე გაჯავრებული!—უთხრა ნელის ხმით ქალმა და ქვითინი ამოუშვა. პაულინა მზათ იყო ყოველ წუთს ეტირნა, მაგრამ ცრემლებში ისეთი მშვენიერი რამ იყო და ისეთი ალერსიანი სახე ჰქონდა, რომ კაცს ეგონებოდა, ადამიანი კი არა,—შეჩვეული, შინაური მტრედია სწორედაო. პაულინასთვის არავის უსწავლებია ამგვარი ხელობა, მაგრამ დიდათ გამოცდილი კოკეტკაც კი ამ ბუნების შვილზე კარგათ ვერ მოახერხებდა ვაჟის მახეში გაბმას.

უცბათ ქალმა თავი დაბლა დაჰხარა და წინანდელზედ უფრო დაბლა უთხრა:

— ნუ თუ შენი ბავშვის ნახვა არ გინდა, გუსტავ? აგერ საცაა წლისა გახდება.

ახალგაზდა კაცი განცვიფრებული და დარცხვენილი იდგა. ის ცხადათა ჰგრძნობდა, რომ ამ წუთშივე რაღაცა უნდა გადაეწყვიტა და მეტი ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. ეხლა თუ ისე მოიქცა, როგორც ქალი ეუბნება და ბავშვის სანახავათ წავიდა, ვითომც ბავშვი შვილად უცვნია, სულ ერთია. აქამდის კი თავისს შვილად არა სცნობდა ბავშვს, რადგან ყოველთვის მზათა ჰქონდა სიტყვა—მე რა ვიცი ვისია! ჩემად მე ჯერ არ მიცვნიაო.

პაულინამ კვლავ აიმაღლა თავი და თვალებში მუდარა გამოეხატა. მერე ტკბილ, ქალწულებრივი ხმით განაგრძო:

— მე იმდენ რამეს ვუამბობდი ბავშვსა. ჯერ კი ვერ ლაპარაკობს, მაგრამ „მამას“ კი მაინც გაიძახის. წამო, გუსტავ, ერთი მაინც დახედე.

ამ სიტყვებთან ერთად ხელი ჩაავლო და თავიანთკენ გაიზიდა.

— წამომყე, გუსტავ, წამომყე! — ეეედრებოდა ქალი, რაკი ატყობდა, რომ ვაჟს წასვლა ჯერ ვერ გაებედნა.

ბოლოს გუსტავი მაინც გაჰყვა, თუმცა გულში კი ჰბრაზობდა, რომ ქალმა მაინც დამიყოლიაო. გუსტავმა თითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა ესა. ამისთანა თავხედი და გამბედავი მხედარი სხვა ველარ მოიძებნებოდა უნტერ-ოფიცრების განყოფილებაში და ძალიანაც უყვარდა გიჟი ცხენების გახედნა, მაგრამ ყველა ამასთან ერთად საშინელი გულჩვილიც იყო, ისე, რომ ერთხელ უფროსმა, „ქალაჩუნაც“ კი დაუძახა. ეს მაშინ მოხდა, როცა ცხენი ავათ გაუხდა და დასაკლავათ მიჰყავდათ. გუსტავი ბავშვივით სტიროდა, ისე ებრალებოდა ცხენი.

პაულინამ, როგორც ეტყობოდა, კარგათ იცოდა, საიდან უნდა მოევლო გუსტავისთვის. საკმარისი იყო მოენდომნა, რომ იმ წამსვე შესანიშნავათ მოლბილებოდა და ხელში მოჰკვდომოდა ხოლმე. გუსტავს ისე მოექცევოდა ხოლმე, თითქო არაფერი უსიამოვნება არ მოხდომიათ და თავიდანვე დიდი მეგობრები ყოფილანო. ქალს ერთი საყვედური ალარ ამოსვლია პირიდან, რადგან ეშინოდა გუსტავი არ გავაჯავროო. პაულინამ ყოველი ღონისძიება იმას მიაპყრო, რომ გუსტავს მოსაფიქრებელი დრო არ ეპოვნა. უამბობდა თავისს დედაზედ, შვილზედ, თავისს თავზედ, მაგრამ ყველა ამას ისეთის გატაცებით და მხიარულებით მოუთხრობდა და ისეთ ეშმაკურ ხერხებს ხმარობდა, რომლებშიც, მგონი, თითონვე ვერ მისცემდა თავისს თავს ანგარიშს. ასე ამ გვარად გუსტავი თავიანთ კარებამდის მიიყვანა.

პაულინა დედასთან ერთად ხის პატარა ქოხში სცხოვრობდა, რომელიც თიხით იყო გალესილი და რომლისთანა ცუდი

და უფერული სხვა ველარ მოიძებნებოდა გალბენაუში. ის ბოსტნეული, რომელსაც ჰკრიბავდნენ ხოლმე დედა და შვილი, საცხოვრებლად არა ჰყოფნიდათ და დანარჩენს, რაც აკლდებოდათ, ქსოვითა და ხელსაქმით შოულობდნენ. უწინ პაულინა ბატონიანთსა დადიოდა სამუშაოდ, მაგრამ ამ ბოლოსდროს კი იქ სიარულსაც თავი დაანება.

ამ პატარა ქოხში პაულინას თავისი პაწაწკინტელა ოთახი ჰქონდა მოწყობილი. ყოველ ნაბიჯზედ გუსტავს სულ ახალ ახალი რამეები აგონდებოდა. ამ დაბალ კარებში, რომელშიც უსათუოდ წელში მოღუნული უნდა შესულიყო ადამიანი, გუსტავი პირველად იმ მრავალ მნიშვნელოვან თიბათვის თბილ საღამოს შეძვრა, როცა პაულინამ პირველად შეუშვა თავისს ოთახში. მას შემდეგ რამდენჯერ შესულა და გასულა ამ კარებში! დღისით თუ ღამით, სანამ სალდათათ გაიყვანდნენ, და მერმეც კი, როცა დაეთხოვებოდა ხოლმე და ჩამოვიდოდა სოფელში...

ამ პაწაწკინტელა ოთახში მთელი წლის განმავლობაში არაფერი გამოცვლილიყო. ეხლაც, როგორც უწინ, ყველაფერში სისუფთავე და სასტიკი წესი სჩანდა. გუსტავმა მშვენივრად იცოდა სად რა იდგა. აგერ აქ პაულინას საწოლია გამართული, აქ—შკაფია და გვერდით სკივრი უდგია. გვერდ მოგლეჯილი სარკე, რომელშიაც მისალოცი ბარათი იყო ჩარჭობილი, ისევ კედელზედ ეკიდა. გუსტავი ნება-უნებურად ათვალიერებდა ოთახს, თითქოს რაღაცას ეძებსო. მაგრამ აქ ის ვერ იპოვნა, რასაც ეძებდა. პაულინამ, რომელიც თვალს ადევნებდა გუსტავს, სიამოვნებით გაიღიმა. ქალი იმ წუთსვე მიხვდა, რასაც ეძებდა გუსტავი.

პაულინა საწოლს მიუახლოვდა და მთასავით ამაღლებულ ბალიშებს მოეხვია. საწოლის სათავეში რაღაც რგვალი რამ იყო ბალიშებში ჩაფლული.

პაულინამ თვალი უყო გუსტავს და ანიშნა, აქ მოდიო. გუსტავი მიხვდა, რომ ბავშვს ეძინა და სცდილობდა ფრთხი-

ლად მისულიყო, რომ ფეხის ხმაურობას ბავშვი არ გაეღვიძებინა.

აი! — წაიჩურჩულა პაულინამ და ნეტარების ღიმილით გაანძრია ბალიში.

ახალგაზდა ბიუტნერი განცვიფრებული იდგა და თავისს შვილს შესცქეროდა. მას მეტად აკვირვებდა ეს გარემოება; გუსტავს ჯერ კასკის მოხდაც კი ვერ მოესწრო და ბავშვს ცქერას ვერ უბედავდა. ეს ჩემი შვილია! იმას შვილი ჰყავს, ჰა? ეს აზრი რაღაცას უზღუდავდა, სულსა და გულს უხუთავდა და რაღაც უცნობ, ჯერედ გამოუცდელ მოვალეობას აკისრებდა, რომლის შეგნება და დაფასება ჯერ ვერ გაეგო და ვერ მოეხერხებინა. ქალმა უშველა კასკის მოხდა, მერე ბავშვს ხელები გაუხსნა და გუსტავის ხელი თითონვე მიიტანა ბავშვთან, რომ უკანასკნელი თავისს სისხლსა და ხორცს თვითონვე შეჰხებოდა. მერე დედამ გულში ჩაიკრა ბავშვი და დაეკითხა გუსტავს—მოგწონს შენი შვილი, თუ არაო.

გუსტავმა არაფერი უპასუხა; გონება დაკარგულსავით იდგა ერთ ადგილას და გაკვირვებული თავისს შთამომავალს შესცქეროდა.

მაგრამ აგერ ბავშვის სახეზე ღიმილმა შეითამაშა და ძილში პაწაწა თითები აათამაშა. მხოლოდ ეხლა მიხვდა გუსტავი, რომ იმის წინ ცოცხალი არსება იყო ბალიშში ჩაწვენილი. ამ აზრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბიუტნერზე. ასეთი პაწაწა არსება ცოცხლობს, გაიზრდება და ბოლოს ვაჟკაცად იქცევა და ეს არსება ამის შვილია?! პაულინამ და ამან გააჩინეს ქვეყნად; ჩემი და პაულინას ხორციდან და სისხლიდან არის შედგენილი. და ეს მუდმივი საკვირველ-მოქმედება ეხლა საშინლად და დიადად წარმოუდგა.

გუსტავმა იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლმა შეუთამაშა და ყელში რაღაცა დაეცო, მაგრამ კრიჭა მაგრა მოუჭირა და თავი დროზე შეიმაგრა; ის არას გზით არ მისცემდა თავის თავს ნებას, რომ ეტირნა.

ამ დროს პაულინა ფაცი-ფუცში იყო—მოიხადა შავი წითელ ყვავილებიანი შლიაპა, გაიხსნა მაჯები, მკლავები დაიკარწახა და წინ თეთრი წინსაფარი აიფარა. პაულინა ულშლიაპოთ უფრო ლამაზი და ეშხიანი მოსჩანდა. მხოლოდ ეხლა სჩანდა მისი ოქროს ფერი თმა, რომელსაც ყველა სოფლის გოგოებსავით შუაში გაყოფილს და უკან წვრილ ნაწნავებად დაწნულს ატარებდა. ეს შავი კაბა იყო, პირველად კონფირმაციის დღეს რომ ჩაიცვა, მაგრამ ეხლა ცოტა გაეგანიერებინა და მიუხედავად იმისა, რომ ეხლა უწინდელთან შედარებით უფრო სრული იყო, კაბა მაინც კარგად ადგა.

მერე პაულინა საჩქაროდ ისევ საწოლს მიუახლოვდა. დედა მიხვდა, რომ ბავშვს საკმარისი ეძინა და ეხლა დროა რძეც ვაჭამოთ. აიყვანა ხელში, ნაზად აკოცა შუბლზე და ამით გამოაღვიძა ბიჭუნა. ბავშვმა გაკვირვებით თვალები დააჭყიტა, აქეთ-იქით მიიხედა და უცბად ტირილი მოართო. მამამ, რომელიც ჯერ სრულიად არ იყო ამგვარ ხმებს შეჩვეული, თავი და ტანი დაჭკარგა.

პაულინამ ცოტა დაამშვიდა გუსტავი, როცა უთხრა, რომ ბავშვსა ჰშიან და იმიტომ სტირისო, მერე კედლიდან თუნუქის ჭურჭელი გადმოიღო. ამ ოთახში ბუხარი არ იყო და მეორე ოთახიდან თბებოდა, მხოლოდ სითბოს გამოსაყვანად კედელში მილი იყო გამოტარებული, რომელშიც თუნუქის ჭურჭელი ედგა ხოლმე პაულინას. ჭურჭელში პატარა ჭიქა იდგა რძით სავსე. პაულინას ერთ ხელში ბავშვი ეჭირა, მეორეთი ჭიქა მიიტანა პირთან, გემოთ გასინჯა და გუტაპერჩის თავი დახურა. მერე ისევ ლოგინზე დააწვინა ბავშვი, რომელიც გაუმაძღარის თვალით შეჰყურებდა ნაცნობ ჭიქას და ხელებს აწოდებდა მისკენ. მაგრამ დედამ დიდი ხანი აღარ ალოდინა—ჩაუდო თუ არა პირში ჭიქა, ტირილი შესწყდა და მხოლოდ რძის სასიამოვნო რაკრაკი-ღა ისმოდა.

გუსტავმა თავისუფლად ამოისუნთქა. ყველაფერი, რასაც კი ჰხედავდა, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა მასზედ. იმ დროს, როდესაც პაულინა ნეტარებდა და სავსე იყო სიამაყით, გუს-

ტავი ვერას გზით ვერ განთავისუფლებულიყო რაღაც უსიამოვნო გრძნობისაგან. პაულინა ალერსით დაიხარა ბავშვისკენ და ფაქიზად გაუსწორა ბალიში.

მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდა დედა, რომ ბავშვი სრული კმაყოფილია თავის ხვედრისაო, ჯერი გუსტავზედაც მიდგა—გაუწმინდა წინსაფარით სკამი და სთხოვა, რომ დამჯდარიყო. გუსტავს ჯერ არაფერი ეთქვა ბავშვის შესახებ და პაულინა ეხლა თხოულობდა, რომ მამას თავისი აზრი გამოეცხადებინა შვილის შესახებ. გუსტავმა უთხრა, როგორც ეტყობა, ბავშვი ჯანსაღი და მაგარი უნდა იყვესო. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო დედის სიამაყით სავსე გულისთვის. დედამ თითონ დაიწყო ბავშვის ქება, უქებდა აგებულებას, ჯანსა და სილამაზეს. ის იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ბავშვი მეტად ჭკვიანიაო და თავის სიტყვების დასამტკიცებლად ბავშვის ზოგიერთა გიჟური საქციელები მოჰყავდა. ძალიან დიდი ბავშვიც არის სხვებთან შედარებით, მაგრამ არც საკვირველია, რადგან კაი მოზრდილი დაიბადაო. ამასთან ისიც დასძინა, რომ დაწოლის დროს ცოტას კი არ ვეწვალეო. მერე ისიც აუწყა, რომ ექვსი თვის განმავლობაში მე თითონ ვაწოვებდი ძუძუსაო.

გუსტავი დაბნეული უსმენდა ყველა ამ ამბებს, რომელთაც პაულინასთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ გუსტავი კი თავისას ჰფიქრობდა და ერთსა და იმავე კითხვას აძლევდა თავის-თავს—მერე, ვერე რაღა იქნება? ეხლა ხომ შვილად ვიცანი ეს ბავშვი. როგორც პატიოსანი კაცი, მოვალე ვარ შვილისთვის ვიზრუნო რამე. იმ ვაჟბატონებს, რომელნიც, ბავშვი ეყოლებათ თუ არა, უბედურ ქალებს თავს ანებებენ, გუსტავი უსინიდისო და უზნეო ხალხათ სთვლიდა. და აკი ერთხელ თითონაც ჰპირდებოდა პაულინას ჯვარს დავიწერ შენზეო? ეხლა, როცა უყურებდა პაულიანას, მის მიხვრა-მოხვრას, კოპწია და ლამაზ მოყვანილობას და მუდამ კარგ ქეიფზედ და გუნებაზედ რომ ჰხედავდა, ცოლ-ქმრობის ფიქრი სასიამოთაც კი მიაჩნდა, მაგრამ საზოგადოთ დაქორწინება?! აქ თავისი ამ-

ხანაგების უბედური ქორწინება მოაგონდა. ერთი ფიქრიც კი ამ გვარ ცოლ-ქმრობაზედ შიშის ზარსა სცემს ადამიანს.

მერე ქალაქის ქალებსაც რომ თავი უნდა დაანებოს, თუ ვინიცობაა დაქორწინება გადასწყვიტა. ამან და ბევრმა კიდევ სხვა გვარმა ფიქრებმა თავ-ბრუ დაახვიეს გუსტავს.

ახლა თავის ცხოვრებას მოუყვებოდა პაულინა. ის უამ-ბობდა რა ობლათა ჰგრძნობდა თავსა და ეს უკანასკნელი ზამ-თარი რა მოწყენილად გაატარა: დედა მთელი კვირაობით ავად-მყოფი იწვა ლოკინში, სახლში გროში კაპიკი არ მოიძებნებოდა და ახლო-მახლო კი ერთი ვაჟკაცი არ მეგულებოდა, რომ და-ხმარება მეთხოვნაო. თითონ პაულინა ბევრს ვერაფერს იშოვნი-და, რადგან ბავშვი ძალიან უშლიდა ხელსა. ამას კიდევ ის დაუმატე, რომ გუსტავიც არაფერს იწერებოდა, ერთ სიტყვას არ ითვლეინებოდა. აქ პაულინამ კვლავ მოსთხოვა გუსტავს, შენი საქციელის მიზეზი ამიხსენიო. გუსტავმა სიტყვა ბანზედ აუ-გდო და დაეკითხა—ბატონიანთსა რატომ აღარ დადიხარ სამუ-შაოდაო.

ქალმა აუწყა, რომ ამისთვის დიდი მიზეზი მქონდაო და იმწუთსვე ხმას დაუკლო, თითქოს ეშინიან ბავშვმა არ გამი-გონოსო. ახალგაზდა ბატონმა მეტი ნება მისცა თავისს თავს და პაულინას ის ერჩივნა უსაქმოთ ყოფილიყო, ვიდრე იმ ახალ გაზდას კვლავ შეხვედროდა, თუმცა იმ ჟამად მეტად გაჭირვე-ბული ვიყავიო.

გუსტავი გულმოდგინედ უსმენდა ქალსა. ეს სწორედ ის ამბავი იყო, რომლის შეტყობაც დიდი ხანია ენატრებოდა.

სწორედ ამ ახალგაზდაზედ ეუბნებოდნენ გუსტავს და თან დასძენდნენ ხოლმე, რომ ეს საქციელი პაულინასაც ჩირქსა სცხებსო. გუსტავი ჩასჩიჩინებდა, უნდოდა გაეგო—რა მოუხდა პაულინას ამ ახალგაზდა ვაჟთან და როგორ შორს წავიდა ეს უკანასკნელი თავისს სურვილების განხორციელებაში.

ლაპარაკზე ეტყობდა პაულინას, რომ ეს საქციელი მეტად აჯავრებდა და სულსა და გულს უმღვრევდა. ახალგაზდა ბატონ-ზედ ლაპარაკის დროს, რომელმაც საძაგელი წინადადება მისცა

უპატრონო ქალსა, პაულინა მეცად ილანძღებოდა და ახალგაზ-და ბატონს ცუდათ იხსენიებდა. მისი სახის გამომეტყველება და მიხვრა-მოხვრა სიტყვებზედ მეტად არწმუნებდა გუსტავს, რომ პაულინას ღალატი ვერ დაეწამებოდა.

გუსტავმა აგრძნობინა პაულინას, რომ ეხლა დავმშვი-დდი, რადგან დავრწმუნდი, რომ რაც გადმომცეს, სიტყვე-ბის რახა-რუხი ყოფილა მხოლოდაო. პაულინამ კი ეხლა გაიგო, რომ ეს ამბავი გუსტავსაც გაეგო ქალაქში, მაგრამ ვინ იყო, ვინ გამაშავა ასე შეუბრალებლად ჩემი საყვარლის თვალშიო?

გუსტავმა მხოლოდ ის უთხრა, რომ „ხალხმა" მითხრაო, და იმაზედ, რომ ეს ეჭვი და ეს ამბები თავიანთ ოჯახიდან მო-მდინარეობდნენ, საცა ამათ კავშირს დიდი ხანია ცერად უყუ-რებენ, გუსტავმა კრინტიც კი არ დასძრა.

პაულინას ძილიან ეწყინა ეს ამბავი. იმას ის უკლავდა გულსა, რომ გუსტავს ეჭვი შეუტანია იმაზედ, ასე დიდი ხა-ნი იტანჯებოდა და მე კი არაფერს მეუბნებოდაო. ქალმა უცბათ ხმა ჩაკმინდა. მაზედ შედგენილი აზრი პაულინას უსა-მართლოდ და დამამცირებლად მიაჩნდა და ამ წყენას კი ისე ჩვეულებრივ ქალურად გატაცებით და ფიცხათ ჰგრძნობდა. ქალმა არც კი შეხედა გუსტავს, ოთახის მეორე კუნჭულში მივიდა და რალაც ფუსფუსი დაიწყო.

გუსტავი საძაგლად ჰგრძნობდა თავსა. იმას მშვენივრად ესმოდა, რა საყვედურით უნდა უცქეროდეს ეხლა პაულინა, და დარცხვენილი წაღების წვერებს ისინჯავდა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, ისე რომ ბავშვის სუნთქვა-ღა გაისმოდა, რომელსაც ძე გაეთავებინა და ეხლა კმაყოფილი გორაობდა.

უცბათ პაულინა საწოლს მიუახლოვდა და ბავშვი აიყვა-ნა ხელში.

— შენ ბავში არც-კი გჭერია ხელში და!—უთხრა ქალმა და ბავშვი მამას გადააწოდა, თან ეტყობოდა ცრემლებს ძლივს-ღა იმაგრებდა.

გუსტავმა ბოლჩასავით ჩამოართვა დედას ბავშვი. ბიჭუნამ თვალები ბრჭყვიალა ბუზმენტებს დააცეცა.

— ჩვენ მოვნათლეთ კიდეც ბავშვი,—განაგრძო პაულინამ.—მაშინ გწერავდი, მაგრამ პასუხის ღირსიც კი არ გამხადე. პასტორი ძალიან გამიჯავრდა, რომ ასეთი ცოდვა შემემთხვა.

გუსტავმა გადასწყვიტა კიდეც, რომ დედაც და ბავშვიც თავისად ეცნო.

ბავშვი მამის ულვაშებისკენ იწევდა და პატარა ხელებს აფათურებდა—უნდოდა როგორმე ხელში ჩაეგდო ულვაშები, მაგრამ დედა ნებას არ აძლევდა.

— ყველანი გაიძახიან, ძალიანა ჰგავს გუსტავსაო. მართლაც, აბა შეხედე, თითქმის არავითარი განსხვავება არაა თქვენში.

ახალგაზდა მამამ პირველად გაულიმა თავის მსგავსებას. პაულინა ჩაეკრა გუსტავს და ხან ბავშს შეჰყურებდა სიყვარულით, ხან გუსტავს. ბოლოს უჭკუო ბავშვმა მაინც მოავლო მამის ულვაშს ხელი და სიხარულით საშინლად შეჰკივლა.

ასე, ამ გვარად პაულინა და გუსტავი ოჯახურ ბედნიერების სურათს წარმოადგენდნენ ამ ჟამად.

## IX

გუსტავმა სადილად დაიგვიანა. სახლში ესადილნათ კიდეც. მოხუცს სერთუკი გაეხადა, მიმჯდარიყო კუნჭულში და სთვლემდა. კარლს თუმცა ჩიბუხი ედო პირში, მაგრამ ამ ჩიბუხს ხომ მარტო ჭამის დროს ანებებდა ხოლმე თავსა. ქალებს სუფრა აელაგებინათ და ჭურჭელს რეცხავდნენ.

დედამ გაიკვირვა, რომ გუსტავმა ასე დაიგვიანა სადილად. უწინ იმას არა ჰქონდა ჩვეულებად, რომ სადილობამდის სამიკიტნოში მჯდარიყო. გუსტავმა დინჯად მიიღო ეს საყვედური—თითონ ხომ იცოდა დაგვიანების მიზეზი და მშობლებისთვის სრულიად არ იყო საჭირო, რომ იმათაც სცოდნოდათ.

ხმა-ამოუღებლივ მიუჯდა გუსტავი სასადილო მაგიდას და მუნდირი გაიხსნა, თითქოს საჭმელს უმზადებს თავისუფალ ადგილსაო. დედამ ბუხრიდან გამთბარი კერძი მიუტანა და მაგიდაზე დაუდგა.

ბიუტნერის ცოლი ასე ორმოცდა - ათის წლის ჯანსაღი დედაკაცი იქნებოდა. ეტყობოდა, უწინ ლამაზი სახის ადამიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა ჩანთასავით ჩამოკიდული ღაბები და უკბილო პირი ძეტად ამახინჯებდნენ. შეხედულობა გულკეთილი ადამიანისა ჰქონდა. შვილებში ყველაზე მეტად გუსტავი ჰგავდა დედას. თუმცა მოხუცი მოუხეშავი, ტლანქი ტანისა იყო და ძლივს იძვროდა, მაგრამ ამის მიზეზი ხომ გლეხობის დაუძინებელი მტერი რევმატიზმი იყო?!

ერთ ქალს უნდოდა მიხმარებოდა დედას, მაგრამ დედამ არ გაუშვა, რადგან უნდოდა შვილისთვის თავისი ხელით გაეშალა სუფრა. უნტერ-ოფიცერი იმისი საყვარელი შვილი იყო. დედამ მიუტანა რაც კი ჰქონდა მისატანი და დოინჯ-შემოყრილი გაჩერდა.

— აბა, ნახე, გუსტავ,—ღიმილით მიუბრუნდა დედა, როცა შენიშნა, რომ გუსტავი საჭმელზედ დამხობილ თეფშსა ხდიდა. თეფშზე ღორის ხორცი და მსხალი იყო ქონში გაკეთებული.

— შენი საყვარელი საჭმელია, შვილო,—განაგრძო დედამ ღიმილით და სანამ სულ არ გაათავა გუსტავმა სადილი, თვალი აღარ მოუშორებია, თითქო მოსიყვარულე დედა ყოველ ლუკმას გუსტავთან ერთად სჭამს და იმასავით გემრიელადა სთვლისო. ჭამის დროს ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ და თიხის ჯამის და კოვზის რახუნი-ღა ისმოდა. გუსტავი მათლაფებს არა ჰსაჭიროებდა. მოხუცი ბიუტნერი კუნჭულში ხვრინავდა და ღვთის წინაშე კარლიც კი მზად იყო ხვრინვა ამოეშვა, თუმცა პირში განუშორებელი ჩიბუხი ედო. ვეებერთელა ფეჩთან, რომელსაც ოთახის მთელი მესამედი დაეჭირა, ქალები მიკუნჭულიყვნენ და ცხელი წყლით სავსე ვარცლში ჭურჭელსა რეცხავდნენ.

მოხუც ბიუტნერს ორი ქალი ჰყავდა და მესამე კარლის ცოლი იყო.

ბიუტნერის ქალები გარეგნობით სრულიად არა ჰგვანდნენ ერთმანეთს. ვერავინ იტყოდა, რომ ეს ორი არსება დანი იყვნენ. უფროსი, ტონი, განიერ მხარ-ბეჭიანი, ჯანსაღი და შუა ტანის გოგო იყო. მისი მრგვალი, წითური სახე და ვარდის ფერი ტუჩები ლამაზად უფრო იმიტომ ეჩვენებოდა კაცსა, რომ ჯანსაღობისა და სიქორფავის ნიშნები იყვნენ. მაღალი მკერდით და მსხვილი ასოებით ტონი, სოფლური სილამაზის წარმომადგენლად ჩაითვლებოდა.

უმცროსმა, ერნესტინამ, ბევრი ხანი არ იყო რაც კონფირმაცია მიიღო და ასაკში ეხლა მოდიოდა. ერნესტინა მაღალი და ნარნარი ტანისა იყო და ისეთი ფაქიზი ხელ-ფეხი ჰქონდა, რომ სხვა ამ გვარს ძნელად თუ ვისმეს გამომძებნიდა კაცი სოფელში. მიუხედავად ამ სინარნარისა, ერნესტინა კაი ლონის და საღი ჯანის პატრონი იყო. შედარებით უფროს დასთან, ერნესტინა საშინელი მოძრავი და მარდი რამ იყო. საქმე ისე უწყალდებოდა ხელში, რომ ვერავინ შენიშნავდა ხოლმე.

ყველას ეშინოდა მამის გაღვიძებისა და სცდილობდნენ ჭურჭელი არ ერახუნებინათ. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ბიუტნერის გამოღვიძებაზე ყველაზე ნაკლებად მისი რძალი ტერეზა ჰფიქრობდა. ის დაბალის, მაგრამ ხრინწიანის ხმით ლაპარაკობდა, როგორც საზოგადოდ, ყველა ყიყვიანები ლაპარაკობენ ხოლმე. ტერეზა მაღალი და გამხდარი ტანისა იყო, გრძელი წამწკვეტებული ცხვირი ჰქონდა და ფერი წასული. ყველა ამასთან მსხვილ-ძვალა და მაგარ-კისერა იყო.

რძალმა გარეცხილი ჭურჭელი თახჩისკენ შესალაგებლად რომ წაიღო, ჩაძინებულ ქმარს გვერდით გაუარა და რა დაინახა, რომ კარლს ჩიბუხი გამოვარდნოდა პირიდან და მუხლებში გასჩერებოდა, რაღაც ზიზღით და დაუნდობლად წაჰკრა მუჯლუგუნი.

— ვაქკაცები ეგრეთი ძილის გუდები ბრძანდებით, მეტი კი არა იცით-რა! ჩვენ კი—ეს აალაგე, ის გარეცხე, სახლი დაგავე

და სხ. ცხოვრებაში ყველაფერი ესეა არეულ-დარეული. გაიღვიძე მეთქი, კარლ!

კარლმა ფიცხლავ ასწია თავი, გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა, ჩიბუხი ისევ პირში ჩაიჩარა, დიდი ხანი სწუწნა, მაგრამ მაინც მალე ჩაჰქინდრა თავი და თვალები ააბამხამა. მისი ძვირფასი ნახევარი კი დადიოდა გაშმაგებული და რაღასაც ჰბუტბუტებდა.

ტერეზა მართლა იმაზედ კი არ იყო გაჯავრებული, რომ ქმარი ძილის გუდა მყავსო, ამას ტერეზა დიდი ხანია შეეჩვია,— იმას ის უფრო აბრაზებდა, რომ დედამთილი გუსტავს ასე ანებივრებდა. ტერეზას ეგრე რიგათ არ უყვარდა თავისი მაზლი. რძალს ეგონა, მამამთილსა და დედამთილს უმცროსი შვილი უფროსზედ მეტად უყვართო. მაგრამ იმასაც კარგათ ჰხედავდა ტერეზა, რომ გუსტავი მართლა ბევრში სჯობდა იმის ქმარსა და ეს ხომ საშინელ შურსა და სიძულვილს უღვიძებდა გულში. ბოლოს ველარ მოითმინა და წასჩურჩულა მულებს, თუ კი ჩურჩული შეეძლო:

— დედა, რაც შეუძლიან, გუსტავსა სტენავს კიდე!

გუსტავმა ისადილა. დედის სასიხარულოთ, ცალიერ ჭურჭლისა და კოვზის გარდა სხვა აღარაფერი დარჩა მაგიდაზედ. მერე სიამოვნების ნიშნათ გუსტავმა ფეხები გასჭიმა—გაიზმორა, გემრიელად დაამთქნარა და შენიშნა, რომ კაზარმაში ამისთანა გემრიელ საჭმელს ვერასოდეს ვერ ეღირსებიო.

ამ დროს მოხუცმა გლეხმაც გაიღვიძა.

— გუსტავი არ მოსულა?—დაეკითხა მოხუცი და ნამძინარევი თვალები ოთახს მიავლ-მოავლო. ბიუტნერმა როცა გაიგო, გუსტავმა ისადილა კიდეცაო, გამოაცხადა, რომ გუსტავთან ერთად მინდორში მინდა წავიდეო.

გუსტავი სიამოვნებით დასთანხმდა მაგის სურვილს. იმას თითონაც ვერ გადაეწყვიტა დრო როგორ მოეკლა და გრძელი კვირა დღე როგორა გაეტარებინა.

მამასა და ძმას კარლიც გაჰყვა ოთახიდან, თითქოს ისიც იმათთან ერთად აპირებს მინდორში წასვლასაო. მაგრამ უცბათ

სადღაც გაჰქრა. კარლმა მხოლოდ შემოხვევით ისარგებლა, რომ გასულიყო ოთახიდან და სათივეზედ დაეძინა, სადაც ცოლი ველარ შეაწუხებდა.

ბიუტნერს სამი შენობა ჰქონდა სოფელში, რომელნიც სამხრეთით გახსნილიყვნენ და ოთხ კუთხს წარმოადგენდნენ. საცხოვრებელი ხის სახლი თიხით იყო გალესილი, გვერდზედ რაღაცა ჰქონდა მოხუხულავებული და კრამიტ წახურული იყო, თუმცა ბიუტნერის მამის ხელში ჩალა ეხურა. ეს სახლი, შავი ბოძებით და თეთრათ შეღებილი კედლებით, მეტად კოპწია, ლამაზი, მაგრამ ძველებური და მაგარი იყო. გამხმარი ფოთოლი და ხავსი, რომლითაც მოფარებული იყო ხოლმე ზამთრობით სახლი, ჯერაც არ იყო ალაგებული. ეტყობოდა, აქ მცხოვრებლებს ძალიან უნდა ჰყვარებოდათ თავიანთი ბუდე, რადგან კარგათ უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ.

სარაიასა და ორ კალოს ერთი გრძელი და მაღალი სახურავი ეხურა. მესამე შენობაში საჯინიბო, ბოსელი და საღორე იყო. ეს შენობები ჩალით იყო წახურული. ყველაფერზედ ნათლად ეტყობოდა, რომ აქაურობაზედ რამდენიმე შრომის მოყვარე და გამჭრიახ ჭკუის მოდგმას ეპატრონა. ვერსად გაუკეთებელს ვერც ნაჭვრეტს ვერ ნახავდა ადამიანი და ვერც გახვრეტილს. შუა ეზოში ნაგავი იყო დაგროვილი და იქვე იმის გვერდით სითხის გამოსაწოვი მანქანაც ეგდო. სარაიაზედ პატარა კოშკის მსგავსი სამტრედე იყო ამართული, რომელშიც მტრედები თავისუფლად შეჰფრინდებოდნენ და გამოჰფრინდებოდნენ ხოლმე. უკედლებო ჩარდახის ქვეშ ხელნიო ეზოსკენ მიბრუნებული ეტლები და ურმები იყვნენ გაჩერებული. სარაიას სახურავს ქვეიდან კიბეები ჰქონდა მიმაგრებული. შეშის საწყობში სამზარეულოსთვის დაპობილი შეშა, ცეცხლის წასაკიდებელი ფიჩხი და დაუხეთქავი მსხვილი კუნძები ეყარა. აქვე საკირე ორმო იყო გათხრილი, ერთს ადგილას ქვიშა იყო დაგროვილი და ცელების გასალესი ქვა ეგდო.

როგორც ყველა კეთილ-გონიერ ოჯახში, აქაც უმთავრესი ყურადღება სასარგებლოსა და უსაჭიროეს საგნებზედ იყო

მიქცეული, თუმცა არც სიამოვნება დავიწყებოდათ პატრონებს. სამხრეთით და აღმოსავლეთით მოაჯირით შემოზღუდული ბაღი ჰქონდა სახლს გაშენებული. ამ ბაღში სასარგებლო მწვანილეულობის გარდა მოხუცი ბიუტნერის ცოლი სხვა და სხვა ყვავილებსაც სთესავდა ხოლმე და უფრო კი იმისთანებს, რომლებსაც ძლიერი სუნი ჰქონდათ ან და შესახედათ ლამაზი და შნოიანი იყვნენ. იმისთვი კი, რომ უფრო მეტად დამშვენებულიყო ბაღი, აქა-იქ დარჭობილ ჯოხებზედ ბრჭყვიალა მრგვალი შუშები იყო ჩამოცმული. ბაღის ერთ კუნჭულში ფიცრის ფანჩატური იყო აგებული, რომელიც ზაფხულობით მთლად სპარსული ყვავილებიან ცერცვით იყო ხოლმე დაფარული; ბაღის იმ ნაწილში, სადაც ყვავილი არ მოსჩანდა და მარტო ბალახი იყო მოსული, ხეხილები იდგა, მაგრამ ისეთი მსხვილი იყო ყველა მათგანი, რომ ასი წლის დარგული ეგონებოდა ადამიანს. ძალიან ლამაზი იყო სახლში შესავალი კარები. ნათალი ქვის სამ საფეხურს ზეით მიჰყავდა. წირთხი და კოჭიც ნათალი კლდისა ჰქონდა. კარებზედ მიკრულ ფიცარზედ შემდეგი წარწერა იყო ამოჭრილი „ყველანი საფუძვლიანად ვაშენებთ და წუთისოფლის სტუმრები კი ვართ; იქ კი, საცა სამუდამო და საუკუნო სამყარო გვაქვს, ცოტას ვიშენებთ“.

გუსტავი და მამა ხმა ამოუღებლივ, თითქოს სიჩუმის პირობა აქვთ მიცემულიო, საჯინიბოსკენ წავიდნენ, რადგან ახლად ნაყიდი ორი წლის ცხენი ყველას აინტერესებდა იმ ჟამად. გუშინ საღამოს ჩამოსული უნტერ-ოფიცერი აგერ მეოთხედ მიდიოდა ახალი ცხენის სანახავათ, ერთხელ კარშიც გამოიყვანა, რადგან ძალიან უნდოდა გაეგო, რანაირი სიარული ჰქონდა, მაგრამ თავისი აზრი კი მაინც ჯერ არ ეთქვა, თუმცა კარგათ იცოდა, რომ მოხუცი ამას მოუთმენლად ელოდა. გუსტავმა ეხლაც კი არაფერი სთქვა, თუმცა ცხენს ოთხივე ფეხის ძარღვები გაუშინჯა.

ამგვარ შემთხვევებში საკვირველი რამ იყო ბიუტნერის საგვარეულო. იმათ ყველაზედ მეტად შინაურობაში თავიანთ

აზრის გამოაშკარავებისა ეშინოდათ. ხშირათ მთელი კვირა გაივლიდა ხოლმე ისე, რომ ოჯახისთვის დიდ და მნიშვნელოვან საგნებზედ ერთ სიტყვასაც კი არ დასძრავდნენ. ყველა კარგათა ჰგრძნობდა, რომ მძიმე ტვირთი იყო ეს სიჩუმე, მაგრამ ბაგე მაინც დაკეტილი ჰქონდა. მხოლოდ რაიმე შემთხვევის გამო ან და დიდი გაჭირვებით თუ გაეხსნებოდათ ხოლმე ენა. ისე გამოდიოდა, თითქო შინაურებში რცხვენოდათ იმ საგნებზედ ლაპარაკი, რომლებზედაც უცხო პირებთან თავისუფლად და სიამოვნებით ილაპარაკებდნენ. იქნება ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ყველა მათგანმა კარგათ იცოდა მეორე რასა ჰფიქრობდა და რა შეხედულებისა იყო და აგრეთვე ისიც იცოდა, რომ მეორემაც კარგათ იცის თითონ იმისი შეხედულობაც.

მამა-შვილი კაი ხანი დასტრიალებდნენ ცხენსა და გავაზედ ხელს უსვამდნენ, მერე თავლაში ბზე ჩაუყარეს და ორთავენი ხმა ამოუღებლივ კარში გავიდნენ. ეზოში დიდი ხანი არ დარჩენილა გუსტავი. მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ჩამოვიდა გუსტავი სოფელში, ოჯახში არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო, ახლად დაყრილი გოჭები და ბოსელთან მიბმული ხბორები ხომ დილით ეკლესიაში წასვლის წინვე დაათვალიერა დედასთან ერთად. ამიტომ ეზოში აღარ შეჩერებულან მამა და შვილი და დაუყოვნებლივ გალავანს გასცდნენ. იმათი მიწა გრძელ ნაჭერს წარმოადგენდა, რომელიც სოფელთან იწყებოდა და ტყემდის მიდიოდა. ბიუტნერების ტყეში პატარა რუ მოჩუხჩუხებდა, რომელიც სოფლის მდინარეში ჩადიოდა. რუს ნაპირებზედ სათიბი მინდვრები ბიუტნერის მფლობელობის ქვეშ იყვნენ. ეზოდან დაწყებული ტყისკენ განიერი შარა გზა მიდიოდა, რომელიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მინდვრის სამუშაოებისთვის და რომელიც ადგილ-ადგილ ჯაგით და ბალახ-ბულახით იყო ავსილი.

მამა-შვილი ნელის ნაბიჯით გზის სხვა და სხვა ნაპირებზედ მიდიოდნენ. დღეს არაფერი სამუშაო ჰქონდათ და ორთავენი თავისუფლები იყვნენ, მაგრამ ერთი მეორის მოლოდინში—რომ ის დაიწყებს ლაპარაკსაო—ორთავენი გაჩუმებული

მიდიოდნენ. მიუახლოვდებოდნენ თუ არა რომელსამე ახალ საქცევს, მოხუცი ბიუტნერი გაჩერდებოდა და შვილს ცერად გადახედავდა. ეტყობოდა, შვილის აზრის გაგება უნდოდა.

არც თუ გუსტავი ეკიდებოდა ამ საქმეს გულგრილად. სოფელში დაბადებულს და სოფელშივე აღზრდილს, მეტად უყვარდა მამა-პაპეული მამული, სადაც ყოველი ჯირკვი და ყოველი ქვა ნაცნობი იყო მისთვის და ძვირფასი. მას შემდეგ, რაც გუსტავი სალდათად გაიყვანეს, მოხუც ბიუტნერს ერთხელ და ორჯერ არ მოუგონია უმცროსი შვილი და ერთხელ და ორჯერ არ შეუნიშნავს, რომ გუსტავის შველა ძალიან იყო მამულისთვის საჭირო.

მიწისა და შენობების ნამდვილ მემკვიდრე კარლს, როგორც მემამულესა და მუშაკ კაცს, გუსტავის ნახევარი უნარი და ცოდნაც კი არ მოეპოვებოდა.

მამა-შვილმა რამდენიმე ქცევა გასინჯეს და ეხლა იონჯის წინ გაჩერდნენ. მამამ მწვანე ხავერდსავით მობიბინე მინდორზედ მიუთითა შვილსა.

— ამისთანა იონჯას მთელ მაჰრაში ვერ იპოვნი,—უთხრა მამამ. —ეხედავ? გალბენაუში ჯერ არც ერთ გლეხს არ მოსვლია ამგვარი იონჯა. შვრიაზედ კი არის დათესილი! ამისთანა იონჯაში აპრილშიც კი დაიმალებოდა კურდღელი!

ბიუტნერს განივრად გაედგა ფეხები, ხელები ზურგზედ შეეწყო და ხნიერი პატიოსანი და მზე მოკიდებული გლეხური სახე სიამაყითა და სიამოვნებით უბრწყინავდა. ბოლოს, როგორც იყო, შვილმაც ხმა ამოიღო და მეტად გაახარა მამა. გუსტავმა გამოაცხადა, რომ ამისთანა იონჯა საალდგომოდ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ბარსადაო.

როცა მშვენიერ სურათის ცქერით გაძღნენ, მამა და შვილი დინჯის ნაბიჯით ისევ განიერ შარა გზას გაუდგნენ. ეხლა კი, როცა სიჩუმე უკვე დარღვეული იყო, გუსტავი აღარ ჩუმდებოდა. აღლუმებისა და მინდორში სიარულის დროს ბევრი რამე შეენიშნა, ყველაფერი დაეხსომებინა და ყველაფერი შეეგ-

ნო. მოხუცმა ბიუტნერმა ბევრი კარგი რამე გაიგონა და ბევრი სასარგებლო მანქანის აღწერა მოისმინა.

— ერთი უყურე, ერთი უყურე!—შესძახებდა ხოლმე განცვიფრებაში მოსული მოხუცი.

დაუჯერებელ ამბებს უამბობდა შვილი. მაგალითად, მას ვერას გზით ვერ წარმოედგინა ისეთი მანქანა, რომელიც თითონ შეჰკრავდა ძნებსა. დასათესი თუ გასალეწი მანქანა თითონაც უნახავს და დაიჯერებდა კიდეც იმათ ამბავს, მაგრამ იმისთანა მანქანა, რომელიც თითონ მოჰკრიბავდა პურსა და თითონვე ძნებად შეჰკრავდა, ეს კი მეტის-მეტი იყო!...

— ეგ თუ მართალია, მაშ იმისთანა მანქანასაც გამოიგონებენ, რომელიც კართოფილს თითონ დაჰფლავს ან და ძროხას მოსწველავს. არა, მაგას მე ვერ დავიჯერებ. თუ მანდამდინაც მივიდა საქმე, მაშ ჩვენ, გლეხები, რიღას მაქნისები ვყოფილვართ? გლეხებს უმაგისოთაც გაუჭირდათ ცხოვრება, ბატონი ცაცხვსავით გვყვლეფავს, ვაჭარი სისხლსა გვწოვს და თუ ეგ მანქანებიც შემოვიდა, მაშინ კი ჩვენი წირვა გამოსულია!..

გუსტავი ყურს უგდებდა და ჩუმად იღიმებოდა, რადგან ამ უკანასკნელ დროს გლეხურ ცრუმორწმუნოებას და იმათებურ სჯა-ბაასს შესამჩნევად ჩამორჩენოდა. გუსტავი შეეცადა დაემტკიცებინა მამისთვის, რომ ახალ გამოგონების შემდეგ სრულიადაც არ დაქვეითდება ჩვენი ცხოვრებაო; პირიქით, უნდა ვეცადნეთ კარგად მოვიხმაროთ ეს მანქანები და რამდენადაც კი შეიძლება, ვისარგებლოთ მითიო, მაგრამ მოხუცი თავისას გაიძახოდა, თუმცა დიდის სიამოვნებით კი უგდებდა შვილის ლაპარაკს ყურსა. გუსტავი ჩქარსა და ლამაზ ლაპარაკს შესჩვეოდა ქალაქში და ეს ხომ უსაზღვროდ ახარებდა მოხუცს და ამაყურ გრძნობას ულვიძებდა, მით უმეტეს, რომ თითონ ორ-სამ სიტყვას ძლივს გადააბამდა ხოლმე ერთმანეთს. მიუხედავად ამ სიამოვნებისა, მოხუცი მაინც ჯიუტად იდგა თავის აზრზედ. ყველა ეს მანქანები და სხვა გამოგონებანი გლეხებისთვის არ არიან, არა და არა! მაგისთანა რამეებს ჩვენ დასაღუპავად და დასანელებლად იგონებენ მარტო.

ასე ლაპარაკით და ბაასით მამა და შვილი ტყესაც მიუახლოვდნენ. აქ სახნავ-სათესი მინდვრები თავდებოდნენ და ჭაობიანი ადგილი იწყებოდა, იმის იქით კიდევ ჯერედ გაუკაფავი ჭალა იწყებოდა. ტვიისა, ცხრატყავას და მჭიდროდ ამოსულ მაყვლის ბუჩქებს შორის აქა-იქ ფიჭვის ხეები იყვნენ ამართულნი. ნიადაგი, სადაც გამხმარ ფოთოლს ერთს არ დააყენებდნენ ხოლმე, ისე იყო დასუსტებული და ჯან-გამოცლილი, რომ ამ ნიადაგზე კარგი ხის აღმოცენება სწორედ საკვირველება იქნებოდა.

მოხუცი ბიუტნერი, როგორც საზოგადოდ ყველა გლეხი, ტყის გაშენებას არ მისდევდა.

მოხუცს უკან გამობრუნება უნდოდა, მაგრამ გუსტავმა არა ჰქნა, რაკი აქამდის მოვიდა, ბუჩქნარის ნახვაც უნდოდა. მიწის ეს ნაჭერი ეხლანდელი მფლობელის მამამ იყიდა და სხვა მიწებს მიუმატა.

როგორც ეტყობოდა, მოხუცს არ უნდოდა, რომ შვილს ეს ადგილებიც დაეთვალიერებინა, ღვთის წინაშე საბუთიც კი ჰქონდა ამისი. ეს ერთი ქცევა მოუხნავი იყო და მინდორი ნაგვის ბალახით იყო სავსე, აი სწორედ ამისი რცხვენოდა მოხუცს და არ უნდოდა, რომ შვილს იქითკენ გაევლო.

— რა გაქვს იქ დათესილი?—გულ-უბრყვილოდ დაეკითხა გუსტავი.

— ხეირიანი არაფერი! ძალიან არის ბუჩქები გამაგრებული, გარდა მაგისა, ის ოხერი თხებიც სულ იქა ჰყრიან—აბა რა ამოვა იქ ხეირიანი?

მოხუცმა დამალა, რომ ამ ქცევას აგერ წელიწად ნახევარია არც გუთანი მოხვედროდა და არც ფოცხი.

— გრაფი ჩვენი ტყის ყიდვას მაინც კიდევ აპირებს?—დაეკითხა გუსტავი.

ამ კითხვამ-კი გააწიწმატა მოხუცი.

— დიაღ, მითამ გამიყიდია კიდეც, ვერ მივართვით!—შეჰყვირა უცებ მოხუცმა.—სანამ ცოცხალი ვარ, ეს ვერ მო-

ხდება! როგორიც და რამოდენიც იყო ჩვენი მამული, სწორედ იმოდენი უნდა დარჩეს, ერთი მტკაველიც ვერ დააკლდება.

სიბრაზისაგან მოხუცს ყელში რაღაც დაეცო და ხრინწიანის ხმით დაიწყო ლაპარაკი.

— მეც ეგრე ვფიქრობ, მამავ,—მიუგო გუსტავმა.—მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ბუჩქნარი ყოვლად უვარგისია ჩვენთვის.

მოხუცი ბიუტნერი გაჩერდა, პირი ტყისაკენ ჰქნა და დაბეჯითებით წარმოსთქვა:

— ერთ მტკაველს არ გავყიდი მეთქი, არა და არა! ჩემს შემდეგ რაც გინდოდეთ, ისა ჰქენით. რამდენიც უნდა შემომაძლიოს გრაფმა, ჩემ ტყეს ვერ ეღირსება, ვერა!

მოხუცმა მუშტები მოკუმშა, გაჯავრებულმა გააფურთხა და ზურგი შეაქცია ტყეს.

გუსტავმა არა უთხრა-რა. ის კარგადა ჰგრძნობდა, რომ ცუდ საგანზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მეზობელმა მემამულემ რამდენჯერმე დააპირა ბიუტნერის ტყის შესყიდვა, მაგრამ ამაოდ.

ამგვარად მამულის შესყიდვა ძალიან იყო გალბენაუში გავრცელებული. მებატონის ძვირფასი და უდიდესი მამული სალანდი უწინ სრულიად პატარა და უმნიშვნელო იყო და ამ ზომებამდის თუ გაიზარდა, მემკვიდრეობის და გლეხთა მამულების შესყიდვის მადლიერი უნდა ყოფილიყო.

ბიუტნერის მამულს აგერ სამი მხრით ეკრა ეხლა მებატონის სამფლობელო. მოხუცი გულის ფანცქალით შესცქეროდა მებატონის მამულის წუთობრივ ზრდასა. მისი საკუთარი სისუსტე იყო იმის მიზეზი, რომ გულში მებატონის მამულის და თვითონ ბატონის სიძულვილი გაჰმეფებოდა. მას შემდეგ ხომ, რაც მებატონის ირმებმა ყანები გაუფუჭეს ბიუტნერს და სასამართლომ საჩივარზე მოხუცს გამოუცხადა, რომ ირმების პატრონი მოვალე არ არის ყანები გინაზღაუროსო, მტრული განწყობილება უფრო გაუორკეცდა.

მოხუცი და მისი შვილი რუს გვერდით მიმავალ ბილიკით მიდიოდნენ. ორთავე მხრიდან მინდვრეპიდან წყალი ჩადიოდა რუში. ბალახს მუქ ფერზე ეტყობოდა, რომ ნიადაგი აქ ნესტიანი უნდა ყოფილიყო. ისეთი ადგილებიც-კი ჰხვდებოდათ ხანდახან, საცა ნიადაგი იქამდის რბილი და ნესტიანი იყო, რომ ფეხებიც კი ეფლობოდათ ხოლმე შიგა. მთელი ეს მხარე ჭაობიან ადგილს წარმოადგენდა.

გუსტავმა შენიშნა, რომ ამ ჭაობების გაშრობა კარგი იქნებოდაო.

—მერე სადა მაქვს სამაგისო ან ფული, ან დრო?—დაიყვირა მოხუცმა.—ჩვენ უსაჭიროესსაც ვერ გავძღოლივართ და შენ ჭაობების გაშრობაზე ლაპარაკობ! გაშრობა! რომელიმე მებატონის ან საზოგადოების მამულებისთვის კიდევ ჰო, მაგრამ რა გლეხი კაცის საქმეა ჭაობების გაშრობა?

მოხუცმა ალარ დააბოლოვა თავისი ლაპარაკი, რადგან ფიქრებმა გაიტაცეს. მოხუცს დიდი ხანი რაღაც აწუხებდა, რიღაცის თქმას უპირებდა შვილსა, მაგრამ ვერას გზით ვერ გაებედნა.

—ერთი წყვილი ხელი კიდევ არის საჭირო ჩვენი მამულისათვის, მაგრამ რას იზამ?—ძლივს დაიწყო მოხუცმა.—ვაჟ-კაცნი ცოტანი ვართ: მე და კარლი—მეტი ხომ არავინაა? მართლა, ქალები ბევრსა მუშაობენ, მაგრამ დედაკაცის მუშაობა გინდ ყოფილა და გინდა არა. სად უნდა გავუძღვეთ მე და კარლი ამოდენა მამულს? მესამე მუშაც უეჭველად საჭიროა.

გუსტავმა მშვენივრად იცოდა, რის თქმასაც აპირებდა მოხუცი. ეს ძველი ამბავი იყო, ახალი კი არა. თითონაც კარგად იყო დარწმუნებული, რომ მისი ხელები მართლა საჭირონი იყვნენ მამისთვის. გუსტავმა კარგად იცოდა თავისი ფასი და ისიც კარგად იცოდა, რომ კარლი იმას ვერ შეედრებოდა: ერთხელ და ორჯერ არ გაუგონია მამის წუწუნი, რომ მამული დაქვეითდა, რაც გუსტავი სალდათათ გაიყვანესო. მაგრამ ყველა ამ წუწუნს და ჩივილს არავითარი შედეგი არ მოსდევდა, რადგან გუსტავს სრულიად არ უნდოდა ოქროს

ბუზმენტები მამასთან დაქირავებულ მუშის ადგილზე გაეცვალა. მერე საკუთარი სარგებლობა რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ძმისა, დებისა და ოჯახისთვის თავი შეიწუხოს და წელებზე ფეხი დაიდგას? რადა? პირადად გუსტავისთვის აქ ხელსაყრელი და სასარგებლო ჯრა იყო რა. სულ ერთია, მამულის მემკვიდრე კარლი უნდა ყოფილიყო. აი რა, იყო იმის მიზეზი, რომ მამის ჩივილს გუსტავი მუდამ გულგრილად ისმენდა ხოლმე.

— საჭიროა და ერთი მუშა დააჭირე!

მოხუცი გაჩუმდა და გაბრაზებულმა ხელები გაპარჭყა.

— მუშა?—შეჰყვირა მოხუცმა.—ვინა, მე დავიქირაო მუშა? ერთი ეს გამაგებინე, რა გამოვა მერე მაგ საქმიდან. წლის მუშა ეხლა 60 ტალერი ჰღირს, იმის გარდა, რომ ჭამა და სმა უნდა. საშობაოთა და მომკის შემდეგ ილოთებს კიდეც. ისეც ბევრი დაღებული ხახა მყავს სახლში, ჯერ იმათ ესაჭიროებათ გაძღოლა, შენ კი მეუბნები, მუშა დაიქირავეო! აქ ოჯახის წევრია საჭირო, რომ ჯამაგირს არ აძლევდე. აი, როგორი მუშაა საჭირო!

ამის პასუხად უნტერ-ოფიცერმა მარტო მხრები შეიშმუშნა და მოხუცი გაჩუმდა. უკან ორთავენი გაჩუმებულნი მიდიოდნენ. მოხუცს სიბრაზისა და უსიამოვნებისაგან სახე უთამაშებდა, თითქო ჯერ არ გაუთავებია იმ საგანზედ ლაპარაკი. სახლში შესვლის წინ მოხუცმა მაგრათ ჩასჭიდა შვილს ხელი და ყურში წასჩურჩულა.

— ერთი წერილი უნდა გიჩვენო, გუსტავ. წამო, ოთახში გამომყე.

ამ სიტყვებით მოხუცმა წინ გაიარა და პირველი შევიდა ოთახში. სახლში დედისა და რძლის მეტი არავინ იყო. ტერეზას თოკები გაება, აკვანი გაემართნა და უმცროს შვილს არწევდა. ბიუტნერმა მაგიდის ყუთი გამოსწია და რაღაცას დაუწყო ძებნა.

— რას ეძებ, კაცო?—დაეკითხა ცოლი.

— კარლ ლებერეხტის წერილს ვეძებ, სად არის?

— მე შევინახე,—უთხრა მოხუცმა დედაკაცმა და კოჭლობით სადღაც გასწია.

— დამაცა პატარა,—დაუმატა მიმავალმა დედაკაცმა.

დედაკაცმა კამოდში შენახული კოლოფიდან გასაღები ამოიღო, შკაფი გააღო და ზეითა თახჩიდან რაღაც ძველი წიგნი გადმოიღო. კაი ხნის ფურცვლის შემდეგ, ბოლოს წერილსაც მიაგნო.

— აი, — შესძახა დედაკაცმა, წერილს რომ მოჰკრა თვალი.

მოხუცმა დიდის სიფრთხილით და თითქმის შიშით აიღო წერილი (ასე ექცეოდა ყოველ ნაწერს) და მერე შვილს გადასცა:

— აბა წაიკითხე, გუსტავ.

დიდ ფოშტის ქაღალდზე ფირმის შტემპელი იჯდა: „ს. გ. ბიუტნერი. სავაჭრო სახლი ნარდად და ცალცალად“ მერე ადრესი მოსდევდა ქვეშა. გუსტავმა წერილის ბოლოს დახედა. ქვეშ იმისი საკუთარი სახელი—გუსტავ ბიუტნერი ეწერა. მაშ, როგორც ეტყობოდა, წერილი იმისი ხნის ბიძაშვილისაგან უნდა ყოფილიყო დაწერილი, რომელიც კარლ ლებერეხტ ბიუტნერის ამხანაგი იყო ვაჭრობაში. გუსტავს მთელ თავისს სიცოცხლეში სულ ერთხელა ჰყავდა ნანახი ბიძა და ბიძაშვილი, ისიც, როდესაც ბიძამ და ბიძაშვილმა სამშობლო სოფლის სანახავად შემოიარეს რამდენიმე დღითა.

ეს კარლ ლებერეხტი მოხუცი ბიუტნერის მომდევარი ძმა იყო. კარლი ყმაწვილობაშივე იყო გალბენაუდან წასული, სადაც ყოვლად უნიჭო და უვარგისს ახალგაზდათ ითვლებოდა. ბევრმა წელმა ჩაიარა, მაგრამ კარლისა ალარაფერი ისმოდა, მერე უცებ ისევ გაჩნდა, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ ეხლა პატარა საწვრილმანო დუქნის პატრონი იყო ერთ პროვინციალურ ქალაქში და დაცოლშვილებული. ცოტა ხნის შემდეგ საწვრიმალო დუქანი „სავაჭრო სახლად“ გადააქცია.

ეს ორი ოჯახი, რომელთაგან ერთი ქალაქში სცხოვრობდა და მეორე—სოფელში, არაფრით არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი—თითქმის არც კი იცნობდნენ ერთმანეთს, მხოლოდ ოცდა ათი წლის წინად თითქოს ისევ დაახლოვდნენ, ესეც მაშინ მოხდა მხოლოდ, როცა ძმები სამკვიდროს იყოფდნენ. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში კი შემთხვევით თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ან და რასმეს გაიგონებდნენ ვისგანმე ერთმანერთის შესახებ. აი, სწორედ ეს გუსტავი იწერებოდა მამის სახელით, რომ ივანობისთვის უეჭველად უნდა გადაიხადოთ თქვენი ვალი, რომელიც სამკვიდროს გაყოფის შემდეგ თქვენ მამულს დაედოო. ამ ძალ დატანების მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ საქმის გასაფართოებლად ფულია ჩვენთვის საჭიროო. წერილი იმისთანა კილოთი იყო დაწერილი, რომ ვერავინ გაიგებდა, თუ დამწერი და მოხუცი ბიუტნერი ასე ახლო ნათესავები იყვნენ ერთმანეთისა. სანამ შვილი წერილს ჰკითხულობდა მამა, და დედა ზურგს უკან უდგნენ და წერილს ჩასცქეროდნენ.

— ხომ არაფერი გაარიგე?—დაეკითხა გუსტავი, როცა წერილი ბოლომდის ჩაიკითხა.

— რის თქმა გინდა, არ შესმის?—თავის ჯერად დაეკითხა მოხუცი და შვილს დააცქერდა.

— ფულის შოვნას ხომ არ შეეცადე მეთქი, გეკითხები? პირველ მკათათვისთვის ხომ გასწორებული უნდა იყო კიდეცა.

— აკი გეუბნებოდი, კაცო!—შეჰყვირა მოხუცმა დედაკაცმა,—რამდენჯერ გითხარ, კაცო, შეეცადე და როგორმე იშოვნე მეთქი ფული!

— მერე, განა არ შეეცადე? ბევრს დავესესხე. ერნსტ კაბელსაც მივმართე, მაგრამ დიდ სარგებელს თხოულობს—თუ გინდა, გასესხებ, მხოლოდ ექვს ნახევარი პროცენტი მაძლიეო.

— იმისგან მეტსაც არ მოველოდი!—შესძახა გუსტავმა.

კაშელიც ბიძა იყო გუსტავისა და გალბენაუში სამიკიტნო ჰქონდა გახსნილი. კაბელს ცოლად ბიუტნერის ერთი ქა-

ლი ჰყავდა, მაგრამ ეხლა კი დაქვრიებული იყო. გალბენაუში, სადაც ნაღდი ფულის შოვნა ძალიან ძნელი იყო, კაშელი პირველ შეძლებულ კაცად ითვლებოდა.

— უნდა ულონოთ რამე ამ საქმეს, თორემ, როგორც ვატყობ, გიჩივლებენ კიდეც, მამავ.—ცოტა ფიქრის შემდეგ დაიწყო გუსტავმა.

— ღმერთო ჩემო! რამდენი შემოგძახე, რამდენი!—თავისას გაიძახოდა დედაკაცი.—რამდენჯერ გითხარი, იშოვე ფული, თორემ აგიწერავენ სუყველაფერს და დავიღუპებ თ მეთქი.

— არა მგონია, რომ კარლ ლებერეხტმა მაგისთანა სისაძაგლე ჩაიდინოს,—ჩაურთო მოხუცმა, თუმცა თვალებზედ და მთლად სახის გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ თითონაც დიდ შიშში იყო.

— ისინი ისეთები გახლავან, რომ დიდხან ლოდინს არ დაგიწყებენ,—მიუგო გუსტავმა.

— ჰხედავ, ტრაუგოტტ? გუსტავიც იმას გეუბნება!—შეჰყვირა ისევ დედაკაცმა.—აი როგორი მამა ბრძანდება, ფიქრის მეტს კი არაფერს აკეთებს. მოვლენ და რაც გვაბადია, ყველაფერს აგვიწერავენ, ეს გინდა რაღა, მეტი ხომ არაფერი!

მოხუცმა ბიუტნერმა მკაცრად გადახედა დედაკაცს. ეს სიტყვები კი მეტის-მეტი იყვნენ, მათი მოთმინება აღარ შეიძლებოდა.

— შენ ეი, ხმა ჩაიკმინდე!—დაუყვირა მოხუცმა.—შენ, განა, გესმის რამე ამ საქმეში?

დედაკაცს, როგორც ეტყობოდა, ისე ეს სიტყვები არ ეწყინა, როგორც საქმის ამგვარად გაფუჭება და გახლართვა. იმან ნაღვლიანად ჩაჰქინდრა თავი და თავისს კუნჭულისკენ გასწია. გუსტავი ჩაფიქრდა, რომ რაიმე რჩევა მიეცა მამისათვის. პირველი აზრი ისევ ტყის შესახებ მოუვიდა გუსტავს თავში და კინაღამ ურჩია კიდეც მამას ტყის გაყიდვა, მაგრამ, დილანდელი მისი გაშმაგება რომ მოიგონა, ამაზე ხმის ამოღება ველარ გაბედა. გუსტავი კარგად იცნობდა თავისს მამას და კარგათ იცოდა იმის ჯიუტი ხასიათი—თუ ერთხელ რამეს

იტყოდა, ალარას გზით ალარ გადუხვევდა თავის გადაწყვეტილებას.

— ერთ რამეს გირჩევ, მამავ,— დაიწყო ბოლოს გუსტავმა:— რაც შეიძლება მალე უნდა წახვიდე ქალაქში. აქ ხომ შენც კარგათ იცი ერნსტ კაშელის გარდა სხვა ალარავინაა ფულიანი კაცი. ქალაქში კი, მე მგონი, უფრო ადვილი იქნება ფულის შოვნა.

— მეც კი ვფიქრობდი მაგაზედ,— წაილაპარაკა ღრმათ ჩაფიქრებულმა ბიუტნერმა; შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ თოკის ჭრაჭუნი-ღა ისმოდა, რომელშიც ტეტრეზა ბავშვს არწევდა.

ამ დროს მოხუცის გასათხოვარი ქალები შემოვიდნენ ოთახში. ტონი სადღესასწაულო ტანთსაცმელში იყო გამოწყობილი. მის სრულსა და მოსულ სხეულს მჭიდროთ შემოსჭეროდა ბაცი ცის ფერი კაბა და რადგან წინიდან ცოტა მოკლე იყო, ულამაზო ფეხსაცმელები თავისუფლად უჩანდნენ. გულზედ დიდი ბრჭყვიალა შუშის ბროშკა ჰქონდა გარჭობილი და ქერა თმაზედ იმოდენი პომადა ჰქონდა წასმული, რომ ადგილ-ადგილ შავათაც კი მოუჩანდა თმა. როგორც ეტყობოდა, ტონის თავი ძოჰქონდა თავისს ტანთსაცმელით. სიარულის დროს წელში გაჭიმული იყო და არამც თუ ვერ იხრებოდა, თავისუფლადაც ვერ მოძრაობდა, რადგან კორსეტს, გახამებულ საყელოს და ყაითნებით შეკრულ ფეხსაცმელს ის სრულიად არ იყო შეჩვეული. ყველა ამაში ტონი დედოფალას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

გუსტავმა, რომელსაც ქალაქში ცხოვრებით გემოვნება განვითარებოდა, ტონის დანახვაზედ ჩუმათ ჩაიღიმა. ტონიმ, მოვიდა თუ არა, ძმას ახარა, რომ დღეს სამიკიტნოში ცეკვა იქნება გამართულიო. იმან კარგათ იცოდა, რომ ძმა გააცილებდა სამიკიტნოში, სწორედ იმიტომ მოირთო ასე ძალიან, რომ გუსტავის გემოვნება დაეკმაყოფილებინა. მოხუცმა ბიუტნერმა, რომელსაც ჭირივით ეჯავრებოდა ზიზილ-პიპილები და გამოკვანძული სიარული „სამების ძროხაზედ“ დაიწყო ბუტბუტი. მაგრამ ქალს

დედა წამოესარჩლა: რა არის, კვირა დღით მაინც გაატაროს გოგომ პატარა რიგიანად დრო; დილიდან საღამომდის განუწყვეტლივ მუშაობაშია—მინდორში, შინა თუ საბძელშიო.

ვახშამი ძალათი დაიწყეს ჩვეულებრივზედ უფრო ადრე, რომ ყმაწვილებს უფრო მეტი დრო დარჩენოდათ საცეკვაოდ და სამხიარულოდ.

გუსტავმა ტონის მოლოდინი არ გაუმტყუნა და მართლა გაცალა სამიკიტნოში. გზაში ტონიმ უამბო ძმასა, რომ სამიკიტნოს პატრონის, ერნსტ კაშელის ქალი—ოტილია რამდენჯერმე დამეკითხა, გუსტავი მოვა ჩვენ საცეკვაო საღამოზედ თუ არაო. მოჰკრა თუ არა გუსტავმა ოტილიაზედ ლაპარაკს ყური, სიცილი ვეღარ შეიმაგრა. ოტილია გუსტავზედ თუმცა რამდენიმე წლით იყო დიდი, გალბენაუში მაინც კარგ გასათხოვარ ქალად ითვლებოდა, რასაკვირველია, ერნსტ კაშელის შეძლების გამო. უწინ ერთხელ-ორჯერ ნება მისცა გუსტავმა თავს თავს და ოტილიას გაეხუმრა. გუსტავმა მშვენივრად იცოდა, რომ ოტილია დიდის სიამოვნებით მისთხოვდებოდა, მაგრამ გაიხსენებდა თუ არა იმის გარეგნობას, სიცილი წასკდებოდა და ზიზღს იგრძნობდა ხოლმე. იმ ნაწილში, რომელშიც თითონა მსახურებდა, ერთი ბებრუხანა, გახრეკილი ცხენი ჰყავდათ და აი სწორედ ამ ცხენს აგონებდა ხოლმე ოტილია.

გუსტავმა მიაცილა დაი და თითონ კი უკან გამობრუნდა, თუმცა დაჰპირდა—ცოტა ხნის შემდეგ შემოვივლიო. მეორე სართულის დარბაზი გაჩაღებული იყო უკვე; ჯერ ისევ ქუჩიდანვე ისმოდა მუსიკის მგრგვინავი ხმა და მოცეკვავეთა ფეხების ბრაგუნი. მაგრამ გუსტავს ეს ბევრად ვერ ეჭაშნიკებოდა, რადგან სხვაგვარი სიხარული და სიამოვნება მოელოდა ერთგან. ბაღებსა და სახლებს შუა დარჩომილ ბილიკებით წავიდა გუსტავი და სიბნელეში ძლივს-ღა არჩევდა საგნებს. მაგრამ ვიღაც გზათ მომავალი ახალგაზდები კი მალე შენიშნა და ლობეზედ გადაძვრა, რადგან ლაპარაკის და ლაყბობის თავი არა ჰქონდა ეხლა.

პაულინას სანათი არ გაექრო ოთახში, რადგან გუსტავის

მოლოდინში იყო. მიუხედავათ იმისა, რომ დღეს დილით კრინტიც კი არ დაუძრავთ ამ შეხვედრის შესახებ, ორთავემ კარგათ იცოდნენ ამ საღამოს რაც უნდა მომხდარიყო.

გუსტავმა ფრთხილად, ძლივ გასაგონათ დაუკაკუნა ფანჯარა და ერთი წუთი ლოდინიც არ დასჭირებია, რადგან იმ წუთსვე ვილაცამ ფარდა გადასწია. რაღაც თეთრი გამოჩნდა შუშებს იქით, მერე გაიღო ფანჯარა და ჩუმი ჩურჩული გაისმა.

— კარი ღიაა, გუსტავ! ჩუმათ კი,—დედა შინ არის.

უნტერ-ოფიცერმა წაღები გაიხადა და ხმა ამოუღებლივ პაულინას გადააწოდა. მერე კატასავით ფრთხილად შეძვრა დაბალ კარებში და იმ წუთსვე პაულინას ოთახში სანათი ჩაჰქრა.

**იგ. ბოდუმორდვინოვი.**

(შემდეგი იქნება)

# მსხვერპლი

## კომედია სამ მოქმედებად

### ალფ. დოდესი.

## მომქმედნი პირნი:

ფრანკეიროლი.
ჟურდეილი მამა.
ანრი ჟურდეილი.
მარგარეტ.
პიპეტი.
ნამუნი, პატარა არაბი.
ქ-ნი ჟურდეილი.
ლუიზა.

## მოქმედება პირველი

ძირის სართულის სასადილო ოთახი მეტად ნათელი და მხიარული რამ არის; მოწყობილობა მთლად თეთრის მუხისაა. შიგნით, სიღრმეში, სამზარეულოს კარები ნახევრად გამოდებულია, საიდგანაც მოჩანან ბჭეკვრიალა წითელი სპილენძის ქვაბები და ახლად მოკალული თეთრი რკინის საციქველი. კარების თავზე დიდი ვერცხლის მედალი ჰკიდია, რომელსაც გახუნებული დაოქვრილი დათვნის ფოთლები არტყია კარსა. მარცხნივ, ავანსცენის მახლობლად, ფანჯარაა; იმავე კედელში, მოშორებით, სოფლის ქუჩაში გამავალი კარებია. ფანჯარასა და ამ კარებს შუა პატარა ქვის დუმელია. მარჯვნივ დიდი ბუფეტი სდგას და ხის რაფებია გარიგებული, სადაც ჭურჭელი ადგია. კედელთან მაგიდა სდგას, კედლებზე უველგან მედალიონები, უსკიზები, ნახატები, ეტიუდები, პატარ-პატარა სურათებია გამოფენილი.

## გამოსვლა პირველი

ქ-ნი ჟურდეიღი და ლუიზა.

ქ-ნი ჟურდეიღი (თავი ჩაუკიდნია და ანგარიშობს). ექვსი, თორმეტი, თხუთმეტი, ოც-და-ოთხი...

ლუიზა (ჩუმად წაადგება). დედი!

ქ-ნი ჟურდეიღი. ოთხს დავწერ, ორს დავიხსომებ.

ლუიზა (ხმა-მაღლა). დედი!

ქ-ნი ჟურდეიღი. ორს დავიხსომებ...

ლუიზა (უფრო ხმა მაღლა). დედი!

ქ-ნი ჟურდეიღი. ჰა? რა იყო?

ლუიზა. ძლივს არ ვეღირსე, მადლობა ღმერს! ყური დამიგდე, დედი, აბა, გამოიცანი, რას ვაკეთებ?

ქ-ნი ჟურდეიღი (არ უტქერის). რასა და ერბოკვერცხს უთუოდ?

ლუიზა. უკაცრავად, ერბოკვერცხსაო! ერბოკვერცხს - კი არა... კრემს!

ქ-ნი ჟურდეიღი. კრემსა? ოჰო!

ლუიზა. მერე, ნამდვილს კრემსა, განა. თორემ თავდები ვარ. აბა, უსუნე, რა მშვენიერი სუნი აქვს!

ქ-ნი ჟურდეიღი. საუცხოვოა. (ისევ ანგარიშს მიუბრუნდება). ოთხი დავწერე... მერე...

ლუიზა. ანრი სწორედ გაკვირვებული დარჩება. ხომ მუდამ იმას ამბობდა ხოლმე, კაი კრემის გაკეთება მარტო დედამ იცისო. არა, შეეხედე ერთი, ასე სუფთა და ასე თეთრი ყოფილა როდისმე შენი კრემი?..

ქ-ნი ჟურდეიღი. ჩემი კრემი?.. არასოდეს.. ორს დავიხსომებ.

ლუიზა (ხარხარებს). კიდევ! იცი რა არის, დედა, მთელი საათია მაგ ორს იხსომებ. მთელის საუკუნის განმავლობაში ხომ სულ ერთს რიცხვს არ შეაბერდები.

ქ-ნი ჟურდეილი. კარგია, შვილო, ანგარიშს ნუ მარევინებ. შენ უთუოდ დაგავიწყდა, საცოდავო, რომ დღეს ოც-და-თერთმეტია ამ. თვისა.

ლუიზა. დამავიწყდა და ისიც მე? პირ-იქით, შენზე უკეთ მახსოვს, რომ დღეს მკათათვის ოც-და-თერთმეტია.

ქ-ნი ჟურდეილი. რაო, ღმერთო ჩემო? რას მაშინებ... ნუ თუ დღეს კიდევ სხვა რამეცა გვაქვს გადასახდელი? ჩემს ანგარიშში არა სჩანს-რა, ვგონებ...

ლუიზა. არა, გადასახდელი არაფერი. საქმე ეგ როდია. და ან, განა, რაღაც ვალის გადასხდელ ვადისათვის ამ-დენს ვიშრომებდი და ასეთს საუცხოვო კრემსა და სადილს დავამზადებდი!.. არა, აბა, მოიგონე... მკა-თათვის ოც-და-თერთმეტი რა დღეა?

ქ-ნი ჟურდეილი. მკათათვის ოც-და-თერთმეტი?..

ლუიზა. სწორედ ექვსის წლის წინად ანრი ვენეციაში მო-ვიდა...

ქ-ნი ჟურდეილი (შეკრთება). ოხ, მართლა!

ლუიზა ...და გემიდგან რომ გადმოდიოდა, ზღვაში ჩავარდა, ასე რომ პიერ ფრანკეიროლი არ შეჰსწრებოდა...

ქ-ნი ჟურდეილი. მართალია, მართალი... მკათათვეში მოხდა ეგ ამბავი... ოჰ! რა საზარელია ეს მოგონება!

ლუიზა. წლის თავი, ვგონებ, შესანიშნავია!... მერე, რა კარგა მოხდა-და, სწორედ ხუთშაბათობით, როცა ანრი გვინახულებს ხოლმე... სამაგიეროდ, მეც სამაგალი-თო სადილს ვუმზადებ... კრემს, ღუზელებს, დესერ-ტად—სიურპრიზს! მაგრამ ისეთ შესანიშნავსა და არაჩვეულებრივს სიურპრიზს, რომ რაღა ვთქვა!..

ქ-ნი ჟურდეილი (ჩაფიქრდება). ექვსი წელიწადი! წარმოიდგი-ნეთ, თუ არ ეს კეთილი პიერი, შვილს თვალით ვეღარა ვნახავდი...

ლუიზა. ეჭვი არ არის. რა კაცია ეს პიერ ფრანკეიროლი! ოხ, თუ-კი დაგვხედავს ოდესმე, მაშინა ნახეთ, რა კრემს გავუკეთებ... ამას კი არ ეგვანება... ოჰ! ის სულ სხვა რამ იქმნება.

ქ-ნი ჟურდეიღი. ეჰ, ვინ იცის, გვნახამს როდისმე! აბა, იმ დაუ-
დეგარს აქ რა მოიყვანს? სულ ერთ-თავად მოგზაუ-
რობს, ზღვაზე დასცურავს. ვილ დ'ავრეში ხომ გე-
მით არ მოვა. (ისევ ანგარიშს დაუბრუნდება). ვერასო-
დეს თვალსაც ვერ დავკრავთ.

ლუიზა. უცნაური მეგობრობა კი გვაქვს. ყოველ დღე იმის
გონებაში ვართ, წერილებსა ვწერთ, ვინ იცის, რო-
გორ არ გვიყვარს და ნახვით კი ვერასოდეს ვერა
ვნახავთ. წარმოიდგინე, აბა, M-er პიერი რომ პა-
რიჟში მოჰხვედროდა, შეიძლებოდა ერთს ქუჩაზე
გვეცხოვრა, ომნიბუსში ერთადა ვმსხდარიყავით და
არა გვცოდნოდა-კი, თუ ის არის.

ქ-ნი ჟურდეიღი (დაბნეული). რასაკვრელია.

ლუიზა. მე მაინც ხშირადა ვფიქრობ ხოლმე ამაზე. შევხედავ,
აგერ, ქუჩაში ვიღაცა მიდის და გავიფიქრებ ხოლმე:
იქნება ისაც არის-მეთქი? და მაშინვე გული დამი-
წყებს ძგერასა... შენ, შენ არსად მოგსვლია ასრე,
დედი, ჰა? გამომიტყდი...

ქ-ნი ჟურდეიღი (ანგარიშის წიგნს თავს არ ანებებს). ოხ, მაცა,
შვილო, გავათავო. ახლავე შენი ძმა მოვა და, ხომ
იცი, ვცდილობ ხოლმე ანგარიშები მუდამ სწორეთა
მქონდეს.

ლუიზა. მერე რა არის... განა, ამ ჟამად ეგრე გართულდა ე
ანგარიში? (კრემს მაგიდაზე დასდგამს და დედასთან მივა).
აბა, ფინანსთა მინისტრო, განმარტეთ... მიპასუხეთ,
აბა, ამ კითხვაზედ— რა ჰქვიან?.. ჰო, პალატის კი-
თხვაზე.

ქ-ნი ჟურდეიღი. შენ სუ იცინი... რა გიჭირს...

ლუიზა. არა, დედას მზემ, არ ვიცინი... ვამბობ მხოლოდ მას,
რაც მამას გაზეთში სწერია ხოლმე... იქ კი ისეთი
მოწყენილობაა!.. (სვარძდის საზურგულს დაეყრდნობა).
აბა, მიჩვენე ემა საძაგელს წიგნში რა გიწერია?

ქ-ნი ჟურდეიღი. ოჰ, სულიკო, ვერ წარმოიდგენ რა საზარ-
ლობაა: ამ თვეში წარსულზე მეტი დაგვიხარჯია!

ლუიზა (მხართ უკანიდან უტქერის). მერე საკვირველი აქ რა არის, სოფელში ყველაფერი ძვირია!.. და გარდა მაგისა, ამ თვეში მთელი გროვა ნოტები გამოვიწერე.

ქ-ნი ჟურდეილი. ო, არა, საქმე აქ ნოტებში როდია. უფრო მე ვარ დამნაშავე, იმითი, რომ ი რაღაცა წყეული ლილის ფერი შლიაპა მაყიდინეთ... ჩემთვის კი სრულიადაც საჭირო არ იყო.

ლუიზა. პირ-იქით, ძალიანაც საჭირო იყო. კარგი სანახავიც იქმნებოდი, რომ სეფისკვრის დარიგების დროს ისევ ის საძაგელი, შარშანდელი შლიაპა გხურებოდა!.. და მეორეც, ლილის ფერი შლიაპა არც ისე ძვირფასი რამ იყო.

ქ ნი ჟურდეილი. ჰო, მაგრამ ანგარიშს მაინც მიემატა! რაც დრო გადის, უფრო-და-უფრო მეტს ვხარჯავთ და რომ წარმოვიდგენ, ყველა ამას საწყალი ანრი ისტუმრებს-მეთქი, გული მეწვის...

ლუიზა. გამიგონე! ე რა საზარელი ფიქრები დაგხვევია დღეს?.. იქნება მიზეზი სულაც ეს სქელი წიგნია? მიფრთხილდი, დედი, თორემ ანრის ვეტყვი და მთლად წავართმევინებ ამ წიგნსა ..

ქ-ნი ჟურდეილი. აი, რა მოიგონა! არ გაბედო, გესმის, ლუიზა? ერთი სიტყვით რა არის, ერთი სიტყვითაც-კი ეპვი არ ააღებინო, თორემ...

ლუიზა (აიღებს ჯამსა და ისევ ნადებს დაუწყებს უფრო ხალისიანად თქვეფასა). მესმის კიდევ, რომ ანრი მდიდარი არ იყოს; რომ ჩვენის შენახვის გულისათვის თვითონ იკლებდეს და მშიერი იყოს, მაშინ სხვაა: ძმას საქმე კარგად მისდის, სახელი გაითქვა (ჩმას დაუწყებს) და ნიჭიც დიდი აქვს, თუმცა მამა ამას ვერა ჰხედავს .. იმისს სურათებს თითქმის იტაცებენ, ფული ბევრი აქვს, მაშ საფიქრებელი რაღაა?

ქ-ნი ჟურდეილი. მართალია ბევრს იღებს, მაგრამ ოჯახის შენახვა მაინც ძნელია, მეტადრე როცა ყველას მაგივრად ერთი მუშაობს.

ლუიზა. ეჰ, დედი, თითქოს მართლაც ისე მძიმე შესანახები ვიყვნეთ!.. მაშ, რაკი აგრეც იყო საქმე, რატომ ისევ პარიჟში არ დავრჩით! იქ მეც შემეძლო საქმე რამე მეშოვნა. დიპლომები მაქვს, გაკვეთილებს ვიშოვიდი; აქ-კი, აბა, რას გავხდები. ვილ დ'ავრეს გლეხებისათვის ვერაფერი წითელი კაკა ვარ. თავანთ ქალებისათვის სულ პარიჟის შესანიშნავ სახლებში, მაგალითად, „წმინდა-გულის“ მონასტერსა და „ჩიტებში“ აღზრდილთ დაეძებენ... იცი, დღეს დილით M-me გოგმა, ჩვენმა მერძევემ, რა მითხრა, მერე ისაც დამშვიდებულმა:—ვფიქრობ, ჩემი ფრაზენტა „ბელღურებს“ მივაბაროო... აბა, ჩემი დიპლომებით, მითხარ, რას გავხდები, როცა ამათ თვალი „ბელღურებ ისაკენ“ უჭირავთ!

ქ-ნი ჟურდეილი (დიმიდით). ვხედავ, ჰო, რომ ვილ დ' ავრე არაფრად მოგწონს.

ლუიზა. მე? სრულიადაც არა... მაგრამ ვერასფრით ვერ მოგმისაზრია, რისთვის დავსახლდით აქა.

ქ-ნი ჟურდეილი. როგორ, შვილო, არ იცი, განა, რომ მამასათვის ეგ საჭირო იყო? ჯერ ერთი ჯანმრთელობისათვის და მეორეც, მუშაობისათვის სოფელში დასახლება უთუოდ აუცილებელი იყო.

ლუიზა. ჯანმრთელობისათვის-კი ჰო, მესმის; მაგრამ მუშაობისათვის-კი... არ ვიცი; (ხმას დაუწევს) ჩემის აზრით, მამა აქაც ისრევე ნაკლებ მუშაობის, როგორც პარიჟში.

ქ-ნი ჟურდეილი. რა ვუყოთ, სულიკო, მამა-შენი დიდი მხატვარია... ამისთანა ხალხს, ხომ იცი, უბრალო დღიურ მუშებსავით საქმის კეთება არ შეუძლიანთ. საჭიროა უთუოდ ზეშთაგონება, უიმისოდ არა გამოუვათ-რა.

ლუიზა (დიმიდით). ანრიც ხომ დიდი მხატვარია. მაგრამ მამაჩემისავით რომ იმასაც სულ ერთ-თავად ძველ-

ძვულების მალაზიებში ეარა ვერსალში და ხან ძველი თეფშები ეძებნა, ხანაც სამდოგვეები, ლუდოვიკო XV გემოზე გაკეთებული, ნეტავი გამაგებინა, მაშინ რითი ვიცხოვრებდით?

ქ-ნი ჟურდეილი (ძლიერ აღელვებული). აგრე ლაპარაკი, ლუიზა, არ ვარგა. ძალიანა მწყინს. მამაზე, განა, ეგენი ითქმის? საბრალო! ისრე კეთილი, ყველანი ვუყვარ-ვართ!.. მართლაც და...

ლუიზა (კრემს იქით გადასდგამს და დედის წინ დაიჩოქებს). აი, როგორი სულელი ვარ!.. კარგა გამლანძღე... მაშ, არ შემიძლიან აგრე დადარდიანებულს გიყურო... ახლავე გავბრაზდები. (მომავალ ომნიბუსის რიხინი, ჟდარუნებისა და კონდუქტორის საუვირის ხმა მოისმის). აჰა, ომნიბუსია! ანრი, მაშ, მალე მოვა (წამოდგება).

ქ ნი ჟურდეილი. ოხ, ღმერთო ჩემო! მე-კი თვალები ნამტირალევი მაქვს.

ლუიზა. აიღე ე შენი სქელი წიგნი და აიფარე.

ქ-ნი ჟურდეილი (ისევ ანგარიშს დაიწყებს). ეგაც მართალია.

ლუიზა. მოიცა, მეც ვიეშმაკებ და ამ ჩემ ნათითხნით გავართობ (იღებს ნაღებსა და ისევ ურევს. ზარის ხმა ისმის). შემოდით, კარი ღიაა! (მოისმის უჩვეევის ხელით კარის ჭრაჭუნი).

ქ-ნი ჟურდეილი (ცხვირს ისევ ანგარიშში ჩაჰყოფს)... ორს დავიხსომებ.

ლუიზა (ჯამს დიდის ამბით მაღლა ასწევს და შემოსულს მიაგებებს). აბა, ანრი, გამოიცან, რა უნდა იყოს?

## გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ფრანკეიროლი. შავი, გარუჟული, საგზაო ტანისამოსი აცვია; ლაპარაკში ბრაზიანური კამოთქმა ეტყობა.

ფრანკეიროლი (ჯამს დაცქერდება და ეტუვის): რაა?.. რა-და, კრემი იქმნება, ქ-ნო.

ლუიზა (გაკვირვებული). ეს რასა ნიშნავს?..

ფრანკეიროლი (ჯამს ხელს წაატანს). ფრთხილად! თორემ ძალიან გადაჰხარეთ.

ქ-ნი ჟურდეილი (სათვალეს ჩამოიხსნის). ვინ არის?

ლუიზა (უკან დაიხევს). თქვენ... თქვენ, ბ-ნო, უთუოდ შეგეშალათ... ვინა გნებავთ?

ფრანკეიროლი. ო, სრულიადაც არა, ქ-ნო ლუიზა. ძალიან კარგათა გცნობთ თქვენცა და აიმ საყვარელს დამასაც, თვალები რომ მოუნათებია... გამარჯობათ, დედი (ლუიზა თითქოს მიჭხვდება).

ქ-ნი ჟურდეილი (უნებურად თავს უკრავს). გამარჯობათ m-er...

ფრანკეიროლი. ისევ შვილი მიწოდოთ ბარემ, როგორცა მწერდით ხოლმე.

ლუიზა (შეჭვეირებს). დედი, ეს ხომ ბ-ნი პიერია! (სამზარეულოში გაიქცევა, კრემს თან წაიღებს).

ქ-ნი ჟურდეილი. ბ-ნი პიერი!

ფრანკეიროლი (მიუახლოვდება). რასაკვრელია, ბ-ნი პიერი!.. სწორედ ის დაუდეგარი და ზღვის მხეცი პიერი ფრანკეიროლი, რომელმაც მთელი ქვეყანა შემოიარა და მოვიდა აქ იმიტომ, რომ შვილისავით მოგეხვიოსთ... თქვენ-კი გგონიათ, რომ მეტად შავი ვარ, არა?

ქ-ნი ჟურდეილი. აბა... ეგ როგორა სთქვით? სჯობს გაჩუმდეთ (ხელებს კაჭშლის) და მომიახლოვდეთ! (მოეხვევა).

ფრანკეიროლი (ყელზე შემოეხვევა). აი, ახლა-კი მესმის! (შემობრუნდება) თქვენ, მადემუაზელ?.. აკი ვთქვი! ძალიან შავად ვეჩვენე.

ქ-ნი ჟურდეილი (შიგნითკენ სცენის სიდრმისკენ). გესმის, შვილო?

ლუიზა (ნახევრად დია კარებიდან სჩანს, რომ წინსაფარს იხსნის და მაჯებს იწევს, ისწორებს). სულაც არა, ტყუილია. ბიძია თომასავით შავიც რო იყოს, მაშინაც კი სიხარულით (გამოვარდება) მოვეხვეოდი და გულიანად გადავკოცნიდი!

ფრანკეიროლი. ეგ კარგია! (ორსავე ლოჟაზე ჭკოტნის).

ქ-ნი ჟურდეილი. ახლა-კი ისევ ჩემთან მოდი (დაისვამს გვერდით). დაჯექით და რიგიანად მეჩვენეთ, კარგად გაგსინჯოთ.

ფრანკეიროლი (სიცილით). მიცქირეთ, დედი, ნუ მომერიდებით.

ქ-ნი ჟურდეილი. ჰხედავთ, როგორია... ამის წყალობაა, რომ შვილი ისევა მყავს.

ფრანკეიროლი. ეგ ხომ ღვთის ნება იყო! ან კი რა სალაპარაკოა... ძველის-ძველი, წარღვნის წინად მომხდარი ამბავია.

ლუიზა (სერიოზულად). ესე იგი 1860 წ. 31 მკათათვეს... ექვსი წელიწადი სწორედ დღეს შესრულდა.

ფრანკეიროლი. ეს ძალიან ამბავია! სწორედ წლის თავზე... თითქოს განგებ მომხდარიყოსო... ვსწუხვარ, რომ გენებაში არა მქონია.

ქ-ნი ჟურდეილი (ორსავე ხელს დაუჭერს, ეურადღებითა ჭსინჯავს და თითქოს თავისთვის, ჩუმად ლაპარაკობს). ჩემი შვილი რო იღრჩობოდა, აი, ამ მარჯვენამ გადაარჩინა... და ეს თვალები, თითქოს მშობელი დედისაო, მთელს თვეს დაუღალავად ხელ-პირში შეჰყურებდნენ, ჰზრუნავდნენ... (მეტად აღელვებული). საშინლად მიხარიან, რომ გხედავ, გესმის! (ხელზე კოტნას უპირებს).

ფრანკეიროლი (გულაჩუყებული წამოვარდება და ხელს გამოსტაცებს). ღმერთია მოწმე, მეც აგრევე მოხარული ვარ, მაგრამ ამ ძველის-ძველ ამბავზე მეტი სალაპარაკო ახალი აღარა გაქვთ-რა? და გარდა ამისა, თქვენის შვილის გადარჩენით მეც ბევრი რამ შემეძინა. ჩემთვის კერძოდ დიდად სახეირო გამოდგა: მხატვრობა მიყვარდა გატაცებით, აღმოჩნდა, რომ დიდებული მხატვარი გადავარჩინე დაღრჩობასა და მეგობრები არა მყავდა, მეგობარიც შევიძინე; დედაც პატარაობაშივე დავკარგე—სამაგიეროდ ვიშოვნე და ისიც რა ადამიანი! არა, დავალებაზე და სიკეთეზე თქვენ ხმა არ ამოგეღებათ!

ქ-ნი ჟურდეილი (ლუიზას). ო, რა საუცხოვო რამ არის! ნეტავი, ანრი აქ მაინც იყოს და ეს ლაპარაკი ესმოდეს.

ფრანკეიროლი. ჰო, მართლა, რატომ ანრი არა სჩანს?

ლუიზა (მარცხენა ფანჯრისაკენ წავა). აი, ჩვენც იმას ვუცდით.

ფრანკეიროლი. როგორ, ჯერ არ მოსულა?

ქ-ნი ჟურდეილი. არა ჯერა; მეც ეგ მაკვირვებს, უმისოდ მუდამ ამ მატარებლით მოვიდოდა ხოლმე.

ლუიზა (ფანჯარასთან). ო, ახლა-კი უთუოდ მალე მოვა.

ფრანკეიროლი. M-er ჟურდეილი სადღაა? იმასაც ვერსადა ვხედავ. იქნება ისაც პარიჟშია?

ქ-ნი ჟურდეილი (სასჩქაროდ). არა, არა, ის აქ სადმე იქნება...ო, ღმერთო ჩემო! ჩვენ-კი სრულიად დაგვავიწყდა... მართლაც-და თითქოს გამოვთაყვანდით, თქვენმა მოსვლამ ისე იმოქმედა... წადი, ლუიზა, სახელოსნოში ნახე, იქნებ იქ იყოს...

ლუიზა (ფანჯარას ირა ჭშორდება). ახლავე, დედი.

ქ-ნი ჟურდეილი. საბრალო ჩემი ჟურდეილი! იმას კი არ გაუხარდება... თქვენი გაცნობა ისე გულით უნდოდა!..

ფრანკეიროლი. მეც აგრევე მინდოდა.

ლუიზა (ფანჯარას მოჭშორდება). ლამის არის ბრაზებმა გამხეთქოს! ანრი კიდევ არსადა სჩანს. (ფრანკეიროლს). იქნება დღეს კიდევაცა ჰნახევით?

ფრანკეიროლი. მე? არა, არ მინახავს... ეს არის მოვედი... სწორედ სამის საათის წინათ მოველ პარიჟში; მთელი ორი საათი იმ ბოროტს დავეძებდი, მაგრამ ვერსადა ვნახე. ჯერ პირველად სენ-ჟორჟის ქუჩისაკენ გავსწიე.

ქ-ნი ჟურდეილი. ო, იქიდგან, ორი თვეც იქნება, გადავიდა.

ფრანკეიროლი (დიმიდით). ეგ ხომ მეც გავიგე... იქიდგან ახალს ბინაზე მივედი, დასავლეთის ქუჩაზე. იქაც არავინ დამხვდა...

ლუიზა. ნამუნიც-კი არა?

ფრანკეიროლი. ნამუნი?

ლუიზა. დიახ, იმისი მოსამსახურე პატარა არაბი.

ფრანკეიროლი. როგორ, მაშ, ის ბურნუსში გახვეული ყაჩაღი, კარებ წინ რომ გაშხლართულიყო გარდი-გარდმო, იმისი მოსამსახურეა?.. კარგი რამეც ყოფილა... წარმოიდგინეთ, ყველას დავუწკარუნე ზარი, ყველას ვეკითხებოდი, ანრი ჟურდეილი ხომ აქ არა დგას-მეთქი და იმან ხმა არ გამცა, თუმცა, როგორც თქვენ, კარგად ეყურებოდა, იმისს ბატონსა ვკითხულობდი? ჩვენკენ არც-კი მოუხედნია.

ქ-ნი ჟურდეილი. სწორედ ის არის; რასაც ამბობთ, ნამუნზე ზედ გამოჭრილია.

ფრანკეიროლი. კარგია კიდევ ხუთშაბათის სადილები მომაგონდა წერილებიდამ; თორემ აქამდის ისევ სირბილში ვიქმნებოდი, ძებნაში სული ამომივიდოდა.

ქ-ნი ჟურდეილი. არ მესმის სწორედ, რისთვისა ჰყავს ანრის ეს ნამუნი? არაფრის კეთება არ უნდა, გამოსადეგი არაფერშია, მთელი დღე აგრე გდია სადმე... მასთან რაღაცა ბარბაროსულის ენაზე ლაპარაკობს, ეშმაკი ვერას გაუგებს.

ფრანკეიროლი. ა-ა, მესმის, უთუოდ თავანთებურად ლაპარაკობს: საბირ, ბონო, მაყაშ, ბეზეფ...

ლუიზა. როგორ, იცით, განა, ეს ენა?...

ფრანკეიროლი. საკვირველი მერე რა არის? მას შემდეგ, რაც ჩვენებმა ალჟირი დაიპყრეს, ყველა მზარეულმა-გოგოებმა შეისწავლეს ეს ენა.

ლუიზა (გულუბრუყვილოდ). მზარეულმა-გოგოებმა? რაღა უთუოდ იმათ ისწავლეს?

ფრანკეიროლი. ო, იმიტომ, იმიტომ, რომ... არ ვიცი, რატომ... (იქით). ო, რა ტუტუცი ხარ, ფრანკეიროლ.

ქ-ნი ჟურდეილი. ერთი სიტყვით, ყველაფრით ცუდია ის საძაგელი: გაუმაძღარი, ფლიდი, ბოროტი და მეტი, ვგონებ, აღარასფერი...

ლუიზა. არა, დედი, არა, ეგ მხოლოდ შენ გეჩვენება აგრე... ნამუნი ბოროტი სრულიადაც არ არის... შენ იმიტომა გგონია აგრე, რომ თვალი მოჰკარი, მამას ერთხელ ზურგთ უკან როგორ დაეჭყანა! ისაც ხომ ბავშვია, მამა-კი მუდამ აბრაზიანებს ხოლმე.

ფრანკეიროლი. ოჰო! როგორცა ვხედავ, მადემუაზელ ლუიზასთან ნამუნის გაკიცხვა შეუძლებელი ყოფილა.

ლუიზა. მართალია, ძალიან მიყვარს. რომ იცოდეთ, რა შესაბრალისია მისი ისტორია.. წარმოიდგინეთ, ორის წლის წინად თურქების ბატალიონს თურმე მოჰყვა პარიჟში, სადაც მისი ძმა ლაკდარი ბატალიონის მედოლეთ თურმე იყო. უნდა იცოდეთ ამასთანავე, რომ ნამუნს ძმა ლაკდარი, ანუ როგორც თვითონ ეძახის ხოლმე—დოლი-ლაკდარი, გაგიჟებით თურმე უყვარდა... დედაზე და მამაზე მეტადაც-კი, ამ ქვეყნად სხვა აღარავინ ისე არა ჰყვარებია. საუბედუროდ, ნახევარის წლის შემდეგ ძმა ჭლექისაგან მოუკვდა. ვერ წარმოიდგენთ, რა სასოწარკვეთილებას თურმე მიეცა! ბატალიონში, მართალია, სხვა მედოლეებიც იყვნენ, მაგრამ ნამუნისათვის ამ ქვეყნად მარტოდ-მარტო დოლი-ლაკდარი არსებობდა, სხვა არავინ... მალე ამის შემდეგ თურქებს სამშობლოში დაბრუნება უბრძანეს და ნამუნიც თან თურმე უნდა წაეყვანათ. მაგრამ ნამუნს წასვლა არაფრის გულისათვის არ უნდოდა და შეშინებული, არ წამიყვანონო, წინა დღითვე გამოიპარა თურმე ყაზარმებიდგან, ამხანაგები უიმისოდ წავიდნენ... ორის დღის შემდეგ ჩემის ძმის ამხანაგებს ენახათ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე გავლისას, რომ ერთის სამარის გვერდით, ბალახში, შიმშილისა და სიცივისაგან ნახევრად მიმკვდარებული, პატარა არაბი გდია. ეს იყო ჩვენი ნამუნი. ეპოვნა საბრალოს ძმის საფლავი და გვერდით დასწოლოდა, რომ უცხო ქვეყანაში მარტოს არ მოსწყენოდა.

ფრანკეიროლი (მიბრუნდება, რომ ცრემლები არ დანახვოს). ოჰ, სწორედ რომ ტუტუცი ვარ.

ლუიზა (ფრანკეიროლს) რაც გინდათ, ისა საქვით ამის შემდეგ ნამუნზე, მაგრამ მედოლე-ლაკდარისათვის-კი მე მაინც ყველაფერს ვაპატიებდი... ვინ იცის... იქნება იმიტომაც, რომ მეც მყავს ჩემი მედოლე-ლაკდარი... გესმით? მედოლე-ანრი!

ქ-ნი ჟურდეილი. აი, ტუტუცი გომბიო! განა, აგრეც იქნება, კაცს ცრემლები მოჰგვარე... მერმე ისაც ჩვენთვის ასეთს სასიხარულო დღეს!

ლუიზა. მეტს აღარას ვიტყვი, აღარა (კედელზე ჩამოკიდებულს ჩალის შლიაპას ჩამოიდებს). მამას დავუძახებ.

ქ-ნი ჟურდეილი. ოხ, ღმერთო ჩემო! მართლა, საბრალო!.. ჩქარა გაიქე.

ფრანკეიროლი. მოდით, მე თვითონ წავალ, ჰა?

ლუიზა. ო, არა, სულ მეტია... სახელოსნო სულ ორს ნაბიჯზეა აქედან (ადგილიდან არ იძვრის).

ქ-ნი ჟურდეილი. რაღას უცდი, რატომ არ მიხვალ?

ლუიზა (სამზარეულოზე უჩვენებს). განა, არ იცი...

ქ-ნი ჟურდეილი. რა არი?.. (ლუიზა ყურში ეტუვის) რაო, რა? (ლუიზა ისევ ჩურჩულით გაუმეორებს). არ მესმის...

ლუიზა (მოუთმენელად და ხმა-მაღლა). ღუზელები! ღუზელები მიწყვია ღუმელში, ახლა ხომ გაიგე? მეშინიან, არ დამეწვას...

ქ-ნი ჟურდეილი. კარგი, კარგი, მივხედავ.

ფრანკეიროლი. რასაკვრელია, მივხედავთ... მაშა! არა, გმადლობთ, ღუზელებს-კი არაფრის გულისათვის არ დავწვავთ...

ლუიზა. მაშ, შემიძლიან უზრუნველად წავიდე?

ქ-ნი ჟურდეილი. შეგიძლიან.

ლუიზა (ისევ მობრუნდება). მაგრამ სიტყვა არ გასტეხო: ბუფეტში არაფრის გულისათვის არ შეიხედო...

ქ-ნი ჟურდეილი (მხრებში ხელს ჩაუვლებს და გაუგდებს). მითხარი, წახვალ თუ არა!

ლუიზა. იმიტომ, რომ სიურპრიზი მაქვს იქ შენახული! (სიცილით გაიქცევა).

## გამოსვლა მესამე

ფრანკეიროლი და ქ-ნი ჟურდეილი.

ფრანკეიროლი. ო, რა მშვენივრებაა ეს სიცილი 16 წლის ქალისა... გეგონებათ, პირიდგან მარგალიტები სცვივაო.

ქ-ნი ჟურდეილი. კაი გოგონაა, არა?

ფრანკეიროლი. თქვენ როგორ-ლა გგონიათ?..

ქ-ნი ჟურდეილი. აბა, მე რა ჩასათვლელი ვარ, მე ხომ დედა ვარ...

ფრანკეიროლი (ტოტხლად). მითხარით, ლუიზა პარიზშია გაზდილი?

ქ-ნი ჟურდეილი. ნამდვილი პარიჟელია... მონმარტრის ქუჩაზე დაიბადა ისევე, როგორც მისი ძმა ანრიც.

ფრანკეიროლი. ჰხედავთ... მაშ, ის რა მითხრეს?.. მე კი ასრე მეგონა, რომ პარიჟში ახლა ახალგაზრდა ქალები აღარ მოიპოვებიან, არიან მხოლოდ ლამაზი მხეცები და ყალბი ფიგურები, ცხენის ფაფრისა და მავთულებისაგან გაკეთებული, ან ბირჟის მაკლერების მზგავსი იუბკიანი ტიკინები, თავზე რომ სხვისა თმები ადევთ, უსულო, უგრძნობელები და ყბედები, თანამედროვე პარიჟელის გემოსა და მოთხოვნილებაზე მოქნილები... ეს თურმე ტყუილი ყოფილა, ღმერთმანი, ტყუილი. როგორც ეტყობა, პარიჟელებს ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ და ღვთიური ტიპი დედაკაცისა, ანგელოსებრივის წმინდა სიცილითა და ბავშვურის წრფელი თვალებით, საკვებით

ვერ განუდევნიათ. ეტყობა, მაშ, დედი, ნამდვილი ქალები ჯერ კიდევ მოიპოვებიან პარიჟში?

ქ-ნი ჟურდეილი. დიახაც რომ მოიპოვებიან. მაგრამ ის კი არ იფიქროთ, ვითომ პარიჟში ყველანი ლუიზასა ჰგვანდნენ, არა... არიან სხვანიც.

ფრანკეიროლი (დიმიდით). ნუ-თუ მართლა?

ქ-ნი ჟურდეილი. მაგრამ, იცით რა არის; მეც დედა ვარ: ჩემ შვილებზე უკეთესი მთელს ქვეყანაზე არავინ მეგულება... ჩემი ანრი, ჰა? რა სულისა და ბუნების პატრონია!..

ფრანკეიროლი. და რა ნიჭი აქვს!

ქ-ნი ჟურდეილი. ნიჭიცა აქვს.

ფრანკეიროლი. მე ვგონებ! ექვსი წლის წინად რო პირველად გავიცანი, სულ ბავშვი იყო; ახლა კი თითქმის დიდებული მხატვარია.

ქ-ნი ჟურდეილი. ეგ-კი მამისაგან დაჰყვა მემკვიდრეობით. თავისს დროზე ბ-ნი ჟურდეილიც განთქმული იყო: 1825 წელს მედალიც მოგვცეს. (კარების თავზე გაკრულს დაფნის გვირგვინსა და მედალს უჩვენებს).—მაშინ კი უფრო ძნელი იყო მედალის მიღება, ვიდრე ახლა.

ფრანკეიროლი (იქით). ეტყობა ეს აზრი თვითონ მამისაგან ექმნება ჩაგონებული.

ქ-ნი ჟურდეილი. მას შემდეგ, სამწუხაროდ, სიბერე, ავადმყოფობა, მწუხარება შემოეპარა, ფულები დაეკარგა. ჟურდეილი ისე გულ-კეთილია, თვითონ ვისმეს უთუოდ თავისს ხარჯით ინახავს... ვინ იცის, რამდენს მხატვარს უჭამია და უსვამს ჩვენს სახლში! თითქმის მუდამ 4—5 ქმრის ამხანაგს უცხოვრია ჩვენსა. ასე მეტყოდა ხოლმე: აბა, რას იზამ, სულიკო, ასე ჯიბე ლია დავბადებულვარ და პირი ველარ შომიკრავსო. —საბრალოს, მაინც ასე მოუხდა. ერთხელ ერთს თავისს კარგს ნაცნობს, გვარად პიპეტს, თავდებათ დაუდგა. კარგა დიდი ვალი ჰქონდა. და აი, ერთს

მშვენიერს დღეს, სწორედ ვალის გასტუმრების წინა დღით, სადღაც გაჰქრა... მერე როგორ, საუკეთესო მეგობრად ითვლებოდა!.. ვალი მთლად ჩემმა ქმარმა გადაიხადა, მაგრამ საშინლად კი ჩასცხო. მას შემდეგ აგერ წელში ველარ გასწორებულა.

ფრანკეიროლი. შვილის გამარჯვება და ნიჭი მაინც უთუოდ ძლიერ გაამხნევებენ?

ქ-ნი ჟურდეილი. ო, რასაკვრელია... შვილით თავი ძლიერ მოსწონს; მაგრამ... (ჩქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს და ხმას დაუწევს) იცით, რა არი: ნურც აგრე ძალიან უქებთ პირში შვილსა. ეგ ადვილი გასაგებიც არის, ძნელია მოხუცისათვის, რო ჰხედავს გამარჯვებული ყველაფერში ახალგაზდობაა და თვითონ კი... ოჰ, ჰხედავთ... სჩანს შემიყვარდით, რომ ამისთანა რა-ძეებს გეუბნებით!...

ფრანკეიროლი. ვნახავდი ერთი, როგორ არ შემიყვარებდით.

ქ-ნი ჟურდეილი. და მართლაც, ჰხედავთ, როგორ თავისუფლად და კარგადა ვგრძნობ თქვენთან თავსა!.. თითქოს ოცი წელიწადი იყოს ერთმანეთს ვიცნობდეთ... აი, კიდევ ერთი რა უნდა გითხრაო, ჩემო საყვარელო... (ფანჯარაში გაიხედავს), რაკი მარტონი დავრჩით, მინდა ერთი რამ გითხრათ საიდუმლოდ...

ფრანკეიროლი (სამზარეულოსაკენ ჭაერს დაჭსუნავს). უკაცრაოდ, სუნი არაფრისა მოგდით?

ქ-ნი ჟურდეილი. რა არის?

ფრანკეიროლი. ჩქარათ ცეცხლის მქრობელი რაზმი! ღუზელე-ბი უნდა იწოდეს!

ქ ნი ჟურდეილი (სიცილით სამზარეულოსაკენ მირბის). უი, ჩემს თვალებს!

ფრანკეიროლი. იქნება მოშველება იყოს საჭირო?..

ქ-ნი ჟურდეილი. არა, საჭირო არ არის.

ფრანკეიროლი. ან იქნება წყლის ამოქაჩვა დაგჭირდეთ?

ქ-ნი ჟურდეილი. მოვახერხებთ როგორმე (კარებს მიიხურავს).

## გამოსვლა მეოთხე

ფრანკეიროლი მარტოდ.

ფრანკეიროლი. ღმერთო! რა ჩინებული ხალხია... რა მშვენიერი სახლი... ამის მნახველს მგონი მოგზაურობის სურვილი სრულიადაც დამეკარგოს. (სავარძელში ჩაჯდება და აქეთ-იქით იტიორებს). ნათელა, მხიარულობაა, მასთან ასეთი სიწყნარე!.. და კიდევ... არ ვიცი, თითქოს თვითონ ჰაერშიც ბედნიერებაა გაშლილი, ისე კარგადა ვგრძნობ თავსა... ეს... ეს რაღაცა სულის სამკურნალოსა ჰგავს. (სავარძლის საზურგულს მიეყრდნობა, თვალებს ნახევრად მოჭხუჭავს). უთუოდ კარგი-კი უნდა იყოს, რომ შინ დაბრუნებისას, სალამოთი, ასეთი ჩალის შლიაპა შეკეგებოს ფანჯრიდგან, შინ კიდევ პატარა მომხიბლველი არსება გიცდიდეს თეთრის წინსაფარით და ნაღებს გიმზადებდეს... (გამოაჯავრებს) „აბა, ანრი, გამოიცან, რა უნდა იყოსო?“... ეჰ, ჩემო მეგობარო, ფრანკეიროლ, აბა, შენ ვინ მოგიმზადებს ასეთს კრემსა?

## გამოსვლა მეხუთე

ქ ნი ჟურდეილი, ფრანკეიროლი.

ქ-ნი ჟურდეილი (სიჩქარეზედ გამოვა სამზარეულოდგან). ახლა-კი ყველაფერი რიგზეა.

ფრანკეიროლი (ოცნებიდგან უცბად გამოერკვევა). ა! რაო, რა იყო?

ქ-ნი ჟურდეილი. არაფერი, დროზე მივხედე.

ფრანკეიროლი. ჰმ... დამწვრის სუნი-კი ძალიან იდგა.

ქ-ნი ჟურდეილი. ჰო, ცოტა შეჰპარვოდა... (სკამს მისწევს). აბა, ცოტა ახლო მოიწით, საიდუმლო გიამბოთ.

ფრანკეიროლი (მოჩვენებულის შიშით). ოი, ოი, ოი! საიდუმლო?

ქ-ნი ჟურდეილი. მაგრამ ნუ-კი იცინით... თქვენს მეგობარს შეეხება...

ფრანკეიროლი. ანრის?

ქ-ნი ჟურდეილი. დიახ, ანრის. ძალიან მაფიქრებს.

ფრანკეიროლი. მერე, განა, რა დაემართა?

ქ-ნი ჟურდეილი (ამოიოხრებს). ოჰ, აბა, რა ვიცი, რა დაემართა! მაგრამ ოთხი-ხუთი თვეა საშინლად გამოიცვალა. ჯერ ერთი, იმითი, რომ, თუ წინად კვირაში რამდენჯერმე მოდიოდა, ახლა მხოლოდ ერთხელ გვინახულებს ხოლმე და მაშინაც, აი, ასე იგვიანებს...

ფრანკეიროლი. საქმეები უთუოდ ნებას არ აძლევენ.

ქ-ნი ჟურდეილი. ვსთქვათ, თუნდაც აგრე იყოს. როცა ჩვენსაა, მაშინ რაღად არის მოწყენილი? რატომ არასა სჭამს? . იმისათვის ვამბობ, რომ მართლაც არასა სჭამს თითქმის, წინად-კი ისეთი მხიარული, მონდობილი, გულახდილი იყო ხოლმე... ყოველისფერზე გველაპარაკებოდა, ყველა თავისს პროექტს გვიამბობდა ხოლმე, სამუშაოს შესახებ ჩვენთან მსჯელობდა... ახლა-კი აღარასფერს ამბობს. გარდა ამისა, რომ ნახოთ, რასა ჰგავს, როცა მოდის: გაციებულსავით ცახცახი გააქვს, თვალები ჩაცვივნული აქვს, ხელები თონესავით გახურებული... დარწმუნებული ვარ ამიტომ, რომ ჩვენი შვილის თავს დიდი რამ უბედურებაა; მაგრამ არ უნდა... ან არ შეუძლიან გაგვიმჟღავნოს.

ფრანკეიროლი. ო, დედებმა ყოველთვის აგრე იცით!.. მაშინვე დიდი უბედურება მოგეზმანებათ!.. გეგონებათ, მართლა, გუდებისავით უბედურებით იყვნენ მთლად გატენილნი. მერე, ვითომ და რა უშავსო? იქნება ანრის ამ ჟამად ხელი რამემ დაუცარა.

ქ-ნი ჟურდეილი. მერე, რამ დაუცარა ხელი? აი, გასაგებიც სწორედ ეგ არის. საქმე კარგად მისდის... აი, ახლა ახალს ბინაზედაც გადასულა და, როგორც ამბობენ,

მდიდრულათაც თურმე მოწყობილა. როგორც ხმა დადის, დიდებული და საუცხოვო ნივთები თურმე შეუძენია... იმიტომ ვამბობ, ხმა დადის-მეთქი, რომ ჯერ თვითონ არა ვყოფილვარ... აი, ეგაც ძალიან მაწუხებს. წარმოიდგინეთ, მას შემდეგ, რაც ბინა გამოიცვალა, არც ერთხელ არ მივუწვევივართ!.. და როცა-კი ამაზე გავუხსენებთ რასმე, უნდა ნახოთ, როგორა რცხვენიან!.. იცით, რას გავიფიქრებ ხოლმე? (ხმას დაუდაბლებს). ეჭვი მაქვს, ვინმე ცუდის ყოფაქცევის ქალი ხომ არ გაიცნო-მეთქი...

ფრანკეიროლი (კომიკურის განცვიფრებით). მერე, ვითომ რაო, თუ გაუცვნია! ჩემის აზრით, ცუდი ნაცნობობა ურჩევნია იმასა, რომ ცუდი სურათები ხატოს ხოლმე.

ქ-ნი ჟურდეილი. ეჰ, იმის სურათებს რა თავში ვიხლი! მე მხატვარი-კი არა, დედა ვარ და ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, ჩემი შვილი არამ დატანჯოს... განა, სურათები იხსნიან-ღა, თუ-კი ი დედაკაცი სულს ამოჰხუთავს?

ფრანკეიროლი. მერე, ნუ-თუ გჯერათ-ღა კიდევ ჭვეყნად ასეთი სასწაულები? გგონიათ, ვითომ ისეთი ქალებიც იყვნენ, რომლებიც კაცებს სულსა ჰხუთავდნენ?..

ქ-ნი ჟურდეილი. რამდენიც გნებავთ.

ფრანკეიროლი. არასოდეს!.. მაგრამ რაკი საქმე მანდამდის მივიდა, მეც გეტყვით ერთს საიდუმლოს, რომ დამშვიდდეთ: აი, საქმე რაშია... თქვენს შვილს ერთზე აქვს გული შევარდნილი... მაგრამ ძლიერი და კეთილშობილურია ეს გულშევარდნა...

ქ-ნი ჟურდეილი (ძლიერ შეშფოთებული). აა!..

ფრანკეიროლი. და აი, სწორედ ის ადამიანია, რომ ყოველგვარ ცდომილებისა და სისულელისაგან იფარავს.

ქ-ნი ჟურდეილი. მერე, თქვენ იცნობთ?

ფრანკეიროლი. ვიცნობ.

ქ-ნი ჟურდეილი (ეჭვმანით). ძალიან ლამაზია?

**ფრანკეიროლი.** თქვენ რა, მერე, ლამაზია თუ არა?.. ეტყობა, მართალი ყოფილა, რომ იტყვიან ხოლმე—ყველა დედები იჭვიანები არიანო... მაგრამ დამშვიდდით, ის იმ დედაკაცთაგანი არ არის, რომ დედას შვილი წაართოს.

**ქ-ნი ჟურდეილი.** სულ ერთია. რაც მითხარით, ის მაინც ვერ დამამშვიდებს. გული მიგრძნობს, რომ ჩემს შვილს რაღაცა უბედურება სწვევია, რაღაცა სტანჯავს. (უცბად ორთვე ხელს დაუჭერს). გეთაყვათ, ჩემო მეგობარო, ბ-ნო პიერ, ათქმევინეთ როგორმე, რა სტანჯავს აგრე! ვიცი, არის ხოლმე ყმაწვილი კაცის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევებიც, როცა დედას ვერ გამოუტყდებიან; მაგრამ თქვენ კი არ დაგიმალავსთ... მოელაპარაკეთ, კარგად გამოჰკითხეთ და გაიგეთ, სულს რა უშფოთებს!.. და როცა გაიგებთ...

**ფრანკეიროლი.** მერე, მერე რომ გავიგებ?

**ქ-ნი ჟურდეილი.** მაშინ?.. მაშინ... (იდიმებს) მოდით მაშინ და ყოველივე მიამბეთ.

**ფრანკეიროლი** (შუბლში ჭკოტნის). ო, წმიდა დედაკაცო!

**ჟურდეილი-მამა** (სტენის უკ-ნ მიიმღერის):

ვებრძვით ქალაქის მკვიდრებსა!..

**ქ-ნი ჟურდეილი.** ჩუ!.. ჩემი ქმარია!

**ჟურდეილი-მამა** (ისევ სტენის უკანიდგან):

არასოდეს სამშობლოში..

**ლუიზა** (სტენის უკანიდან. მამი, კარგი, გეყოფათ.. (კარები გაიღება).

## გამოსვლა მეექვსე

იგინიგე, ლუიზა და ჟურდეილი-მამა: საშინაო კურტკა აცვია, გრძელი თმები ქარზე გაჭშლია, ხელში ბ-ლიტრა და სახატავი ფრთები უჭირავს.

**ჟურდეილი-მამა.** სად არის, სადა, ფრანკეიროლი? სად არის?

**ფრანკეიროლი** (ხელებ-გაშლილი მიეგებება). აგერ, აქა ვარ!

ჟურდეილი-მამა. ვნახოთ, აბა, ვნახოთ... (ფრანკეიროლს ფანჯარასთან მიიყვანს და სინჯვას დაუწყებს). ოჰო! კარგი ყოფილხართ შვილო... მშვენივრებაა პირდაპირ!.. არა, თავს შეჰხედეთ ერთი, თავსა-და, ნამდვილი ზღვის ყაჩაღია... (მოეხვევა). მაშ, დავკოცნოთ ერთმანერთი, კაი ბიჭი ყოფილხართ!

ფრანკეიროლი. დიახაც რომ.

ჟურდეილი-მამა (ტქერით სტკბება) კარგი ტანისაა, ზორბად მოყვანილი! ნამდვილი, აის, რა არი... რა ჰქვიან?.. ჟიროდეს სურათშია შუა-გულ ასეთი ფიგურა გამოყვანილი (ხელს გაიქნევს და ჰალიტრას ცოდს მოარტყავს სახეში).

ქ-ნა ჟურდეილი (წყნარად). მეგობარო, ემა პალიტრას დასდებდი მაინც.

ჟურდეილი-მამა. პალიტრასა?.. ჰო, მართლა... როგორ დავიბენი!

ლუიზა (სიცილით). კარგია ჰო, კარგი, გულმავიწყობას გადააბრალე!

ქ-ნი ჟურდეილი (სახელს ჩამოსწევს). წყნარად...

ფრანკეიროლი (ჟურდეილ-მამას). მხატვრისათვის ეგ კარგია, როცა პალიტრას ხელში უნახავენ.

ჟურდეილი-მამა (გამარჯვების კილოთი). ხომ აგრეა? (ჰალიტრასა და ფრთებს ლუმელზე დაალაგებს).

ლუიზა (ჩუმად ლედასა). აკი გეუბნები, ამათ გულისათვის განგებ წავიდა-მეთქი სახელოსნოში.

ქ-ნა ჟურდეილი. თავი დამანებე ..ნუ მამაბეზრევი და!.. წადი, ღუზელები ნახე, ხომ არ დაგეწვა (ლუიზა გვერდზე გაგდისას მამას აკოცებს და სამზარეულოში გავა).

ჟურდეილი-მამა. ჰხედავთ, ფრანკეიროლმა რა სიურპრიზი გაგვიკეთა! (მხარზე ხელს დაარტყავს). მერე, რამდენი ხანია გელით!

ქ-ნი ჟურდეილი. ო, დიდი ხანია... ასე რომ, ცოტა სირცხვილიც კია, ამდენს ხანს გვაცდევინეთ, ნახვას დაგვანატრულევით.

ფრანკეიროლი. აბა, რა მექმნა! ღმერთია მოწმე, დანაშაული აო მიმიძღვის... ვილ დ' ავრე რომ სადმე ჩინეთის წყლებში მდებარეობდეს, მერწმუნეთ, ყოველ დღე გინახულებდით.

ქ-ნი ჟურდეიღი. აი, დაუდეგარი!

ჟურდეიღი. მართალია, დაუდეგარია, მაგრამ მაინც მოვალენი ვართ დიდი სანთელი დავუნთოთ... და დავუნ-ებთ კიდეც, ორთავე მხრიდან მოვუკიდებთ, რაკი ნავსი გატეხა და მოვიდა... ურიგო არ იქმნება, მაშ, საქ-მის დასაწყებად ჯერ ცოტა ყელი მაინც ჩავისვე-ლოთ... ეი, ლიზიკო!

ლუიზა (სამზარეულოდან). რა გნებავთ, მამა?

ჟურდეიღი-მამა. ერთი ბოთლა ძველი მადერა ამოგვიტანე, აის, ყვითელი დამლა რომ აზის... საგანგებო შემ-თხვევებისათვის როა შენახული!

ქ-ნი ჟურდეიღი. ახლავე ხომ სადილიც უნდა ვჭამოთ, მეგო-ბარო... მერე, არ გეშინიან...

ჟურდეიღი-მამა. კიდევაც ვისადილებთ. მე, ცოტა არ იყოს, მომშივდა კიდევაც.

ფრანკეიროლი (იტალიანის). იცით, რა არის, ე თქვენი ავადმყოფი ჯერ კიდევ ძაან ყოჩაღათა ყოფილა?

ჟურდეიღი-მამა (უცბად კიბეს გამოიცვლის). ყოჩაღათ კი ყოჩა-ღათა ვარ, მაგრამ ცოტა...

ფრანკეიროლი (დაცინვით). სულ ტყუილია!

ჟურდეიღი-მამა. ეს თავის ტკივილები... არ იქმნა, არა მშორდება... ამ ბოლოს წლებში ბევრი რამ ცუდი გადამხდა... არა და, მართლაც, ზოგიერთმა ამხანა-გებმა საშინლად მდაბლად მომატყუეს... (ხმას და-უდაბლებს). იქნება გაგებულიცა გაქვთ, პიპეტმა რა ოინი მიყო!.. აი, ამან მომიღო ბოლო... და ახლა არტისტის ცხოვრებაც, საყვარელო, ხომ იცი, რა არის?!.. ადამიანს სულმთლად ჰლახავს, უდროოდ აბერებს!... (ისევ მოიმხიარულებს). მაგრამ ეგ რა სალა-

პარაკოა! კარგია კიდევ ჯერ გული არ გამტეხია, შენობის წინა პირი ისე არ დამხავსებია...

**ფრანკეიროლი.** რის დახავსება, ჯერ სულ ახალია!

**ქ-ნი ჟურდეილი** (აღტაცებული). მართლაც და ჯერ კიდევ ახალ-გაზდათ არის არა?

**ჟურდეილი-მამა.** მართალი გითხრათ, ახალის სკოლის დღევან-დელს მთხუპნელებს რომ ვუცქერი, სულ რაღაცა უკბილოები და ქაჩლები რიან...

**ლუიზა.** უკაცრავად, დიდად პატივცემულო მშობელო! ანრიც ამ ახალის სკოლის მთხუპნელებს ეკუთვნის, მაგრამ არც უკბილოა და არც ქაჩალი...

**ფრანკეიროლი** (იქით). ოქროს გული აქვს, ოქროსი!

**ლუიზა.** თმებიც ძალიან კარგი აქვს.

**ჟურდეილი-მამა.** მართლაც-და, პირშავს თმები მშვენიერი აქვს, მაგრამ იკრეჭავს! აი, მე კი არ ვიკრეჭავ, რაც შე-იძლება გრძლად ვიყენებ და ვამაყობ, რომ რაფაე-ლისა და ლეონარდოსავით მხრებზე მაყრია თმები... მაშასადამე, მათს დროშას ვატარებ.

**ქ-ნი ჟურდეილი.** მართალია, შვილო, ლეონარდოსაც მამაშენ-სავით გრძელი თმები თურმე ჰქონდა... უტყუარი, ისტორიული ამბავია, (ლუიზა ისევ ფანჯარასთან დაჯ-დება).

**ჟურდეილი-მამა.** ამბობენ, ფაფარიაო... მერე, რა არი, რომ ფაფარია? მე მაინც ძვირად ვაფასებ, და რომ მოხ-დეს, დავკარგო როგორმე, ისე არაფრის გულისთვის არ ვივლი, პარიკს გავიკეთებ... თანამედროვე ბურ-ჟუაზიის ჯიბრითა და მოვაჭრე ახალთაობის ზიზღისა ნიშნად... ხომ აგრეა, ბ-ნო ფრანკეიროლ? (ჭიქას მიუჯახუნებს).

**ფრანკეიროლი.** თითქმის რომ აგრეა, ჩვენი დრო მხატვრობას ხელს არ უწყობს... ამ ბოლოსა და ბოლოს დროს ფრანგები როგორლაც ამერიკელებს დავემზგავსენით.

**ჟურდეილი-მამა.** როგორ, ამერიკელებს?... რას ბრძანებთ, ბ-ნო, ამერიკელები ას წლათა გვჯობიან!

ფრანკეიროლი. არა, ბ ნო, არა!

ჟურდეილი-მამა. როგორ არა! (წამოდგება). ყური დამიგდეთ, საყვარელო. თქვენ წინ ანრი-შარლ-ალექსი ჟურდეილი სდგას, მხატვართა შორის უფროს-ჟურდეილათ ცნობილი... იცით, ისრევე, როგორც უფროსი-პალმა იყო; ეს შარლ-ალექსი-ჟურდეილი, მოწაფე და მეგობარია ბარონის გროსი და 1825 წ. მედალით იქმნა დაჯილდოვებული... (ტოლს) თორემ, შენ კარგად იცი, რა ძნელი იყო მაშინ მედალის მიღება?..

ქ-ნი ჟურდეილი (ცრმა რწმენით). რასაკვრელია!

ფრანკეიროლი (იქით). მართალია აგრეა.

ჟურდეილი-მამა (მქუხარე ხმით). ეს მხატვარი, ბატონო, ველარც ერთს თავისს სურათს საფრანგეთში ვერ ასაღებს... ვერც ერთს-მეთქი .. გესმით? (თავს მთლად ფრანკეიროლის ყურთან მიიტანს). გესმისთ, ამ ხელსუფთა და ხელ ფუნჩულებს ჩემი ეშინიანთ!.. მერმე, იცით, ამ უფროს-ჟურდეილის მშვენიერს ნახატებს, რომლებიც საფრანგეთს აუთვალწუნებია, ვინა ყიდულობს? იცით? ამერიკა, საყვარელო მეგობარო, ამერიკა!

ქ-ნი ჟურდეილი. დიახ, მართალია. გიჟდებიან თურმე ამის ნახატებითა.

ფრანკეიროლი. მით უკეთესი, იქმნება ამან მაინც შემარიგოს როგორმე ამერიკელებსა.

ჟურდეილი-მამა. ო, დიდად ნიჭიერი რასაა! კარგად მიმიხვდნენ. აუარებელს სურათებს მიკვეთავენ... გამდიდრება რომ უთუოდ მინდოდეს... მაგრამ არ მინდა (განსაკუთრებულის კილოთი). დღიური მუშა ხომ არა ვარ.. მძიმედ და საქმის სიყვარულითა ვმუშაობ, მხოლოდ მაშინ, როცა სურვილი მომივლის... ისაც იმიტომ, რომ დრო გამოშვებით პატარა რამ ლამაზი ფაიფურის ნივთი შევიძინო...

ფრანკეიროლი (ეტაჟერებზე უჩვენებს). მეც შევნიშნე, რომ უნდა გიყვარდეთ...

ქ-ნი ჟურდეილი. ო, აქ კიდევ რას ჰხედავთ... უნდა ნახოთ, სახელოსნოში რამდენი აქვს!

ჟურდეილი-მამა. ჰო, რამდენიმე რიგიანი ნივთი, მართალია, მომეპოვება. მაგალითად, შევიძინე შესანიშნავი ანალოლი ჰენრიხ III სამლოცველოდგან, რომლის გვერდებზედაც მისი საყვარელი კაცები არიან დახატულნი.

ქ-ნი ჟურდეილი. კლიუნის მუზეუმი რამდენს გაძლევდა, ჩემო კარგო, შენს კოლექციაში?

ჟურდეილი-მამა. ოცი ათას ფრანკსა! ერთი თითი-კი დავუქნიო და ხვალვე გადმომითვლიან... მაგრამ — მაყაშ! ნამუნისა არ იყოს... არც ოცათ, არც ოც-და-ათად და არც ას ათას ფრანკათ მივცემ... არაფრის გულისათვის არ მოვიშორებ.

ქ-ნი ჟურდეილი (მოკრძალებითა და აღტაცებით შეჰყურებს). ოჰ, ეს მხატვრები... ფულს არად აფასებენ!

ფრანკეიროლი (ლუიზას, რომელიც ფანჯარასთანა ჰკერავს). არ იქმნა, არ მოდის თქვენი ძმა, ჰა?

ლუიზა (დაღონებული). არა სჩანს... უთუოდ მატარებელმა დაიგვიანა (წამოდგება და სამზარეულოში წავა).

ქ-ნი ჟურდეილი. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ჟურდეილი-მამა. რა იყო, რა — ღმერთო ჩემო!.. ეგაც განა, საფიქრებელია! ბევრი, ბევრი, ერთი საათით გვიან ვისადილოთ, აჰა, მორჩა და გათავდა (ჭიქებს კიდევ დასმსებს). აბა, თითო კიდევ გადავუსვათ, რომ სადილის მოლოდინში არ მოვიწყინოთ... (ჭიქას ასწევს). გამიგონე, პიერ, იცი რა არის... ეჰ! აბა, რას იზამ, უნებურად შენობით მოგიხსენიე... წინააღმდეგი ხომ არა გაქვს-რა?

ფრანკეიროლი. სრულიადაც არასფერი!

ქ-ნი ჟურდეილი. ო, ჩემო მეგობარო, ეგ, აბა, როგორ შეიძლება?

ფრანკეიროლი. თავი დაანებეთ, ძალიანაც კარგია...

ჟურდეილი-მამა. რაო, განა, ეს-კი ჩვენის ოჯახისა არ არის?.. და ამას გარდა, ჩვენივე ძმაა, ესაც მხატვარია. (ფრანკეიროლს). შენც ხომ არტისტი ხარ, ვიცი... ნუ იუარებ, ვიცი, რომ შენც მხატვარი ხარ...

ქ-ნი ჟურდეილი. მართლა ანრიმ გვიამბო, რომ წინად თქვენც თურმე გიხატნიათ.

ფრანკეიროლი. მხოლოდ იმდენად, რომ შემძლებოდა ანრის ნიჭით დავმტკბარიყავი.

ჟურდეილი მამა (თავისთვის წაიდუდუნებს). ამასაც მიუგვნია, რალა... რასაკვრელია, სტყუის...

ფრანკეიროლი. ვინ იცის. იქნება მართლაც გამოსულიყო რამე, რომ ასეთი მაწანწალა ბუნება არა მქონდეს. იცით, ანრიმ რა სახელი დამარქვა—პიერ ფრანკეიროლ-გადირბინე მინდორიო... და აი, მართლაც, მთლად ჩემი ბედი ამ ორის სიტყვით იხატება. ერთი ადგილიდგან მეორესაკენ მივძრწი და დავწიალებ ასრე ამ ქვეყნად... მითხარით ერთი, მხატვრობას საიდგან-ღა შესძლებ, როცა მუდამ ჟამს საითკენ-ღაც ძიჰქრიხარ...

ქ-ნი ჟურდეილი. უცნაური ოცნებაა სწორედ: საკუთარის სიამოვნებისათვის მუდამ ჟამს ზღვაში დასცურავდე. მესმის კიდევ, რომ ვაჭრობას მისდევდეთ...

ფრანკეიროლი. მაშინ ხომ სიამოვნებაც აღარ იქმნებოდა.

ქ-ნი ჟურდეილი. მე კიდევ ჩემი ბუდე, ჩემი კუთხე და მუდამ თავისს ადგილას მდგომი ჩემი სავარძელი მიყვარს.

ჟურდეილი-მამა (მადერას მოიეუდებს და ცოდს დიმილით გაჰყურებს). ლოკოკინავ!

ქ-ნი ჟურდეილი. არა, რაც გინდა სთქვი, მაგრამ მახინჯობაკია სწორედ, მთელი საუკუნე ადამიანმა წყალში გაატაროს... მაგრამ, იქმნება ნათესავები იქა გყავთ?

ფრანკეიროლი. სად იქა?

ქ-ნი ჟურდეიღი. ჰმ!.. აბა, რა ვიცი... საცა მოგზაურობთ ხოლმე...

ჟურდეიღი-მაშა (ჭიქას ხელიდგან გაუგდებს და თვით მაგიდას დაემხობა). ოჰ, მარჯანო!..

ფრანკეირეოლი. საიმისოდ არსად დავდივარ...

ქ-ნი ჟურდეიღი. აი, ადამიანი! მითხარით, ღმერთო ჩემო, საიდგან აგიჩნდათ ეგ სენი, რომ სულ მოგზაურობთ? დაბადებით მოგდგამთ, თუ რა არის?

ფრანკეირეოლი. არა, დაბადებით-კი არა... აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. ოცის წლისა ვიყავი. ერთს მშვენიერს მზიანს დილას მდინარე რონის პირად დავსეირნობდი არლეში... მაგრამ წარმოიდგინეთ, ადამიანის ბედი ხშირად რაზეა დამოკიდებული!.. იმ დილით, ნავთსადგურში ერთი პატარა ხომალდი სამხრეთ ზღვებისაკენ წასასვლელად ემზადებოდა. ხომალდი სულ პაწია, რაღაცა სათამაშოსა ჰგავდა... მე კი ასეთი პაწია რამეები მუდამ მიყვარდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამბედავი და მხნე გამომეტყველება ჰქონდათ ხოლმე... ეს ხომალდი-კი ეტყობოდა, ძალიან გამბედავი უნდა ყოფილიყო, რომ მარტოდ-მარტო ასე შორს საცურავად ემზადებოდა... დავდექი და ყურება დავუწყე. უკვე დატვირთეს და წასასვლელად მოემზადა, მთელი კამანდა—ოთხის კაცისაგან შემდგარი, ბაქანზე იყო, ამათში ხომალდის მოსამსახურე ბიჭიც. იალქნის აშვება დაიწყეს... მაგრამ მთლად დაკერებული იყო, ეტყობოდა, ტროპიკულს ცხარე მზეს დაეწვა... ვინამდის იალქანს შესტრიალებდნენ, ერთი ზღვაოსანთაგანი დაბალის ხმით ერთ თავად არხეინად დაჰღიღინებდა (თან თვითონ ცა მდერის დაბალის ხმითა):

ბრაზილიისკენ მისცურავს
ჩემი პატარა ხომალდი,
შორსაა, მაგრამ რა უშავს,

ღმერთო, თუ შენა მწყალობდი,
კამანდაცა და ხომალდიც
ყველა მივაღწევთ იქამდი...

ვინემდის ფრანკეიროლი მღერის, ლუიზა სამ ხარეულს კარებს შემოადებს და ფეხ-აკრებით მიუახლოვდება)

და, იცით, ისე გამიტაცა ამ პაწია, ნავის ტელა ხომალდის ნახვამ, რომელიც ასე შორს მიდიოდა სამოგზაუროდ და თავის ბედს ღმერთს ანდობდა, რომ ცოტას გასწყდა არ ვიტირე... მერმე-კი... ალარ მახსოვს, როგორ მოხდა... კამკამა მზით განათებული ნავთსადგური... ზღვისაკენ ღელვით მიმდინარე დიდებული რონა, სიმღერა და ვეებერთელა გარუჟული იალქანი, მძიმე-მძიმედ რომ მაღლა-მაღლა მიფრიალებდა და არაფრისა არ ეშინოდა, ბუმბერაზ ფრთასავით იშლებოდა ქარისაგან... ყოველივე ეს ისე წარმტაცი და მომხიბლველი იყო, რომ უნებურად გული ამიფრთხიალა და რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაძახე ხომალდსა;—„ეი, პაწიავ, მოიცა ერთს წამს, მეც წამიყვანე-მეოქი“.

ქ-ნი ჟურდეილი. და წახვედით, წახვედით?

ფრანკეიროლი. რასაკვრელია, წავედი... და იქამდის კმაყოფილი დავრჩი ამ მოგზაურობით, რომ, როგორც-კი ბრაზილიაში მივედი, ეს ხომალდი მაშინვე საკუთრებად შევიძინე და მას შიმდეგ აგერ, თხუთმეტი წელიწადია, სულ ერთ-თავად ზღვაში დავცურავ.

ჟურდეილი-მამა. საუცხოვო რამ არის, შვილებო, ესა, საუცხოვო!..

ლუიზა. მერე, ახლა თქვენი ხომალდი სად გაუშვით?

ფრანკეიროლი. გავრში... დეე, ცოტა დაისვენოს... იფიქრეთ, აბა, ნიუორკიდგან თვრამეტს დღეში მოვფრინდით!

ჟურდეილი მამა. მაშ ახლა ნიუ-ორკიდგან მოხვალ?.. რაკი აგრეა, ჩემი სურათები, ეჭვი არ არის, გენახვება... იქ... ჯაქსონთან...

ფრანკეიროლი. ჯაქსონთან?

ჟურდეილი მამა. დიახ, ჯაქსონთან, ცნობილი სურათებით მოვაჭრეა, ისრევე, აი, როგორც ჩვენი გუპილი... ყველა ჩემს ნახატებს ისა ყიდულობს.

ფრანკეიროლი. ჯაქსონი?.. არ ვიცნობ!

ჟურდეილი-მამა. უცნაურია... მაგრამ ეს ინგლისური გვარები ისე როგორილაც ეშმაკურები არიან, რომ შეიძლება სწორედ ვერც-კი ვამბობდე...

ქ-ნი ჟურდეილი. არა, ბ-ნო პიერ-გადირბინე-მინდორო, გაგვაგებინეთ ერთი, ახლა მაინც დაისვენებთ ცოტა-დენსა, თუ არა?

ფრანკეიროლი. დიდის სიამოვნებით... ამ ჟამად მაინც რალაცა საგანგებო მიდრეკილებასა ვგრძნობ... არ ვიცი, ჰაერია ასეთი ამ თქვენს ვილ დ' ავრეში, თუ ეს თქვენი სავარძელებია დასასვენებლად მოწყობილი... (სავარძელში ჩაჯდება)... ისე გულით მინდა აქ ჯდომა.

ჟურდეილი-მამა. მართლა კარგია ჩვენსა, არა?.. ხომ ჰხედავ, ჩემო მეგობარო, როგორ მხიარულადა ვცხოვრობთ. მთელს დღეს სულ იცინიან.. ნამდვილი ოჯახური ციგნობაა, რალა... ზენასაგან ნაკურთხი ციგნობა!.. (შორიდგან თვლების რახ-რახი და საყვირის ხმა ისმის.

ქ-ნი ჟურდეილი. აგერ, ომნიბუსიც მოდის.

ლუიზა. ოჰ, არა, ეს ის არ არის. ჯერ მხოლოდ ექვსის ნახევარია, ეს უკან, პარიჟში, მიდის.

ფრანკეიროლი (სავარძლიდან წამოდგება) ექვსის ნახევარი?.. მაშ, დრო ყოფილა წავეთრიო...

ლუიზა. როგორ?..

ქ-ნი ჟურდეილი. აი, კიდევ გაქრება!

ჟურდეილი-მამა. მაშ, აქ არ ისადილებ?

ფრანკეიროლი. არაფრის გულისათვის არ შემიძლიან! სადილათ ამერიკის საკონსულოში მიცდიან... ეს ცოტა საპატიოც არის და სავალდებულოც... სანაძლეო უნდა მივიღო.

ეგელანი ერთად. როგორ თუ სანაძლეო?

ფრანკეიროლი. სანაძლეო, რომელიც ჩემმა ხომალდმა მოიგო... ნუ-თუ არ მითქვამს? ო, როგორ არა, ნამდვილი

გამარჯვებაა!—ნიუ-ორკიდგან ხუთი ხომალდი წამოვიდა,—სულ წვრილები—და სანაძლეო დასდეს, ვინც გავრში უწინ მივა, იმისი იქმნებაო... რასაკვრელია, გზაში არ გვძინებია; თვრამეტი დღე და ღამე გაბმით წყლისა და ცის მეტი ჩვენს თვალს არა უნახავს-რა... და რადგანაც ჩემი ხომალდი ჩიტივით სუბუქია. გუშინ, სალამოს 10 საათზე, პირველად მე მივედი გავრში, ე. ი. ყველას მოვუსწარი... სხვები მხოლოდ ღამე მოვიდნენ .. (მწუხარედ) ყველანი, გარდა ერთისა, რომელიც აღარასოდეს უკან აღარ დაბრუნდება! (მხიარულად). მაგრამ არაფერია! სამაგიეროდ ამერიკელები გაცხვირულები დარჩებიან. გაუმარჯოს, მაშ, არლელ მეზღვაურებსა!

**ჟურდეილი**-�მა გაუმარჯოს არლელს მეზღვაურებსა!.. არა, ამ სადილს უთუოდ ღვინა დაესწრო!

**ლუიზა.** მერე, ანრი?

**ფრანკეიროლი.** ხვალა ვნახავ პარიუში... მაგრა ნუ ეტყვით, თუ აქა ვარ... ნუ მომაკლებთ სიამოვნებას, სიურპრიზი გავუკეთო... ვიცი მართალია, ეს სიბავშვეა, მაგრამ რას იზამთ, რომ ყველა მოგზაურები... ე. ი. ნამდვილი მოგზაურები სცილლობენ ხოლმე უთუოდ ადამიანს თავს მოულოდნელად დაატყდნენ. და მართლაც, იმაზე კარგი და სასიამოვნო რაღა იქმნება, რომ საყვარელს კაცს უცბად თავს დაადგები და გადაეხვევი... არა, იმ განცვიფრებულ თვალებსა, აცახცახებულ ხელებსა და სალაპარაკოდ გაღებულ პირზე უკეთესი რაღა იქმნება, რომელსაც ჰსურს გითხრას: როგორ, შენა ხარო?—და თქმა-კი არაფრისა აღარ შეუძლიან... დალახვრა ე რკინის გზის სადგურების დარბაზები, სადაც მოგზაურს ბუზების თვლა უხდება ხოლმე!.. სიხარულს საყვარელ ხალხის ნახვისას მთლად უშხამავენ ადამიანსა... ჩემის აზრით-კი ყველაფერზედ ძვირფასი მოგზაურისათვის ეს პირველად შეხვედრის წამებია.

ჟურდეილი მამა. ვაშა, ვაშა! სულ მთლად გეთანხმები. თუვზისავით პირში წყალს ჩავიყენებთ და კრინტს არ დავძრავთ!.. ფიცსა ვდებთ...

ფრანკეიროლი (დედასთან მიკა). დედი, მშვიდობით! (ჩუმად).

ქ-ნი ჟურდეილი (ჩუმად). ხომ არ დაივიწყეთ?..

ჟურდეილი-მამა. ჩქარა, ჩქარა, თორემ ომნიბუსი კიდევაც მოვიდა

ფრანკეიროლი (ჩუმად დედას). კარგით, კარგით... ?ოვალ და ყოველისფერს გიამბობთ.

ჟურდეილი-მამა. მითხარი ერთი, ახლა როდის-ღა გვნახავ?

ფრანკეიროლი. უთუოდ ძაან მალე.

ჟურდეილი-მამა. ხშირადა გვნახე ხოლმე... იცი რა არის, იქნება მოვიგუნებო და გადაგხატო როგორმე... ჰა?.. შენ რას იტყვი? ვგონებ, ურიგო არ იქნება უფროს ჟურდეილისაგან დახატული შენი სურათი გქონდეს?

ფრან ეიროლი. რასაკვრელია! (ლუიზას). მაშინაც იქმნება კრემი, მეორედ რომ მოვალ?

ლუიზა. არამც თუ კრემი, ღუზელებიც.

ქ-ნი ჟურდეილი. კარგით, გაუშვით, თორემ დააგვიანებთ.

ფრანკეიროლი. მშვიდობით... მშვიდობით... მაგრამ არა წამოგცდეთ-რა.

ჟურდეილი-მამა. კარგი, კარგი, ეგ მე მომანდე.. მე თითონ დავუბამ ენასა. (ფრანკეიროლი მადის. ჟურდეილი ფანჯრისკენ მირბის). მართლა, როცა საელჩოში მიხვალ, ერთი ჯაქსონისა იკითხე რამე?

ფრანკეიროლი (სცენის იქით, შორიდგან). უთუოდ.

## გამოსვლა მეშვიდე

ქ-ნი ჟურდეილი, ჟურდეილი-მამა და ლუიზა.

ჟურდეილი-მამა. რა კაცია, რა კაცი შვილებო!

ქ-ნი ჟურდეილი. საყვარელი ქარაფშუტაა.

ლუიზა. რას ამბობ, დედი, ქარაფშუტა-კი არა, გმირია.

ჟურდეილი-მამა. მერე, რა საამხანაგო კაცი იქმნება, გულ-ახდილი, დაუფარავი!.. მასთან არასოდეს არ მომწყინ-

დება, მოხარული ვარ სწორედ. მომაგონდა ის წელიწადი, პიპეტი რომ ჩვენსა სცხოვრობდა...

ქ-ნი ჟურდეიღი. ო, ნეტავი შენცა, ლირს ღა იმ ადამიანის მოგონება მას შემდეგ, რაც ის ოინი გიყო?

ჟურდეიღი-მამა. ფულებს, რასაკვრელია, არ ვიგონებ... თავის გართობისათვის მიყვარდა... ის ისეთი გამართობელი პირუტყვი იყო, რომ ხან და-ხან საშინლად გულს მაკლია ხოლმე.

ლუიზა (დედას სქელ, სანგარიშო წიგნზე უჩვენებს). დედი, არ იქნა დღეს ანგარიში ვერ გაათავე... დახსომებულს ორს იქით ველარ წახვედი, აჰ?

ქ-ნი ჟურდეიღი. ოჰ, მართლა!

ლუიზა. სულ ერთია, საღამოზე გაათავებ. (აიღებს წიგნსა და გვერდის რაფაზე დასდებს).

ჟურდეიღი-მამა. მართლა, ანგარიში რო ახსენეთ, მამიდა რეზუს გაუსწორდით?

ქ-ნი ჟურდეიღი. ჯერ არა, მეგობარო. რადგანაც იმ თვეში უმისოდაც დიდი ხარჯი გვქონდა, ამ თვისათვის გადავდეევ...

ჟურდეიღი-მამა. ეგ ვერაფერი სასიამოვნოა! ე მედუქნეები უიმისოდაც, ვინ იცის, რა თვალით გვიყურებენ ჩვენ, მხატვრებსა... მეორეც, არ მიყვარს, როცა ვალის გადახდას დააგვიანებთ ხოლმე...

ლუიზა (ტოტხლად) რაკი აგრეა, მაშ, თვითონ შენ...

ჟურდეიღი-მამა. რაო?

ქ-ნი ჟურდეიღი (ქმარს) ჰო, ჩემო საყვარელო, შენ სრულიად მართალი ხარ...

ჟურდეიღი-მამა. არა, ის რას მიჰქარავს?

ქ-ნი ჟურდეიღი. არაფერს, ამბობს, რომ მართალი ხარ... ნუ გეფიქრება, ხვალ უთუოდ გავუსწორდები. აბა, შვილო, შენ ახლა სამზარეულოში წადი, მე კიდევ სუფრას გავშლი.

ჟურდეიღი-მამა. ჩქარა, თორემ ლამის არის შიმშილით მოვკვდე.

ლუიზა. ახლა კი უთუოდ მალე მოვა ანრი. მაგრამ, ვაი, რომ ძნელი იქმნება m-er პიერის აქ ყოფნა დავუმალოთ. (შიდის სამზარეულოსკენ და დაბალის ხმით დაჭმდერის):

ბრაზილიისკენ მისცურავს
ჩემი პატარა ხომალდი და სხ.

ჟურდეილი-მამა (ფანჯარასთანა სდგას). ხე, ხე, ხე! ქალო, როგორა გგონია, შვილმა, ვგონებ, ცოტა გიჟობა დაიწყო არა?

ქ-ნი ჟურდეილი (სუფრასა ჭშლის). ღვთის გულისათვის, მაგისთანებს ნუ მეტყვი ხოლმე.

ჟურდეილი-მამა. მერე, რა უშავს რო!.. იმის ხანში საკვირველი არა არის-რა. ოჰო, ბიძია ბორნიშმაც მერიის კანტორა დაჭკეტა..

ქ-ნი ჟურდეილი (გაუბედავად). არა, მოიცა .. მართლა გგონია, რომ გიჟობს?

ჟურდეილი-მამა (ფანჯარაში გაიყურება). საშინლად გახდა საცოდავი!

ქ-ნი ჟურდეილი. მართლაც და საშინლად გახდა.

ჟურდეილი-მამა. მართალია ძალიან სქელი წინადაც არა ყოფილა... მაგრამ ე მწვანე მუნდირმა სულ მთლად გამოსცვალა... ნამდვილი ჭრიჭინა გეგონებათ...

ქ-ნი ჟურდეილი (გ ნცვიფრებული). ანრის... მწვანე მუნდირი!

ჟურდეილი-მამა. ეჰ, ანრიზე ვინ გეუბნება.. ბიძია ბორნიშზე ვამბობ...

ქ-ნი ჟურდეილი. შენ კიდევ, ერთი, ემა ბორნიშს რას ჩასციებიხარ, როცა ანრიზე ფიქრი აღარ მასვენებს. (ქმარს ფანჯარას მოაშორებს). გესმის, საყვარელო, მიყავ წყალობა და ერთი რიგიანად მიპასუხე. ეხლა არ იყო სთქვი, ანრი გიჟობას იწყებსო... გამაგებინე ერთი, მართლა ატყობ რასმე?

ჟურდეილი-მამა. ო-ო არა, არა შემინიშნავს-რა! მაგრამ მითხარ ერთი, რა დიდი უბედურება იქმნება, თუ შენი შვილიც ისრე იცხოვრებს, როგორც მრავალი სხვა? არ იცი შენ მხატვრის ცხოვრება რა არის. თვით უდიდებულესნი მათგანნიც-კი დიდ-დიდს სისულელეს ჩაიდენენ ხოლმე....

ქ-ნი ჟურდეილი. ამ თავანთის მხატვრებით სწორედ რომ სულს ამომხუთავენ!

ჟურდეილი-მამა. დალახვრა ეშმაკი!.. შუბი ტომარაში, განა, დაიმალება?.. რომ იცოდე, ჩემს ახალგაზრდობაში რა არ ჩამიდენია! აბა, ის იყო სიცოცხლე, შვილებო!.. მახსოვს, მე და პიპეტი მთელს ღამეებს ვათენებდით ხოლმე!

ქ-ნი ჟურდეილი (სამზარეულოს კარებზე ანიშნებს). ფრთხილად! ლუიზა აქ არის...

ჟურდეილი-მამა (ხმას დაუდაბლებს). იცი რა არის... გულწრფელად რო გამოგიტყდე, ძაან მოხარული ვიქმნებოდი, რომ შენმა შვილმა ერთი დიდი რამ სისულელე ჩაიდინოს... ისე, ახალგაზრდობით... მაგრამ, ვაი, რომ სწორედ ეს აკლია! ახალგაზრდობა არ ეტყობა, არა (ზარს დარეკავს).

ქ-ნი. ჟურდეილი. ოჰ, მადლობა ღმერთს, ძლივს არ მოვიდა! (კარების გასაღებად გაიქცევა).

ჟურდეილი-მამა (მაგიდას მიუჯდება). ლუიზაჯან! . სადილი მოიტა! მარდათ!..

ლუიზა (სამზარეულოდან ლურჯს დიდს მისკას გამოიტანს) აი, მომაქვს!

ქ-ნი ჟურდეილი (კარებს გაადებს). ო!.. ნამუნი ყოფილა.

ლუიზა. ნამუნი! .

## გამოსვლა მერვე

### იგინიგე და ნამუნი.

(შემოდის ნამუნი. ნამუნს ალჟირელ მაგრების ტანისამოსი აცვია: შარვალი, კურტკა, ბურნუსი, ფეხზე ტუფლები, თავზე ფესკა).

ნამუნი. გამარჯობა...

ქ-ნი ჟურდეილი. ანრი სად-ლაა?

ლუიზა. სად არის?

ნამუნი. არა მოვიდა მუსიე ანრი...

ლუიზა ო, ო!

ქ-ნი ჟურდეილი. ავად გახდა?

ნამუნი. არა, არა... არა ავათ, არაფერი.

ქ-ნი ჟურდეილი. მაშ, რატომ არ მოვიდა?

ჟურდეილი-მამა (მაგიდას უზის და დაიცინებს). ხე-ხე-ხე ხე!..

ნამუნი. იმიტომ, მუსი ანრი დაჯდა შინ. იმიტომ, მუშაობა უნდა...

ჟურდეილი-მამა (იქით). რომ მუშაობდეს, ეგ-კი ცოტა საეჭვო არის... ჰხედავთ, რა ეშმაკია ე ყაჩაღი!

ლუიზა. მე-კი რა მშვენიერი სადილი მოვუმზადე!

ნამუნი (სუფრას მსუნაგის თვალით დაჭყურებს). ო-ო, ალაჰ! კარქი ჭამა აქა, კარქი! (მუცელზე ხელს ისვამს).

ქ-ნი ჟურდეილი (გაღიღრით). უთხარი ანრის, რომ ხვალ იმასთან ვიქნებით. გესმის?

ნამუნი. არა, არა, მადამ... მაყაშ იქნება ხვალ .. იმიტომ, მუსი ანრი შინ არა დაჯდა, ხვალ წავიდა.

ქ-ნი ჟურდეილი. მაინც უთხარი, რომ მიმელოდეს... უთუოდ მოვალ და ვნახავ.

ჟურდეილი-მამა (იქით). ბრრრ!.. ძუ ლომია ე ჩემი ცოლი სწორედა, რაღა!

ქ-ნი ჟურდეილი. მით უფრო, რომ იმისი მეგობარი ფრანკეი-როლი...

ჟურდეილი-მამა (თეფშს კოვზის ტემას დაუწყებს). ფრთხილად!..

ქ-ნი ჟურდეილი. სულ ერთია... კარგი, უთხარ, რომ უთუოდ მოვალ.

ლუიზა. კარგი წლის თავიც გამოგვივიდა!.. კრემიც არის... ღუზელებიც... და...

ნამუნი. ეხ, კარქი ბირაშკი! (მიდის).

ჟურდეილი-მამა (მისკენ ხუფს აჭხდის). აბა, აბა! კარგია კიდევ, თავს ამით მაინც ვინუგეშებთ... დასხედით, შვილებო, დასხედით! (მიიხედავს და დაინახავს, რომ ქ-ნი ჟურდეილი თვალზე ცრემლს იწმენდავს). ეგ რაღა არიო? ცრემლები?.. ეჰე-ჰე! მე-კი მაინც შეეექცევი. (წვენს დაისხამს). შენ კი, ყაჩაღო, შენ-კი არ გინდა?.. (მიიხედავს) ე-ე, წასულა კიდევაც... აი, ნადირი!

(შემდეგი იქნება)

# ქრისტიანეთის მონასტრის გუჯარი

(წარმოდგენილი ტარასისაგან).

ჭ. სახელითა სახიერისა არსება დაუბადებელი- სამებისა-
სა, გარე შეუწერელისა, მიუწდომელისა, უხილავი- თვის:
სა, ურაბამოსა, თვით-უარსისა, და ყოველთა მაარ
სებელისა, უძრავთა მოძრავ-მქნელისა, დაუბადებე-
ლისა და ყოველთა დამბადებელისა, თვით-შეუცავისა
და ყოველთა შემცველისა, სავსისა და ზესთა სრულისა,
ძალ-განუზომელისა ღვთისა მამისა: და თანა არსისა
და თანა დაუსაბამოსა და დაუსრულებელისაგან ნათ-
ლისა, წყაროჲსა ცხოვრებისა და უკუდავებისა, მაგა-
ლითისა, სახის-დასაბამის, შეუძრველისა ბეჭდისა,
უცუალებელისა ხატისა საზღურისა და სიტყჳსა მამი-
სასა ღვთისა ძისა: და ცხოველს მყოფელისა, სრულ
მყოფელისა ყოველთა აღმავსებელისა და განმამღთო-
ბელისა, უხილავისა უჟამოსა დაუტევნელისა, უსახო-
სა, შეუხებელისა, მარადის მოძრავისა, თჳთ ხელმწი
ფისა თჳთ ძალისა, ყოვლისა-შემძლებელისა, ცხოვრე-
ბის, მომცემელისა, თვით-ნათლისა და ნათლის-მომ-
ნიჭებელისა, ღ᾽თ-მყოფელისა სულისა ᾽ყდ წმიდისა
რომელი იგი ერთარს, და სამ გვამოვან, რომელთა არა
აქვსთ ურთიერთას განყოფილებაჲ, თჳთებასა შინა
გუამთასა, თჳნიერ უმიზეზობისა, და მიზეზისაგანთა,

უშობელსა ვიტყვი, და შობილსა, და გამომავალსა ერთობასა ბუნებისასა, სამებასა შინა გუამთასა.

ღვთის-მშობლისათვის:

შეწევნითა და მეოხებითა ყ˜დ წმიდისა უხრწნელისა და უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა, და ყ˜დ ბიწ-შეუხებელისა, ყოველთა დამბადებელის-მტკრთველისა ღვთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, რომლისა მიერ ხორც-ვასხებულ იქმნა ქრისტე ღმერთი ჩვენი და ეზიარა კაცებასა ჩვენსა თბითა ადამიანთათა, მრჩობლ ბუნებითა, და იშუა მისგან ღმერთი სრული და კაცი სრული.

ჯვარისათვის:

ძლიერებითა და თანა დგომითა ქრისტეს ბეჭთსაშუალისა, მორწმუნეთა საჭურველისა, მეფეთა ღვთის-მსახურთა ძლევით გვირგვინოსან-მყოფელისა, ძელისა ცხოვრებისა, ყოვლად მძლისა და უძლეველისა ჯვარისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა ქრისტე ღმერთი ჩვენი ძლევით შემუსრვად ბჭეთა ჯოჯოხეთისათა, და მას ზედა დამსჭუალვითა მეუფისათა მოგვეცა იგივე პირველი პატივი და უკვდავება.

ანგელოზთათვის:

თანა-მოქმედებ-მდგომარეობითა წმიდათა ურულოთა, მცუსლ-მმართებელთა ცხოვრებისა ჩვენისათა და წამის ყოფით აღმასრულებელთა ღვთისა ბრძანებათათა, დიდთა მთავართა ზეცისა უხორცოთათა, მიხაილ ძალთა-მთავრისა და გაბრიილ მახარებელისათა, და სხვათა ყოველთა ზეცისა უფლებათა და მთავრობათათა.

იოანე ნათლის მცემლისათვის:

ოხითა და მინდობითა ყოველთა ნაშვთა დედათასა უზენაესისა, მუცლით გამო დედისათ თაყვანისმცემელისა, და ქრისტეს მეუფედ მცნობელისა, ერთა სინანულის მქადაგებელისა, წინა მსრბოლისა, წინასწარმეტყველისა, და ნათლის მცემელისა მამის უტყვე-

ბის დამხსნელისა, და დედის ბერწობის განმხსნელისა
დიდისა ქადაგისა იოანესითა.

და სეხნისა, მობაძავისა და თანამეტომისა მისისა, ძედ ქუხილისა წოდებულისა იოანე ღვთისმეტყველისა, ღვთისა ძმისა, მკერდსა მას სამეუფოსა მიყრდნობილისა, და მიერ აღმოუთქმელთა საკვირველთა მათ საიდუმლოთასა, საყვარელისა მოწაფისა და ქალწულისა და ყოველთა მახარებელისათა. **იოანე მახარებელისათვის:**

მეოხებითა და თანა დგომითა პეტრე რიტორისა სასუფეველისა კლიტეთ მპყრობელისა, და პავლე სამცადმდე აღწევნულისა და არა თქმულთა სიტყვათა მსმენელისა მოძღვრისა წარმართთასა, და ათორთა თავთა მოციქულთა და სამეოც და ათეულთა ქრისტეს მოწაფეთათა, რომელთა მოძღვრებათა ბადითა მოიბადურნეს ყოველნი კიდენი სოფლისანი და განანათლნეს ყოველნი კაცნი დაბნელებულნი, ღვთის მეცნიერებისა ნათლითა. **მოციქულთათვის:**

შეწევნითა და ოხითა წმიდათა და ღვთის მხილველთა და შორითგანვე ქრისტეს ღვთისა მოსვლისა მომასწავებელთა წინასწარმეტყველთა მოსე, არონ, ილია, ელისე, ამბაკომ, სოფონია, ანგია, ზაქარია, ისაია, ნათან, დავით ღვთისა მამისათა ეზეკიილ, გედეონ იერემია და დანიელისათა, რომელთა თვთოეულად ჰქადაგნეს და მოასწავეს განხორციელებაჲ უთესლოდ სიტყვისა ღვთისა და შობაჲ ქალწულისაგან უბიწოსა. **წინასწარმეტყველთათვის:**

მეოხებითა წმიდათა მღვდელთ მოძღვართა, ვასილი კესარიელისათა, გრიგორი ღვთისმეტყველისათა, იოანე ოქროსა ნეკტარ წარმომადინებელ წოდებულისა, ათინასი და კირილე ალექსანდრიელისათა, რომელთა მართლმადიდებლობისა ქადაგებითა განჰფხურნეს ყოველნი მწვალებელთა ღვარძლოვანნი **მღვდელთმოძღვართათვის:**

ყანანი, და მათ წილ დასთესნეს თესლნი ღვთის მსახურებისანი, და მოიმკნეს არა ერდოთანი არამედ კურთხევისა მიმნიჭებელნი, თანა-წარმავალთანი, და ნიკოლოოზ დიდისა მღვდელთმოძღვრისა მირონ ქალაქისათა, რომელმან შეაძრწუნა მეფე კოსტანტინე ავლავიოსის თანა და იხსნა უბრალონი სიკვდილისაგან უმსჯავროჲსა.

მოწამეთათვის: ოხითა და შეწევნითა წმიდათა და უძლეველთა მოწამეთა, სტეფანე, გიორგი, თეოდორე, დიმიტრი, პროკოპი, ევსტათი, პანტელეიმონ, და მერკვირისათა, რომელთა ურიცხვთა ღვაწლთა მიერ გვირგვინოსან ჰყვნეს თავნი მათნი, და ბევრეულნი ტანჯვანი თავს ისხნეს სიყვარულისათვის ღვთისა, და ზრახვიდეს ვიდრე სიკვდილადმდე: ვითარმედ „ვინ განმაშორნეს ჩვენ სიყვარულსა მას ქრისტესსა, ჭირმან, ანუ იწროებამან, ცეცხლმან, გინა მახვილმან, და ესე ვითარითა სასოებითა ძიემთხვივნეს, რომელთა სურვიელ იყვნეს და რომელთათვის გული უთქმიდა.

მამათათვის: მეოხებითა და მოწმობითა წმიდათა და უდაბნოს განმანათლებელთა მამათა ჩვენთა საბა, ანტონი, პახუში, ეფთიმი, თეოქთისტე, მაკარისათა, და ყოვლად დიდებულისა და საკვირველთ-მოქმედისა სვიმეონ მესვეტისათა, რომელთა ყოველივე სოფლისა ამის დაუტევეს, და შეუდგეს წადიერებით მეუფესა ყოველთასა, და მისა მიმართ დასდვეს სასოებაჲ მათი, ამისთვისცა მიემთხვივნეს ნეტარებასა მას „რომელი თვალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი იგი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა.

ქალწულთათვის: მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა თეკლე, ეკატერინა, მარინა, ბარბარა, ნისიმე, ფებრონია, ანუსია, ანასტასია და ყოველთა

მოყვასთა მათთა, და რომელთა ყიმხნეჲ მამა კაცებრივი აღიღეს, და უძლეველი ძლევაჲ შეიმოსეს, და მწარეთა ტანჯვათა ახოვნად დაუთმეს, და აწ გვირგვინოსანნი იხარებენ წინაშე სიძისა მის უკვდავისა.

**წ~ისა ნინოს თვის:**

და წმიდისა ნინო მოციქულისათა, რომელმან ჰსწავლითა თვისითა მიჰფინა ყოველთა ზედა ერთა ქართლისათა მზე იგი სიმართლისა და განანათლნა წარმართნი დაბნელებულნი, კერპთ მსახურებისა საცთურითა, და უფროსღა.

**კათოლიკე ეკკლესიისათვის:**

რჩდილოეთისა შორის უაღმატებულესისა და უზენაესისა, კათოლიკე სამოციქულოსა ეკკლესიისა, დედა ქალაქისა მცხეთისათა, რომელი უდიდებულეს იქმნა ადამისითგან ვიდრე მოაქამომდე, ყოველთა ყოფილთა მყოფთა და ყოფადთა საყდართა და ეკკლესიათა, რომელი იგი არს დიდება და სიმტკიცე სიქადული საფარველი და გვირგვინი, მორწმუნეთა, იდიდების ანგელოსთაგან, შეიმკობის მოციქულთაგან, იკურთხევის მღვდელთ-მოძღვრისაგან, თაყვანის იცემების მორწმუნეთაგან, და საშუალ უპყრიეს და გარე შეიცავს მარადის მადინებელი ცხოვრებისა ნაკადულსა.

**სვეტისა წ~ისათვის და კვართისა, საუფლოსა:**

ეჰა სვეტო ღვთივ აღმართებულო, ღვთივ დიდებულო და ღვთივ ბრწყინვალეო, სიმტკიცეო და სიქადულო ქართველთა ნათესავისაო, და მეფეთა ღვთის-მსახურთაო, რომელი აღყვანებულ იქმენ ზეცად ანგელოსთა მიერ, და კვალად გამოგვიჩნდი ჩვენ მსხდომარეთა ბნელსა შინა და ემყარე შორის ცისა და ქვეყნისა, და იწყე დენად მირონსა მას ღმერთ მყოფელსა, რომლისა მიერ დაეცნეს და შეიმუსრნეს და განქარდეს ყოველნი საძაგელნი და ბილწნი კერპნი და მოოხრდეს ყოველნი შენებულნი მათნი და დაიქცეს და იავარ იქმნეს ყოველნი ბომონნი და

და ბაგინი საზორველნი და სამსახურებელნი მათნი
და აღეშენეს მათ წილ სახლნი ღვთისანი, ტაძარნი
სამეუფონი, რომელსა შინა მკვიდრ არს კვართი საუ-
ფლო, ზეგარდამო ქსოვილი, რომელი იქსოვა ხელ-
თაგან ყოვლად კურთხეულისა მის ქალწულისათა,
და შეშოსითა მეუფისათა, რომელი კურთხეულარს
თანა დაუსაბამოდ მამით და ყოვლად წმიდით და
ცხოველს-მყოფელით სულით წმიდითურთ უკუნითი
უკუნისამდე.

ათორმეტთა მამათათვის:

შეწევნითა და მეოხებითა წმიდათა მამათა ჩვენ-
თა ქართველთა მეორედ განმანათლებელთა. იოანე
ზედაძნელისა, შიომღვიმელისა, დავით გარეჯელისა,
ანტონი მარტომყოფელისა, ისე წილკნელისა, აბი-
ბოს ნეკრესელისა, ამბა იოსებ ალავერდელისა, ზე-
ნონ იყალთოელისა, სტეფანე ხირსელისა, ისიდორე
სამთავნელისა, თათე მამებელისა, მიქაელ ულუმბე-
ლისა, პიროს ბრეთელისა და ილია დიაკონისათა.

მთარგმნელთა და ღირსთა მამათათვის:

მოძღვართა და თარგმანთა წმიდათა მამათა ჩვენ-
თა, გიორგი, ევთიმი, იოანე და ილარიონისათა, და
ერთობით ყოველთა ღირსთა და მართალთა, რომელ-
ნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს უფალსა ჩვენსა იესო
ქრისტესა და კვალადცა სათნოყოფად არიან, ამა-
თითა მადლითა მეოხებითა და შუამდგომელობითა.

ქვაბთახევის მონასტრისათვის ყ´ დ წ´სა.

ესე შეწირულობისა და მკვიდრობისა წიგნი და
ნიშანი სიგელგუჯარი განგიახლეთ და მოგახსენეთ
შენ ცათა უმაღლესსა, და სერაბინთა უაღმატებუ-
ლესსა, ხერაბინთა უპატიოსნესსა და ანგელოსთა
უზესთაესსა, ყოველთა დაბადებულთა უმეტესსა, და
ყოველთაგან ნათესავთა სანატრელსა, დედოფალსა
ცათა და ქვეყანისასა, დედასა ნათლისასა, მამათ
მთავართაგან მოსწავებულისა, წინასწარმეტყველ-
თაგან ქადაგებულსა, მოციქულთაგან თაყვანის ცე-

მულსა, მღვდელთ მოძღვართაგან ქებულსა, მოწამეთაგან აღსარებულსა ქალწულთა სიქადულსა, დედათა დიდებასა და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელსა ადამის აღდგომასა, ევას აღმართებასა, წყევისა მის პირველისა დამხსნელსა, დახშულისა ედემის განმღებელსა, ჯოჯოხეთისა შემმუსრველსა, ყოველთა მართალთა გამოხსნისა მიზეზსა, სასუფეველისა ბჭეთა განმხმელსა, ყოვლად უბიწოსა და ყოვლად წმინდასა, ვლაქერნისა ღვთისმშობელსა ქვათა ხევისასა, და ღვთივ აღშენებულსა, ყოვლად დიდებულსა წმიდასა და დიდსა უდაბნოსა, და საუკუნოდ კურთხევით ხსენებულთა მეფეთა ბაგრატოვანთა ჩვენთა ნათესავთა ხელმწიფეთა, და ჩვენსა სასაფლაოსა და სამარხოსა ცათა მობაძავსა ტაძარსა და მონასტერსა თქვენსა ქვათახევს.

**სახელი შემწირველისა:**

ჩვენ ღვთივ-ამაღლებულმან და ღვთივ-დამყარებულმან, ღვთივ-გვირგვინოსანმან, იესეს ძირმან, დავითის წერგმან სოლომონის რტომან ბაგრატოვანმან, დიდის და მორწმუნის სულ კურთხეულის მეფეთ მეფეის თეიმურაზის ძის ძემან წყალობითა ღვთისათა ქართველთა და კახთა ხელწიფემან მეფეთ მეფემან პატრონმან ერეკლე, და თანა მემცხრედჩემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან ანნა პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან დავით, პატრონმან კოსტანტინე, პატრონმან თეიმურაზ.

**მიზეზი შემწირველობისა.**

ესრეთ და ამა პირსა ზედა, რომე მოვიდენ წინაშე ჩვენსა წმიდისა მონასტრისა თქვენისა წინამძღვარი ეფთიმი და კრებულნი და ყმანი მონასტრისა თქვენისანი, და ძველთა მეფეთა და ხელმწიფეთა სიგელგუჯრისა განახლებასა გვეაჯნეს, და ჩვენ ვისმინეთ აჯაჲ და მოხსენებაჲ მათი, და ღმერთმან გულ მოდგინე გვყო, და ვიხილეთ სი-

გელგუჯარნი თქვენისა მონასტრისა აღმაშენებელთა საუკუნოდ კურთხევით ხსენებულთა მეფეთა და კვალად მეფისა ალექსანდრესი, მეფისა სვიმეონისი და შემდგომითი შემდგომად, ვიდრე ჩვენადმდე ყოველთა მეფეთა და დედოფალთაგან დამტკიცებულ განახლებული დიდითა კრძალულებითა და გულს მოდგინებითა შემოწირულნი მამულნი და შემოსავალნი, და წმიდათა კათოლიკოსთა, და მღვდელთ მოძღვართა და მამამათაგან კანონითა დამტკიცებულნი და წამება წარწერილი, ჩვენც დაგვიმტკიცეთ და განგვიახლეთ სიგელი ესე ამა სახითა რომე ძველთა და პირველთა გუჯართა თქვენთა შინა მრავალნი სოფელნი და აგარაკნი და შემოსავალნი და ალაპნი და ბეგარანი გიწერიან, და რომელნიმე მათგანნი ჟამთა ვითარებისაგან მოშლილ-არიან, ხოლო რომელნი დღეს მოუშლელად გქონან, და ხელთა შინა თქვენთა არიან, და რა რომე შემოგწირვიან და მოგახსენებიან მით ჟამითგან მოუშლელად გქონან და თქვენნი არიან და არცავინ მოცილე არიან, ესენი განგვიახლებიან და დაგვიმტკიცებიენ და მოგვიხსენებიან თანა დგომითა და კითხვითა დიდისა მამათ მთავრისა ჩვენის ბიძაშვილისა წმიდისა კათოლიკოზისა ევდემოზისათა, და ყოველთა ეპისკოპოსთა და მამათათა, და კარის განმგეთა და სრულიად ქართლის ერის თავთათა, და თავადთა და დარბაზის ერთათა, განგვიახლებიან და დაგვიმტკიცებიან და მოგვიხსენებიან.

**შეწირულობა ადგილებისა ქვაბთახევს.**

პირველად ღვთისაგან გამორჩეული და წმიდათა ანგელოსთა სამკვიდრებელი თვით წმიდა ეგე უდაბნო, დიდი და სანატრელი, სადა ყოვლად პატიოსანი მონასტერი თქვენი ღვთისა მიერ შენ არს, ადგილნი გარეშემონი მისნი. კავთა საყდარი წმიდისა გიორგისა მისისა შეწირულობითა და შესავლითა

ციხითა და სიმაგრითა, მთითა და წყლითა და ნასოფლარებითა, ნასოფლარი ორი, საკურთხისი გოდისი, და რაც დიდ გორის წყალი მონასტრისაკენ წამოვა, ნასოფლარი ცხვირგრძელი და ბოტისი, არევა ვაშლოვანი, პარეტისი, ორბეთი მის დატანებით ჭალა და ხევი, ქვემო მაღალაშვილის სამძღვრამდინ, გაბრიელის სადგომზე საძოვარი, კავთის ხევის წყალი ყორულად დაკრძალულად, რომ მონასტრის მეტს ხელი არავის ჰქონდეს და ვერვინ ინადიროს, ვერცა უსაგლონ, ვინათგან მონასტრისა აღმაშენებელთაგან მუნ მყოფთათვის ნუგეშინის საცემელად მიცემულ არს, ჩვენცა ეგრე დაგვიმტკიცებია.

კავთისხევის ზვარი და ხოდაბუნები, და რაც კავთისხევის მინდორში მონასტრის საღალოები არის თავის სამართლიანის ღალით. დეკანოზი მორჩილაძე, მღვდელ-მონაზონი დანიელ ძმა მისი მღვდელი იესე, შვილნი მისნი მისი განაყოფი, ნონიკაშვილები, კიდევ მისი განაყოფი, ბასილისშვილები მათითა მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, მოსესშვილნი, წმიდის გიორგის კავთის დეკანოზნი საბიაშვილი საბა, და ზაგრადასშვილი შიო მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ბარდაძე კანდელაკის მამულზედ მსახლობელი, აღაპიშვილი, ქანანაშვილის მამული, კავთიაშვილი, მაზიტა და შვილნი მისნი, მისი განაყოფი ბეჟია და ძმანი მისნი, კიდევ მისი განაყოფი, გულიას შვილნი კიდევ მისი განაყოფი გოგიას შვილნი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, მიქუტაშვილი ზაალა და ძმანი მისნი, მისი განაყოფი პაპუნა, კიდევ მისი განაყოფი თამაზა მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ფილიპეს შვილნი ბერია და ძმანი მისნი, იორდანე გიორგა, ქიტია გიორგი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, გოგილაშვილი ზაქარია, ანდრიაშვილი იმედა და

კავთის ხევის შეწირულობა.

შეწირულობა ყმათა მამულითა

შვილნი მისნი მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, და ბასილა ყლარტიას საკომლო, იოსებას შვილნი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ოქროას შვილნი ორი განაყოფი პაპა და მისი ძმა და ძმისწულნი, სვიმონა და მისნი ძმანი, მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა. ჩიტიაშვილნი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ხუცის შვილი ზაქარია და მახარა მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ქვახარშიაშვილნი ორი განაყოფნი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ნონიკაშვილის მამულზე მსახლობელი ორი გლეხი მათის მამულითა ნასყიდითა, ეზატს ელიაძის მამულზედ ჩაჩუნაშვილნი, შოშიტაშვილები, და ელისბარი და ძაბილა ნონია და მათი განაყოფი, დათუნა და შვილნი და შემავალნი მათნი მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, აღაპიშვილნი შიო და ძმა მისი მჭელი პაპუნა და შვილნი მისნი, და ხარატი თამაზა მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, ჟიჟილაშვილნი, შოშიას შვილნი და პაპუნა და ამოწყვეტილის ნიკოლას მამულზე მსახლობელი გლეხი, მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა.

ლავრის მესამედი ჩვენ ბატონიშვილი ალექსანდრე აგრეთვე ვამტკიცებ (ბეჰედია) (1750.).

ლავრის მესამედი ეკკლესია, გლეხი, საკომლო, მთაბარი, მიწა წყალი, წისქვილი, სახნავი, ნიგვზნარი, ვენახი, ველი, სახმარი და უხმარი, გომის ჯვარს კოტეტისშვილნი მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, თელათ გორს დაბრუნდაშვილნი, გოგილაშვილნი, ჩაჩუნაშვილნი, მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა, იქავ თელათ გორს ზვარი მონასტრისა, თავის სარწყავის წყლით. ქვემო ხანდაკს უგემურაძისაგან ნასყიდი საკომლო, მისის ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, სარწყავითა და ურწყავითა მისის სასაფლაოთი და მართებულის

მძღვრითა, იქავ ხოდაბუნი ვარცლა თავის სარწყავის შავწყალათი, იქავ ხანდაკს ნასყიდი საფიჩხულე, კლდის ცხვირი რომ ჩასდგამს კავთის წყლის შესართავთან, იქიდამ ქვემო კლდემდინ.

ქსოვრისის სოფელი შეწირული.

სოფელი ქსოვრისი ეკკლესიითა, გლეხითა ველითა, ვენახითა წყლითა წისქვილითა ზვრითა და ხოდაბუნითა სარწყავითა ურწყავითა, მთითა ბარითა, ჭალითა, საწყლის პიროთა, საკონითა, საფიჩხულითა საოჩხითა, ქვემო ხანდაკს სამძღვრამდინ, ზემოთ გომის სამძღვრამდინ, ზედაფ კავთის ხევის მინდვრამდინ, ურწყავი საღალოდ, და მლაშე თავის სამლაშაფ რომე ქსორულს მიწაში გამოდის. მონასტრის მლაშე უნდა იდგეს და სამართლიანი სამლაშო მონასტერს უნდა მიერთმეოდეს, ხოლო გლეხნი ხარაზისშვილნი, ნასყიდასშვილნი, პაპუნა ბერუა, სოლაღა ყოფილი, საბა, ზურაბა, დავითა, ხოზია, და მათნი ძმანი, და შვილნი, ბერიკა და მისნი ძმანი და შვილნი, ადუას მამულზე, მაზმნის მამულზე მსახლობელი გლეხი, ზურაბას შვილები და მისი განა ყოფი, ფათიკაშვილები, ბიჭიკაშვილები, აქელაშვილები, ხოლუაშვილები, და სხვა რაც ქსორისს ბოგანოები არიან ჩვემგან თარხნად, და თავისუფლად, ხელშეუალად, ყოვლის კაცის უცილობელად მოუდევარად და მოსარჩლელად, და ყოვლისა ჩვენის მოსაქმის შეუალად.

იდლეთი, სოფელი შეწირული.

სოფელი იდლეთი*) ეკკლესიითა გლეხითა ველითა ვენახითა წყლითა წისქვილითა, ზვრითა, ხოდაბუნითა, სარწყავითა, ურწყავითა, მთითა ბარითა ჭალითა მისის სამართლიანის მზღვრითა, სახმარ უხმარითა, საძებ-

*) იდლეთი არის კავთისხევის ნაწილი, სადაც გაუქმებული სდგას იოანნე ნათლის მცემლის ეკკლესია. გუმბათიანია და არის ნაშენი შირიმის ქვით. მ. მ. ტ.

ქ: აგრეთვე სოფელი სველნეთი სრულობითა, რაც ან თევენი ორი წილი სახასო არის, და რაც თქვენს აზნაურიშვილთ შატბერაშვილებს უჭირავსთ ყოველივე თარხად, და ყოვლის მოსაქმისაგან ხელ-შეუალად დაგვიმტკიცებია. (ბეჭედი).

რითა და უძებრითა: ხოლო გლეხნი, შალიაშვილი გოგია და ევანეთა ქიტაშვილები, ჭოჭოლაშვილები, ატიაშვილი მისი განაყოფი რევაზა და პაპუნა, ზარასპაშვილი, მახარობლის შვილები, ქოთიაშვილები ზურაბა და მისი ძმანი ასატურა, ღარიბაშვილები ტვინიაშვილები, ბერუაშვილები, ბასიაშვილები, ამირჯანაშვილები, შალუაშვილები ამოწყვეტილის მიქუას და საქუას საკომლოზედ მსახლობელი გლეხი დალაქიშვილი მამულაშვილი, მურაშვილის საკვამლო, და სხვა რაც იდლეთს ბოგანონი არიან, დათუაშვილები, მაჭარაძე, მგელიეშვილი შიო, ჩვენგან ყოველნივე ესე გლეხნი, თარხნად და თავისუფლად, ყოვლის ჩვენის მოსაქმის შეუალად, უცილებელად და მოუსარჩლელად.

სოფელს კრკონს შეწირულობა. ჩვენ ღვთივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანი ქართლის დ> ყაზახ ბორჩალოს ფლობით პყრობელ

კრკონს სთველიაშვილები, თავიანთის მამულითა, და ნასყიდობითა, ვითა მათსა სიგელსა შინა სწერია მათის სამართლიანის საკვამლოთი, სასაფლაოთა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა, ბარითა, და მისის სამართლიანის სამძღვრითა, იქივ ნასოფლარი სამეჭელო და სალომე თავის გასადევრით, ეკკლესიითა, მთითა, წყლითა, წისქვილითა სახნავითა, სათიბითა, საძებრითა და უძებრითა, სამთოთა მის სამართლიანის სამძღვრითა, სამჭელოს წყალი ყორულად დაკრძალულად, რომ, ვერამ კაცმან მონასტრის წინამძღვრის მეტმან, ვერავინ ინადიროს

ვერც უნაჭონ და უსაგლონ, და ვინც მათდა უნებურად უნადიროს თვით წმიდა ღვთის მშობელი შერისხდეს და ჩვენად შეცოდებად ჩვენ მოვიკითხამთ. ხოლო გლეხნი ყოვლის საჩვენო საქმისაგან თარხნად და თავისუფლად და ყოვლის კაცისაგან ხელ-შეუალად, მოუდევარად, და უკილობელად და არცა ვის ხელი აქვს არცავისაგან ეთხოებოდესთრა.

მქონებელი პატრონი თეიმურაზ, ამ ბატონის მამის ჩვენისაგან შეწირულობას და სითარხნეს ამავ რიგათ ვამტკიცებთ. ქ-ულზ, (ბეჭედი.)

ქართლს სოფელი სველნეთი, ვითა პირველად საუკუნოდ კურთხევით მოხსენებულსა დიდსა მეფესა გიორგის შემოუწირავს და სიგელი მისი გაქვს, კვალად მეფეს ალექსანდრეს და მეფეს სვიმონს და შემდგომითი შემდგომად ვიდრე ჩვენადმდე, ყოველთა მეფეთა დაუმტკიცებიესთ, და მოუხსენებიან, ეგრეთვე და ჩვენცა დაგვიმტკიცებიან და მოგვიხსენებიან, ქართლს სოფელი სველნეთი, სრულობით, სახასოდ ეკკლესიითა, გლეხითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ტყითა, სათიბითა, მთითა, ბარითა, სანადიროთა შესავლითა, და გამოსავლითა საძებრითა, უძებრითა, სახმარითა, უხმარითა ყოვლის მისის სამართლიანის მძღვრითა, ვითა გუჯართა შინა თქვენთა სწერია თარხნად ხელშეუალად და თავისუფლად, ყოველის ჩვენის მოსაქმისაგან შეუალად, ვითა მეფესა სვიმონს შემოუწირავს მითვე წესითა, და რაც ბურნაშას კერძი მირიანას კერძი და ვახტანგის კერძი, და რაც სხვათა, შატბერაანთ კერძი იყოს ყველა უკლებლად, ხელ-შეუალად, ჩვენგან თარხნად თქვენ-

სოფელი სველნეთი სრულიად შეწირული.

თვის სახასოდ შემოგვიწერავს, პირველადცა სახასოდ ყოფილიყო შემოწერული, და ჩვენც აგრეთვე მოგვიხსენებია.

გორს შეწერულება.

გორს ვაჭარი გოგიჯანაშვილი თავისი მამულითა ნასყიდითა, და უსყიდითა, ვითა პირველად შემოგწერვია და გუჯართა შინა თქვენთა სწერია, უნდა წლითი წლად მოგართმევდეს მონასტერსა ოთხსა ლიტრასა სანთელსა, ნახევარ ლიტრასა საკმელსა, და სხვებრ ჩვენგანცა და მონასტრისაგან თარხანი და განთავისუფლებული იყოს, ოდენ ყმა და მორჩილნი თქვენის მონასტრისა იყოს. იქავ გორს ვაჭარი მამნიაშვილები, და მამულაშვილები, ამირა თავისის მამულითა, სახლკარითა, ქულბაქითა ნასყიდითა და უსყიდითა, ვითა გუჯართა შინა თქვენთა სწერია, და სულით კურთხეულს დედოფალს მარიამს შემოუწერავს, რომ უნდა მოგართმევდენ ორს ლიტრა სანთელსა, ნახევლიტრა საკმელსა ორს ბანბის შუოლსა, და სხვებრ თარხნად და თავისუფლად და არა ერთმეოდესთრა, არა საჩვენო, არა სამოურაო, და სამოხელიო, და საბაჟო, რაც ჰქონდეს ბაჟს თქვენ მოგართმევდენ.

ტფილის ქალაქს შეწერულობა.

ტფილისს ქალაქს, რაც თქვენი ყმანი არიან, რომე გლეხნი თქვენისვე სოფლიდან ჩამოსულნი არიან, ადგილნი და სახლკარნი მონასტრისაგან ნასყიდნი მისცემიან იდლელი კუჭუაშვილები, შავერდაშვილი, მისი ძმა თამაზა, ბეჟუა, ბაღდასარა, გასპარა, ოსეფა, ხარაზი არუთინა, მეჭურჭლის არუთინას შვილები, თელათგორელი ჩაჩუნაშვილი ბერუა, ქსორელი გოჩიაშვილი ბერუა, იდლელი ყარახანაშვილი ესტატე, და მეურმე ბეჟუა, ამისი შვილი გიუა ზურაბა, და დავითა და იესე, ესენი ჩვენგან ყოველითურთ თარხნად, რომე არა საჩვე-

ნო სათხოვარი არა ეთხოებოდეს რა არა ძალი არა ხარჯი, არა ულაყი არა ტიკი, და ტომარა, არა სამოურაო, არა საყასპო, არა სატყვეო და არაფერი საჩვენო, არა დიდი არა მცირე არა ეთხოებოდესრა, ვითაც სხვა სიგელიც გაქვსთ მათის სითარხნისა ჩვენგანცა და ჩვენცა პირველთა მეფეთაგანცა, და თითო კომლი კაცი დიდმარხვაში თითო ლიტრასა სანთელსა და ჩარექსა საკმეველსა მოგართმევდენ, და ბაჟი თურაბ საბაჟო ჰქონდეს თქვენ მოგართმიდენ და ჩვენს მებაჟეს მათ თანა ხელი არა ჰქონდეს.

ხოლო მამულნი და ყოველნი ყმანი თქვენნი სადაც ესახლნეს, სოფელნი თქვენნი ყოვლითურთ პირველადცა თარხანნი და თავისუფალნი ყოფილ იყვნეს და არიან და ხელმწიფისთ სიგელიც გაქვსთ, ჩვენცა ეგრეთვე მოგვიხსენებია და დაგვიმტკიცებია, და არაფერი საჩვენო სათხოვარი, არა ეთხოებოდესრა, არა საუარი, არა ღალა, არა კოდის პური, არა საბალახე არა პირის თავი, არა ნახირის თავი, არა მუშაობა, არა სეფეობა, არა მკა, და ლეწვა, არა ხვნა, არა ზვარის მუშაობა, არა ულაყი, არა სამეჯინიბო, არა საბაზიერო, არა სამეკობროს მძებნელო, არა ურემი, არა ხის ზიდვა, არა სასუქი, არა სამასპინძლო, და ვერც ვინ სხვამ მონასტრის მეტმა თქვენს ყმაში ოჩხარი რისამე ქნას. ესრეთ ყოვლითურთ თარხნად და თავისუფლად, რომე მოსისხლეცა და ორგულიცა ჩვენი შემოიხვეწოს თქვენს მამულშიგა, ხელ მიყოფით არცა იგი გამოიყვანებოდეს და არას ჩვენს მოსაქმესა და იასაულსა, ირცა ბაზიერსა და შავარდენის მძებნელსა. არცა ხევის თავსა, არც მეჯინიბესა თქვენს მამულში, ხელი არა ჰქონდეს, და ვერცარაზედ თქვენი ყმა შეაწუხონ და გასაჯონ და რომელსაც სოფელში თქვენი ყმა ესახლოს, ანუ კავთისხევს, თელეთგორს, გომისჯვარს ან ხანდაკს,

სითარხნე ყოველთა ყმათა მონასტრისათა. ქ: ჩვენ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე მეფე საქართველოსივამტკიცებთ გუჯარსა ამას. ნოემბრის ლ ქ'კს უნბ. (ბეჭედი.)

ან კრკონსა, ან სადაც. იმ სოფელში რაც ჩვენი ბრძანება და სამსახური მივიდეს, ჩვენი მოსაქმე თქვენს ყმას ნუ გაურევს, იმათში, ნურცარა ხელი აქვსთ, მის სოფლის მეპატრონეს თქვენს ყმასთან. ნურც გარჯის ნურც რას ასაქმებს, რადგან ჩვენგან ასე თავისუფალნი არიან სხვისა რა ედების, ოდენ რაც სამსახური მონასტრისა აძესთ მონასტერს მსახურებდნენ, რაც გამოსაღები იყოს საბალახე კოდის პური კულუხი, ან რაც გლეხის სამსახური და გამოსაღებია, ყოველი მონასტერს მიერთმეოდეს და მოეხმარებოდეს. რაც მონასტერზედ რა სამუშაო იყოს, ანუ ზვრებსა და ხოდაბუნებში, სამუშაოზედ ნურც თარხანი, ნურც მსახური, ნუ დააკლდების, და რომელიც პირველს გუჯრებში არ იყოს და პირველითგანვე არ განწესებულიყოს, მის მეტი ნურც ხელმწიფეთაგან, და ნურც წინამძღვრების მიცემულის წიგნითა ნურავინ გათარხნდების, და არცვინ საბალახის თარხანია. ყოველმა თავისმა ყმამ თარხანმა მსახურმა, და მოყალნემ საბალახე ყველამ უნდა მიართვას, ამისთვის რომ სახელმწიფო გამოსაღებია, და მათვე საუკუნოდ კურთხევით ხსენებულთ მეფეთაგან შეწირულია, თუ ვისმე ამისი სითარხნის წიგნი ჰქონდეს, ანუ დღეს წაღმა ვისმე მიეცეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია, მკვიდრობით ნურა მისი ყმა ნუ გათარხნდების, რომელსაც მონასტრისა და წინამძღვრის სამსახური შეეძლოს, მსახურად მას იახლებდეს, და სანამდის მსახური ახლდეს, კულუხი და კოდის პური არ ეთხოვებოდეს, საბალახეს კი მიართმევდეს. და ნურც ზვრის მუშაობას და ხვნას ხოდაბუნში დააკლდებიან. და სოფლების მოურაობა და მოხელეობა, ან დიდი ან მცირე სამკვიდროდ ნურავის მიეცემის. რომელსაც მონასტრის სამსახური და მამულის მოვლა შეეძლოს, მას მიეცემოდეს,

რომელიც სულიერი და საღმრთოს რიგი არ იყოს ერისკაცული ამპარტავნებით მოხელე ნურც მონასტერს და ნურც სოფელში ნუ დაიდგინების, რომელიც მონასტერში ბერი ანუ მღვდელი ანუ მონაზონნი იყვნენ, წინამძღვარმა მამა შვილურად სიყვარულით ასწაოს და წესითა მონასტრისათა უძღოდეს, და რომელნიც მუნ მყოფ იყვნეს, იგინიცა შიშითა ღვთისათა და მორჩილებითა წინამძღვრისათა და კრძალულებითა, და ურთიერთარს სიყვარულითა იქცეოდენ კეთილად წარმართებითა სათნოებითა, და რაც საწირავი ანუ საორმოცე ბართისაგან მოვიდეს მონასტერში ყოველივე წინამძღვარს მიერთმეოდეს და წინამძღვარი ესრეთ განუყოფდეს, მცირედსა ნამეტნავსა დეკანოზს მისცემდეს, და რაც მღვდელ მონაზონი ანუ მღვდელი და მწირველი დიაკონი იყოს, წილი მღვდლებს სწორედ მიეცემოდეს, და დიაკონს ნაკლები. ესრეთ გაგვირიგებია, და რა გვარადაც მონასტრის წესი ანუ მამათაგან განწესებული იყოს, ან წმიდა კრება და რჯულის კანონი ბრძანებდეს მონასტერი იმ გვარად იყოს გარიგებული, წინამძღვარიც იმ გვარად უძღოდეს და მისი კრებულნიც ისრე მორჩილებდენ, ლოცვისა და მარხვისა და ღამის თევისა რიგი და პანაშვიდისა, რაგვარადცა ტიბიკონი ბრძანებს, იმ გვარად იქმნებოდეს ვინათგან სხვათ მონასტერთ გუჯარიც ამ მონასტრისას იმოწმებს, რომე ღამის თევა და პანაშვიდი, რაგვარადაც დიდს მონასტერში ქოთახევს არის ჩვენც ისე გაგვირიგებიაო, და თუ სხვანი ამას იმოწმებენ აქ უფრო ჯერ არს და სამართალ. და ვისიცა შემოწირულობა ბეგარნი და ალაპნი ძველი ანუ ახალნი იყვნეს, ყოველნივე მოსახსენებელში წირვა ლოცვაზე და პანაშვიდზე დაუკლებელად მოიხსენებოდენ, და ვისიც ალაპი მოვიდეს წინა საღამოს პანაშვიდს უხდიდენ.

სოფლის მოხელობა სამკვიდროდ არ მიეცემა.

ქ: ჩვენ ყოვლისა საქართველოს მაკურთხეველი მაღალთა მეფეთა შარავანდედი კათოლიკოს პატრიარხი მეფის ძე ანტონი, მის სიმაღლის მამა-პაპათა ჩვენთა მეფეთაგან გარიგებულსა და დამტკიცებულსა შეწირულობის გუჯარსა ამას ჩვენცა ასევე ვემოწმებით, და ვამტკიცებთ ნებითა ღვთისათა. ქ"ესაქეთ, ჩღდ, ქართულ ქკ"ს უნგ. (ხელი ჩაურთავს)

ქ: ჩ^ნ საქართველოს უფლის წულიძე მეფის ირაკლისა ბატონიშვილი გიორგი ამ პაპა მამათა ჩვენთა-განბრძანებულსა გუჯარსა ასრევე ვამტკიცებთ ივნისის კბ ქრისტეს აქეთ ჩღეე. (ბეჰედი.)

მეორე დღეს წირვაზე მოიხსენებოდენ, და ყოველნივე შენდობას ეტყოდენ, და ალაპიც, ბეგარნიც და ყოველივე მონასტრის შემოსავალი როგორადცა მონასტრის რიგი მამათაგან განწესებულ არს, მათცა, ეგრეთ ზიარად იხმარონ, და ყოველივე მონასტრის სახმარად, და სამსახურებელად წარეგებოდეს, და არცავის სამსოფლიოთა და თვისთა და ნათესავთა მისაცემელად, არა ხელეწიფებოდეს, და არცა წმიდის კათოლიკოზის და ეპისკოპოსთა წინამძღვრისა მიცვალებასა ანუ კურთხევასა ზედა მონასტერს არა ეთხოებოდესრა, არამედ ყოვლითურთ თავისუფალი იყოს, და არცავის ჭრთამითა და კაცობრივის ძალითა მიეცემოდეს ამ წმიდის მონასტრის მამობა და წინამძღვრობა, არამედ კრებითა და საღთო საქმითა დაიდგინებოდეს და გარიგდებოდეს ყოვლად დიდებულისა ამის მონასტრისა წინამძღვარი ეს ასე გაგვიწესებია და არცა ვისგან მოიშალოს.

ბეგრისა დაალაპის განწესება.

ხოლო ბეგარნი და ალაპნი რომელნიმე ჟამთა ვითარებისაგან და სიგელთა დაძველებისაგან მოშლილ და დავიწყებულ არიან და რომელსაც კაცს სადაურსაც მონასტრის საბეგრო და საალაპო მამული გაეყიდოს მონასტრის ბეგარნი და ალაპი იმ მამულის მქონებელმა უნდა ჰქმნას, თუ არა და თავისი საალაპო და საბეგრო მონასტერს დაუდვას, და ძველთა გუჯართა შინაცა ასე სწერია და ასე გარიგებულია.

დებულებიან ალაპი.

ჰსძეს ალაპი, წინა საღამოს პანაშვიდითა ფილიპესშვილთ ნოემბერს ოცს დილარგეთის შვილს დავითისა და შვილთა მისთა, ლომისა, გაშპარისა და გოდერძისა, ლუაქისა შაითალმანისა, ვითა მათსა სიგელსა შინა სწერია: სძეს თელათუბნელს ჯავახებს ალაპი წინალამ პანაშვიდით კონსტანტინე მეფის ძის

ბაგრატისა დეკემბერს ათერთმეტს კაკაშვილის მამულისა, ვითა მათსა სიგელში სწერია. დეკემბერს ოთცამეტსა უნდა უყოს მონასტერმა აღაპი პანაშვიდიანათ ნინო დედაბერსა, რომე ქერციკეულის ღვთისავარისაგან ნასყიდი ვენახი ტყლაპურა შემოუწირავს. შეშაბერიანში გვრიტაშვილის მამული. სძეს ანდრიაშვილს გელიტას ავგაროზს მართა მონოზანის აღაპი ნოემბერს რვას პანაშვიდით, სამოცი პური ოცი ლიტრა ღვინო მონასტერს უნდა მოიტანოს.

ჰსძეს აღაპი პანაშვიდით გვრიტიაშვილს მახარებელს და ბასილას ელენეს დედოფლის გამდლისა ეკატერინესი, არის ამის ნასყიდი მამულები კავთის ხევს შეშაბერიძეს გამოღმა, გეჯაძისა და სმენაშვილისა სამძღვრამდი, და წყლის პირამდი, ხარითა საჯალჯითა, ყოვლითურთ მოუკლებრად, გვრიტიაშვილის ზედათ ნახნავი მიწა კანდელაკისაგან მოსყიდული, ესენი ამ ეკატერინეს უყიდია და მონასტრისათვის შეუწირავს ვითა მათ სიგელში სწერია:.

ჰსძეს აღაპი პანაშვიდითა ნოემბერს კე, ანდრიაშვილს გრიგორს გულშარ დედოფლისა მათს გუჯარში ას სწერია.

დეკემბერს ათორმეტსა. სძესთ სიმინაშვილებს დიდი აღაპი პანაშვიდიანათ ყვარყვარე ათაბაგის მეუღლე ყოფილს ნესტანჯარს დაუდებია თავის მამის გიორგი ყოფილის გერმანესათვის, ვითა მათ სიგელში სწერია.

დეკემბერს კ მონასტერმა უნდა გადაუხადოს ყიფიანს ნანიტას და შვილთა მისთა მახარებელს და იეგულის, რომე ნასყიდი ვენახი შემოუწირავს, ქარქვეტულის შვილის ვენახსა ზედა მოკიდებით ქურციკასი და იას კერძი, ვითა მათს სიგელში ასე სწერია.

ქ. ჩ´ნ საქართველოს უფლის წული ძე მეფის ირაკლისა, მეფის ძე ლეონ ამ მამა პაპათა ჩვენთაგან ბრძანებულს გუჯარსა ესევე ვამტკიცებ. ივნისის ლ. ქ´ეს აქეთ ჩღდე. ქართულ ქ´კს უნგ. (ბეჭედი.)

ქ. ჩ´ნ ბატონის შვილისა-ქართველოს უფლის წული ვახტანგ საბატონოთა პაპათა ჩვენთაგან ბრძანებულსა გუჯარსა ასევე ვამტკიცებთ სეკტემბ-

რას 38 ჭ'ს უო. ქალაქსა გორსა (ბეჭედი.)

არის მონასტრისაგან ალაპი უგემურასშვილისა იოანესი ვენახი შემოუწირავს შარასა ვაშლთა და სამანს ქვეშეთ ვითა მათს სიგელში სწერია.

მაისის ათხუთმეტს უნდა უყოს ალაპი მონასტერმა პანაშვიდიანათ ათაბაგ ამირ სპასალარის ყვარ ყვარეს მეუღლე ყოფილის ნესტანჯარ ყოფილის ნინოს, და ძეთა მისთა თამთანს საზვერელს, სალუ-ყაზანს, ასე რომე ამ ნინოს თავისი ძმის კოზმანის საალაპოთ ხევთა შუა ვენახი მისის სახლკარით სამ-ძღვარითა და წყლით შემოუწირავს კახაბრის შვილის შალვას და ივანესაგან ნასყიდი ათას სამას ოცი თანგა მიუცია ვითა მათს სიგელში სწერია. ეს ვენახი ორი ხევი რომ შეიყრება კავთის და გუდალეთის ხევი მათ შუა არის. და იმისმა მქონებელმა უნდა ჰქმნას ეს ალაპი.

ნოემბერს ია, უნდა გარდაიხადოს ალაპი მონასტერმა ყვავედიძის ვირშელისა, მეუღლისა მისისა ვარდისახი, ვითა მათ სიგელშიდაც სწერია.

სძეს ნანაშვილს ოხნიას ალაპი პანაშვიდით პატარაძის იოანესი, უნდა მოიტანოს ქვათახევს ხუთი კოკა ღვინო, მისი პური და სამარხო, მათ სიგელშიაც ასე სწერია.

ნოემბრის იზ, სძეს ნაცვლიშვილს სოლაღაშვილის ასპანახი ალაპი პანაშვიდით, ასე რომე ათას ორასი ფანგა მიუცეშია და ვენახი ჭალის პირისაკენ რაც სამანი გაიტანს ის მონასტრისა არის ვითარცა მათ სიგელშიაც სწერია.

სძეს მოსესშვილს საბიაშვილს ალაპი მარიამ დედოფლისა, გამდლისა ნარისა, ნათესი, ასე რომე ხორციელის შაბათს ქვათახევს მისთვის ერთს მღვდელს ჟამი აწირვინოს, ერთი ცხვარი ერთი კოკა ღვინო ერთის კოდის ნამცხვარი პური ერთი ზურგიელი მო-

ნასტერში უნდა მოიტანოს, ვითა მათ სიგელშიაც სწერია.

დეკემბრის გ დღესა, ნაომ ამბაკომ და სოფონიას ხსენების დღეს უნდა გარდაიხადოს ალაპი პანაშვიდით თამარ დედოფლის გამდლის ხალასისა მოსეს, შვილმან კავთის დეკანოზმა ლონგინოს, და ძმათა მისთა ანდრია, მოსე, ავგაროზ, ასე რომე მამული უყიდია ამ ხალასის კურციკაული ნაფუზარი სამის დღისა მისითა წყლითა წისქვილითა და ხილითა ხევამდის, მოსეშვილის სახლის ამოკიდებით, მისსავე ორს ვენახსა და სახლსა შუაზედ საბიაშვილს აქვს ეს მამული, და ალაპსაც იგი იქს.

დეკემბერს ა, სძეს ალაპი პანაშვიდთა კოტეტიშვილებს მეორეს დღეს წირვითა დედაბრის ბარბარესი ვითა მათს სიგელში სწერია.

უნდა გარდაუხადოს ალაპი მონასტერმა დიდს ხუთშაბათსა გოგილაშვილს პაპუნას დეკანოზმა ჟამი უნდა უწიროს და წინამძღვარმა საწირავი უბოძოს, ნახევარ კოკა ღვინო, და ოცი პური მუნ მყოფთ გაუყონ, და ამ პაპუნას შენდობა უთხრან, ამისთვის რომ უძეოდ ამოვარდნილა, და მისი ვენახი ზვრად ძევს თელათგორს მონასტრისათვის.

ივლისის ოცს სძესთ ქოთახეველთა დიდი ალაპი პატრონის მეფის კონსტანტინესაგან, კურთხევით ხსენებულისა მამისა მათისა, მეფის დიმიტრისთვის, დადებული წინაღამ პანაშვიდით და მეორეს დღეს წირვით და ალაპით, ასე რომ პირველადაც კურთხევით ხსენებულსა ბიძასა მათსა მეფეს გიორგის სიგელი უბოძებია ქოთახეველთათვის, ლაშქრად არაოდეს წაიყვანდეს ხელმწიფე ქოთახეველთა მათ ეს ალაპი უნდა გარდაიხადონ მეფეს კოსტანტინეს მამასა მათსა, მეფეს დიმიტრის, და ბიძაძა მათსა მეფეს გიორგის, და მის ჟამის მეფეს განმარჯვებისათვის

ბ. ჩ-ნ სრულიად საქართველოსა სანატრელის მეფის ირაკლი მეორის ძე ფარნაოზ სანატრელთა პაპათა ჩვენთაგან ბრძანე-

ბულისა გუჯარსა ასრევე ამტკიცებთ. იანვრის კ‌ბ.კ-კს უპბ. (ბეჭედი.)

ულოცვიდენ თუ ეს ლაშქრობის ამოკვეთა არ მოუშალოსთ, ამ აღაპს ნუ დააკლებენ.

დეკემბრის ოცს არის აღაპი პანაშვიდით ლუარსაბ მეფის გამდლის შეგვერდისა, ასე რომ სავენახე მიწა უყიდნია გეჯაბისაგან, ჩიტიაშვილის კარზედა ზედათ მეფის ზვრამდინ, ქვეშეთ ნანაშვილის მიწამდინ საზენაქროთ ჩიტიაშვილის ვენახამდინ, ამ მამულის მქონებელმა უნდა ჰქმნას ეს აღაპი ვითა აწ სიგელში სწერია.

ნოემბერს ათშვიდმეტს ჰსძეს მოსესშვილს ზავრადაშვილს ცხადიაშვილის მამულისა დიდი აღაპი წინალამ პანაშვიდითა დიდის ფანასკერტელის ციცშვილის ზაზას ძისა მერაბისა, ასე რომე უნდა მოიტანოს ქვათახევს ოთხასი პური. თითო პური თითო გორული ჩარექი იყოს. თორმეტი კოკა ღვინო, ოცის ლიტრიანითა, ორი ზურგიელი, მრავალი სამარხო, ერთი ლიტრა სანთელი, ნახევარ ჩარექი საკმელი, ორი ლიტრა ზეთი. გლეხი ესე სხვებრ თარხანია ვითა აწცა სიგელსა შინა სწერია.

იხილე.

ნოემბერს ათოთხმეტს ძეს პატისშვილებს დიდი აღაპი წინალამ პანაშვიდითა და მეორეს დღეს წირვითა ღალანიძის ზაალისა, ასე რომე შვიდნი სულნი პაატიანნი დატყვევებულნი, ძაღლის პირის*) ქვეყნიდამ დაუხსნია, და ნასყიდს მამულზე დაუსახლებია და ქვათახევისთვის მოაღაპეთ შეუწირავს. ეს გლეხნი თავის მამულითა, ვითა მათსა სიგელში სწერია.

პაატისშვილებისთვის.

ნოემბერს ათხუთმეტს სძეს აღაპი როსტევანის პანაშვიდიანად თელათგორელს სუხიაშვილს შიოს უფლისას ნაქონის ლაშკუაძის მამულსა და ისინი

*) ეს ძაღლის პირის ქვეყანა რომელია, არ ვიცი. მ. მ. ტ.

გარდაიხდიან ხოლმე ამ აღაპსა ვითა აწ სიგელში სწერია.

ნოემბერს ათშვიდმეტს მერაბისა არის აღაპი პანაშვიდითა.

ნოემბერს ათვრამეტს სძეს ჭალაშვილს აღაპი პანაშვიდითა. ბერისა ანტონისა ვითაც სიგელში სწერია. ქვახაშაშვილს აქს მამული და იგი იქს ხოლმე ამ აღაპს.

ნოემბერს ათცხრამეტს მორჩილაძე დეკანოზს აღაპი გაიანესი პანაშვიდითა ვითა სვინაქსარში სწერია.

ნოემბერს ოცს აძეს ჩიტაშვილს აღაპი პანაშვიდითა ვითაც სვინაქსარში სწერია.

ნოემბერს ოცდაერთს სძეს დავალიძეს დიდი აღაპი წინალამ პანაშვიდითა მეორეს დღეს წირვითა კურთხევითა საუკუნოდ ხსენებულის დედოფლის თამარისა, ასე რომე მათგან დიდი სითარხნე და მამული აქვსთ ნაბოძები დასაური ამოკვეთილი ვითა სვინაკსარში სწერია.

ნოემბრის ოცდაორს ოცდასამს და ოცდათხუნანიაშვილს აღაპი პანაშვიდითა პატრონის გულშარისა ვითა აწ სიგელში სწერია.

ნოემბერს ოცდაექვს სძესთ ჟიჟილაშვილებს აღაპი წინალამ პანაშვიდითა გაიანესი ვითა აწ სვინაკსარში სწერია.

ნოემბერს ოცდა შვიდს სძეს ქარქვეტულს კურთხეულის პატრონის ბაგრატისა. ამ ქარქვეტულის მამული დედანაშვილებს უჭირავსთ და მათ უნდა გარდაიხადონ აღაპი ვითა სვინაკსარსა შინა სწერია.

დეკემბრის ერთს აღაპი სახასოდ ბარბარესი პანაშვიდითა ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბრის სამს სძეს ბარდაძეს აღაპი მისის პანაშვიდითა ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბრის ოთხს სძეს ჯვარის კაცს ალაპი მისითა პანაშვიდითა ვისაც მისი მამული უჭირავს მან უნდა გარდაუხადოს ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბრის ე. უნდა გარდაიხადოს ალაპი მისითა პანაშვიდითა ჩაჩუნაშვილებმა, თაგვიაშვილებმა ელაძის მამულისა ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბრის ვ. სძეს ალაპი მისის პანაშვიდითა ლავრელს ხუციისშვილს, ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბერს ზ. სძეს გოგილაშვილებს თელათგორელის ალაპი მისითა პანაშვიდითა, ვითა სვინაკსარსა შინა სწერია.

დეკემბრის Ѳ. დოღლაძის ზაალის ალაპი მისითა პანაშვიდითა, ვისაც დოღლაური მამული უჭირავს მან უნდა გარდაიხადოს, ვითა სვინაკსარსა შინა სწერია.

დეკემბრის თ. ანდრიაშვილს გელუტას და მის განაყოფს გრილა გოგილას და კიდევ მისს განაყოფს ყლარტია ბასილასა ალაპი პანაშვიდითა გაიანესი ვითა სვინაკსარსა შინა სწერია.

დეკემბერს იგ. დედანაშვილს უსიბაშვილის მამულზედ სულკურთხეულის პატრონის ბაგრატის ალაპი მისითა პანაშვიდითა ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბერს ივ. სძეს მალასიძეს ნიკოლაოზს ალაპი პანაშვიდითა, განონას შვილისა, ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბრის იზ. სძეს ზაქნიაშვილს თელათგორელს, აწ მისი მამული კავთიაშვილებს აქვსთ და მათ სძესთ ალაპი პანაშვიდითა ვითა სვინაკსარში სწერია.

დეკემბერს კ. სძეს დიდი ალაპი წინალამ პანაშვიდითა, და მეორე დღეს წირვითა მამისაშვილებს ალათანგისშვილებს ლეკისშვილს ზურაბასა, კურთხეულის პატრონის თამარ დედოფლისა. ვითა სიგელ-

ში სწერია და ყოვლითურთ თარხანნი არიან და არა
რა ეთხოების არა საური და კოდის პური, და საბა-
ლახე, ვითა აწცა წიგნი აქვთ მეფეთაგან სითარხნისა,

დეკემბრის კდ. სძეს მნაძეს ალაპი პანაშვიდითა
ვითა სვინაკსარსა შინა სწერია.

ქრისტეშობის დღეს არის ალაპი სახასოდ სულ
კურთხეულის დიდის ალექსანდრესი ვითა სვინაქსარსა
შინა სწერია.

კიდევ სძევსთ ქოთახეველთა ნათლის ღების
მეორეს დღესა მეფის კოსტანტინესაგან გაჩენილი
მამისა მათისა მეფის დიმიტრისთვის, და დედის მა-
თისა გულშარისთვის, ასე რომე უდები რამე გდე-
ბოდათო, და რიგის პური ამოგიკვეთეთო, და თქვენ
ეს ალაპი ვერ დაგვაკლოთო, მათ სიგელში ასე
სწერია.

აგვისტოს ათხუთმეტს ალაპი სახასო სულკურ-
თხეულის დიდის ალექსანდრესი ვითა სვინაკსარში
სწერია.

კიდევ აგვისტოს ათხუთმეტს ყოვლად წმიდის
მიცვალებას, და ხორციელის შაბათს უნდა გარდუ-
ხადოს მონასტერმა კურთხეულს მეფეს სვიმონს და
დედოფალს ნესტან დარეჯანს და ძეთა მათთა გიორ-
გის და ლუარსაბს, და ძმათა მათთა ვახტანგ და ალე-
ქსანდრეს, ასე რომე წინამძღვარი და რაც მღდელ-
ნი და დიაკონნი იყვნენ პანაშვიდს უხდიდენ, ჟამს
უწირავდენ, და მწირნი და დედაბერნი ლოცვით
შეეწეოდენ და საუკუნოს ალაპს გარდაუხდიდენ სველ-
ნეთი რომ შემოუწირავს ვითა სიგელში სწერია.

ყველიერის ხუთშაბათს უნდა მონასტერმა გარ-
დაუხადოს ალაპი წინადღეს პანაშვიდითა, და მეო-
რეს დღეს წირვითა ზედგინიძის ქალს ასთანდარს,
ასე რომე მესამედი ხველნეთი თავის ნასყიდი მას შე-
მოუწირავს, ვითა მისს სიგელში სწერია.

ქრისტეს ამაღლების დღეს სძეს დიდი აღაპი წინაღამ პანაშვიდითა, და მეორეს დღეს წირვითა, წმიდისა ამის მონასტრისა აღმაშენებელის საუკუნოდ კურთხევით ხსენებულის ხელმწიფისა, კავთიაშვილს და მისს განაყოფებს, ვითა ძველთაგან განწესებულ არს, და სვინაკსარში სწერია.

სძეს საგინაშვილს ქრისტეფორეს აღაპი იდლელს მაჭარაძეს, რუმბიაშვილს, რომე თავისი აღშენებული წისქვილი მიუცია ვითა აწ სიგელში სწერია.

სძეს დიდი აღაპი ზემო ხანდაკს გოგიბედაშვილს ოთიას ბატატის, ბადრიას, და შვილთა მათთა მამუკას და მათს სახლის კაცთა სულ კურთხეულის დედოფლის პატრონის ხორეშანის, რომელი დამარხულ არს, ამასვე წმიდას მონასტერსა შინა და მეუღლესა მათსა მეფესა პატრონსა გიორგის; დაუძს აღაპი ესე და მათ გოგიბედაშვილთაცა, ამისთვის სიგელი აქვსთ მამულისა და თავისუფლებისა და აზნაურობისა.

სძესთ ქვლივიძეთა მამა გულისშვილთა, ხარიტონის შვილთა, თანიაშვილთა, ქერობინაშვილთა, ივანე ხუცესსა, შტატიაშვილთა და ბასილა ნაცვლიშვილთა დიდი აღაპი მისითა პანაშვიდითა, ვითა მათს სიგელში სწერია, და ბეგარი რომე სძეთ იგი სხვა არის.

სძესთ მონასელიძეთა სულ კურთხეულის პატრონის თამარ დედოფლისათა დიდი აღაპი წინაღამ პანაშვიდითა ვითა მათს სიგელში სწერია, და დიდი სითარხნე და კაი მამული ჰქონია.

და ასე ესრეთ განწესებულ არს და ჩვენც ეგრეთვე დაგვიმტკიცებია, რათა ვისიც აღაპი მოვიდოდეს, ანუ მამული და აღაპი და ბეგარი იყოს შემოწირულ ანუ სხვა რამე კეთილის ყოფა იყოს ვისგანმე მონასტრისათვის ყოველთავე სახელები მოსა-

ხსენებელში იყოს, და წირვას და პანაშვიდზედ მოიხსენებოდეს.

და რა რომ ქრისტეს შობის მარხვა დადგეს ნოემბერს ათხუთმეტს იქიდამ ქრისტეს შობამდე ყოველლამ პანაშვიდი ნუ დააკლდება, და ყოველი კეთილის მყოფელი წმიდისა ამის მონასტრისა, და ყოველნი აქა დამარხულნი სახელდებით მოიხსენებოდენ, და ანუ სხვა დღეს წლითი წლამდე, ვისიც აღაპი მოვიდოდეს, მათთვის პანაშვიდი და წირვა და მოხსენება ნუ დაეკლების. და ყოველს პარასკევს საღამოს პანაშვიდს ნუ დააკლებენ. ნურც ხსნილში და ნურც მარხვაში, და სხვა რაც მონოზნის წესი იყოს და ვითა ღმერთმან ძალი მისცეს ყოველი მონასტრის მყოფი და კრებული მას ჰყოფდენ მინდობითა ღვთისათა, და ვისცა ამა წესსა ზედა არა ენებოს, მონასტრისაგან ნუ შეიწყნარება, არამედ მშვიდობით განუტეონ. ხოლო ვისიცა სახელი ჟამთა ვითარებისაგან და სიგელთა დაძველებისაგან დავიწყებულიყოს, ანუ აღაპი და მოხსენება მოშლილ იყოს, ღმერთმან ყოველთავე სასყიდელი მიეცინ და შეუნდვენინ და მოიხსენენ, და საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი ამინ:.

განწესება პანაშვიდთა.

ხოლო ბეგარნი ესე არიან სძევს კავთისხევს შეშაბერიძეს ტკბილი ბეგარად ექვსი კოკა, სძეს ალფაშვილს ტკბილი ოთხი კოკა თორმეტი ლიტრიანი, სძეს ალათანგიშვილს ბეგარა სამი კოკა ტკბილი, თფილელის კოკითა, სძეს კახინადირა რომ სახლობს იმ მამულს ბეგარა ტკბილი ექვსი კოკა, სძეს თელათგორს ქვრივიძეს მამა გულისშვილს ბეგარა ტკბილი სამი კოკა თორმეტიანით, სძეს კიდევ სხვა მისს განაყოფებს ყველას ქვრივიძეებს ტკბილი სამიკოკა თორმეტიანით, სძეს თელათგორს ელიაშვილის

ბეგართა-თვის.

მამულს ტკბილი ხუთი კოკა. არის ნიჩბის წმიდის გიორგის კავთის*) ვენახი და მას ბეგარა სძევს ხუთი კოკა ღვინო თორმეტიანით.

დიღომს ბეგარა ჩაჩაშვილებსა სძესთ.

არის დიღომს ქვათახევის ღვთის მშობლის საბეგრო მამული და ვენახები მეფეთაგან შეწირული ჩაჩაშვილებს უჭირავსთ და მათ სძეს ბეგარა, რვა კოკა ღვინო ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი საკმელი, ესენი მონასტერში უნდა მოიტანონ მეფეთათვის ჟამი აწირვინონ, ამას წლითი წლად ვერ დააკლებდენ, და სხვებრ თარხანნი და თავისუფალნი იყვნენ, და არარა ეთხოვებოდეს, ერთის ხელმწიფის ისახურების მეტი ვითა მათცა სიგელი აქვსთ მეფეთაგან.

სძესთ პურის ბეგარა ტატაშვილებს კომლად თითო კოდი თითონ თავისა სულისათვის შემოუწირავთ,

სძეს ბერიძეს გოგია პაპუნაშვილს ორი კოდი პური.

სძეს მეორე ბერიძეს ნადირაშვილს გიორგის ერთი კოდი პური.

სძეს წინარეხელს უჭუჭიშვილს ორი კოდი პური.

სძეს კობაძეს ორი კოდი პური.

სძეს წინარეხს ფერიძეს ერთი კოდი პური.

სძეს წინარეხს კაზისშვილს ერთი კოდი პური.

სძეს კავთისხევს სოლალაურის მიწას შალაყულაშვილის ბანს უკან, რომ არის, ბეგარა ორი კოდი

---

*) კავთის წმიდაგიორგის ეკლესია მდებარეობს ქვათახევის მონასტრისავე ადგილში სამხრეთ დასავლეთის მხარეს ხუთი ექვსი ვერსის მანძილზე მონასტრიდან. ეკლესია დგას ერთ მაღალ მიუალ გორაზე. როგორც გარდამოცემით ითქვიან, თამარ დედოფლის აშენებულია. ხატი ამ ეკლესიისა ასვენია ქვათახევში. ძველია. მთლათ ვერ ცხლია, რომლის დღესასწაულზე წაასვენებენ ხოლმე ბერები, ხალხის თაყვანის საცემლად. დღესასწაულობენ სამჯერ წელიწადში. მ. მ. ტ.

პური, რომე მიწა მონასტრისა არის, და ვინც მო ხნას იმან უნდა მიართოს მონასტერს ორი კოდი პური

სძესთ ნოსტელთა ბეგარა და ღალა მით წესითა ვითა იქაურს სიგელში სწერია.

სძესთ სველნელთა *) თითო კოდი პური, რაც კაცი სახლობს სასებისკვრედ ათი ლიტრიანით, და თითო კოდი ქერი, და მონასტერში იქაურს მოსავალს თითონ უნდა მოიტანდენ და იქაურიცა და ყველას თავის მამულის საბალახე და საური მონასტერს უნდა მიერთმეოდეს, ძველს გუჯარშიაც ასე სწერია და ჩვენცა ასე დაგვიმტკიცებია და მოგვიხსენებია და არ მოიშალოს. სველნელთს ბეგარა.

და კვალად ესეცა რომე ვინათგან ხელმწიფეთ სასაფლაო არის წმიდა მონასტერი, ჩვენც პირმშოსა და საყვარელსა ძესა ჩვენსა დიმიტრის და დედასა მათსა მარიამს, და მეუღლესა მათსა ბატონის რძალს დარეჯანს, მუნ საფლავი და სამარხო მივეცით სამხრით კერძო ნათლის მცემლის ეგუტერის კარიდამ სვეტამდი, და სვეტიდამ სამხრით კერძო კედლამდინ, ესე საფლავად მიგვიცია, და არა თუ მონასტერი გინა მამული მონასტრისა მიგვიცია, არამედ საფლავი. იხილე საფლავთა თვის.

ხოლო საშვალ მონატრისა სადა წმინდანი მოწამენი**) ქრისტესთვის დამწვარ არიან, მისი გაჭრა და საფლავად განჭკვეთა ნუმცა ვისგან კადრებულ არს, არამედ დიდი პატივი ჯერ არს ყოველთა ქრის- წმიდათა მოწამეთა რომელნი დაიწვნეს მუნ.

*) სვენელები ეხლა სამ წელიწადში ერთხელ მოდიან ქვათახევის მონასტერში სალოცავად და მოაქვთ თითო ჩანახი სასების კვრე ფქვილი. მ. მ. ტ.

**) ამ მოწამეთა შესახებ წელს ივერიის 187 ნომერში იყო ჩემ მიერ წერილი და პირადათაც მოვახსენე და მოველაპარაკე ყოვლად სამღვდელო დიმიტრის და ვთხოვე, რათა ეშჯამდგომლა მთავრობის წინაშე მათის განსაკუთრებული სატფურების დღის განწესებისათვის და არ ვიცი როგორ იქნება. მ. მ. ტ.

ტეანეთაგან და წეს არს რათა ვინცა მივიდოდეს ფერხთა წარიხდიდენ და ესრეთ შევიდოდენ და თა ყვანის სცემდენ და აშბორს უყოფდენ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ვითარმედ წარიხადენ სანდალნი ფერხთა შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რო მელსა შენ ჰსდგა წმიდა არს. პატივისათვის წმიდათა ამათ მოწამეთასა, რომელთა სისხლი და დამწვრობა აქამომდე სჩანს და ცხად ჰყოფს სიმხნესა წმიდათასა, და სისხლი მათი ღაღადებს უფლისა მიმართ, ვითარც სისხლი აბელისი და ვითარცა სისხლი მართლისა ზაქარიასი, რომელთა მადლი და მეოხება, იყავ მცველ და მფარველ წმიდისა ამის მონასტრისა და ჩვენი უკუნისამდე ამინ.

განწესება მონასტრის მცველთა.

და კვალად ესეცა რომე ძველთაგანაც ასე არის, და ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია, რომ მონასტრის ყმანი არიან, ყოველი კაცი, რიგით ოთხოთხი კაცი უნდა მონასტერში ქეშიკად მოვიდოდენ ზამთარ და ზაფხულ გაუწყვეტლად, და მონასტერს კიდეც უქეშიკებდენ და კიდეც მსახურებდენ მუნ მყოფთა და ამაში ვერც ხუცესი და ვერც მსახური და ვერც სოფლის მოხელე ვერ დააკლდებოდეს, და როსცა რიგი მივიდეს დეკანოზსა და კანდელაკთანა, თუ მაშინ საყდარს ვერ დაესწრნენ თვისი მაგიერი კაცი მათაც გაგზავნონ, ეს ძველთაგან ესრეთ განწესებულ არს.

წინამძღვართაგან ესარეთ აღსრულება.

ხოლო წინამძღვარი ყმათა და გლეხთა უსამართლოს ნურას უზამს, რაც არა სდებოდეს უდებს ნურას დასდებს, და ნურც მოხელეს და მსახურს უსამართლოდ გააგლეჯინებს და წაართმევინებს რასმე, და რომელიც სამსახური იდვას დიდი ანუ მცირე ნუცა მას ამოუკვეთს, და მონასტერს დააკლებს და ყოველივე საქმე და წესი წმიდისა ამის მონასტრისა

კეთილად და ღვთივ შვენიერად იქმნებოდეს, ესე ესრეთ იყოს და არს და იყოს ვიდრემდის სოფელი ესე ეგოს და ნუმცა ვინ არს მშლელი და მაქცეველი ამისი თანა შეწევნისაგან კიდე.

ხოლო გევედრები ყოველთა რომელთა მიიღოთ შემდგომად ჩვენსა სკიპტრა მეფობისა, გინა პატივი დედოფლისა ჩვენთა ნათესავთა ანუ სხვათა ნათესავთა ანუ პატიოსნება, გინა მთავრობა და მპყრობელობა, რათა მცირე ესე ნაღვაწი და შეწირული ჩვენი, ყოვლად წმიდისა ქვათახევის ღვთისმშობლისა სოფელნი და აგარაკნი ზე და ქვე შლად და ქცევად არა დაუწყოთ. და თქვენცა წმიდანო მამანო ამას გევედრებით, რომელ რაოდენიცა აღაპნი განწესებულ არიან რათა დაუკლებელად აღესრულებოდეს, და წმიდათა ლოცვათა შინა თქვენთა მარადის ხსენებულ იქმნებოდენ ყოველნი კეთილის მყოფელნი წმიდისა ამის მონასტრისანი.

თბილისელთა მეფეთაგან დამტკიცებისა

და თქვენცა მეუფენო წმიდანო ყოვლისა საქართველოს კათოლიკოსნო და ღვთივ დაცულნო მიტროპოლიტნო და ეპისკოპოსნო, კეთილად მსახურნო წინამძღვარნო და მოძღვარნო და ყოველნო სამღრთონო კრებულნო თანა მდგომ და ზღუდე ექმნენით ჩვენ მიერ შეწირულსა ამას, და ნუ ვის უტევებთ ერთ გზის საღმრთოდ შეწირულთა ამათ კვალად სოფლად საერისკაცოდ შეცვლებად, და თუ ვინმე ამპარტავნებით ხელ-ჰყოს რბევად ანუ სამძღვართა შეცილებად, ანუ დაჭირვად, თქვენ კანონებრივად ამხილეთ და უკეთუ შეინანოს ცთომილება თვისი კეთილ, ხოლო უკეთუ არა შეინანონ და ვითარცა ძაღლი ნახევარსა თვისსა მიექცეს, და არა მოვიდეს გულის ხმის-ყოფად, კრულ-წყეულ ჰყვენით და შეჩვენებასა მიეცით, და ნუ თვალ აღებთ მდიდარსა სიმდიდრისათვის, ნუცა მთავართა

მარბეველისა და სამძღვართ შემცვლელისათვის

შიშისათვის, და ბრძანება უფლისა მოიხსენეთ: ვითარმედ ნუ გეშინინ მათგან რომელთა მოსწყვიდეს ხორცნი თქვენნი, და ამისა შემდგომად ვერარა აქვსთ უმეტესი რა გიყონ თქვენ და შემდგომი ამისი.

ბრძანება ყოველთა გან ამის აღსრულებისათვის.

ხოლო კარისა ჩვენისა ვეზირ ვექილნო მდივან მწიგნობარნო და აზნაურნო და კარისა ჩვენითა წარვლენილნო მოხელენო და მოსაქმენო, მტკიცე ესე და შეუცვალებელი სიგელი ესრეთ დაამტკიცეთ, და ნუმცა გიკადრებიათ ჩვენ მიერ შეწირულისა ამის მცირისა შესაწირავისა შლად და ქცევად, გინა თხოვად რაჰსამე, გინა გამოსაღებისა და შესაწირავისა, დიდისა გინა მცირისა, თჳნიერ თანა დგომისა და შეწევნისაგან კიდე, რათა თქვენცა სასყიდელი მოგეცესთ დღესა მას სასჯელისასა.

ვედრება ღვთის მშობლისა მიმართ.

ხოლო შენ ყოვლად წმიდაო დედოფალო ვლაქერნის ღვთის მშობელო ქვათახევისაო შეიწირე მცირე ესე ნაღვაწი, და შესაწირავი ჩვენი და ნაცვალ გვაგე აქასაცა და საუკუნოსაცა ამინ.

წყევა შეჩვენება მომშლელთათვის

ხოლო უკეთუ ვინმე ხელჰყოს პირველად შეწირულისა და აწ ჩვენ მიერ დამტკიცებულისა წმიდისა ამის მონასტრისა და შეცვალებად ან გამოხვებად ანუ წართმევად და გამოწირვად ანუ სოფელთა, ანუ აგარაკთა, ვენახთა, გინა ოქროსა, ანუ ვერცხლისა, ანუ რვალისა, გინა რკინისა, ანუ საღმრთოთა სამსახურებელთა, ესე იგი არს ანუ წმიდათა ხატთა გინა საღთოთა წიგნთა, ანუ სამღვდელოთა შესამოსელთა მეფემან ანუ დედოფალმან, ჩვენმან ნათესავმან, ანუ სხვამან ნათესავმან მთავარმან ანუ დიდებულმან, ანუ მეპატრონემან, დიდმან ანუ მცირემან, კათოლიკოსმან ანუ ეპისკოპოსმან, მოძღვარმან გინა წინამძღვარმან, გინა რაჲსაცა ხელისუფალმან, ანუ უხელმან, ანუ მძლავრმან მძლავ-

რობით, ანუ გლეხმა სიგლახავისათვის ღვთივ აღშენებულისა ამის და ყოვლითურთ განთავისუფლებულის, დიდებულისა ამის მონასტრისა იკადროს გამოხვება რისამე, კრულიმცა არს დაუსაბამოსა ღვთისა პირითა მკვდარი და ცოცხალი, უკეთუ მეფემან შეჰსცვალოს: მეუფეო ყოველთა მეუფებათა ქრისტე, შენ იგი შესცვალე დიდებისაგან და უფლებისა მისისა. უკეთუ დედოფალმან შესცვალოს: დედოფალო ყოველთა დაბადებულთაო სახელ დიდო მარიამ შენ იგი შესცვალე პატივისაგან და ხელმწიფებისა მისისა. უკეთუ უფლის წულმან იკადროს გამოხვება რისამე გინა შეცვალებად, ანუ სხვამან ნათესავმან კაცთამან, შემცაიცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთასა, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი მამა ძე და სული წმიდა, სოფელსა ამას მსწრაფლ სიკვდილითა და საუკუნესა მას გამოუხსნელად წარწყმედითა. შეშცა-ედების ძრწოლა კაენისა, კეთრი გეზის ცოცხლივ დანთქმა დათან და აბიროონისა შიშთვლი იუდასი, მატლით განლეულება ჰეროდესი, მეხთა ტეხილობა დიოსკორესი, მასზედამცა დახდების მეას და რვე იგი წყევითი ფსალმუნი, ნაწილიმცა მისი არს ნისტორ სვიმონ მოგვისა, ნისტორისა და ორო გენისთანა, და ნურარაჲმცა სინანულითა იქმნების ხსნა სულისა მისისა, და შენ დედოფალო ღვთისმშობელო მისგან იძიე სისხლი ჯვარის მცმელთა ძისა შენისათა იყავნ კრულ წყეულ და შეჩვენებულ წმიდათა შვიდთა დიდთა და მსოფლიოთა კრებათა გან. და წმიდათა ოთხთა პატრიარხთა ჯვარითა უკუნითი უკუნისამდე ამინ:.

ხოლო რომელმან ჩვენ მიერ შეწირულნი ესე დაამტკიცოს და თანაშემწე ეყოს წმიდასა ამას მონასტერსა, ამისად შლად და ქცევად არა ხელჰყოს და დამტკიცებისათვის წადიერ იყოს, მისცეს მას

კურთხევა დამამტკიცებელთათვის.

უფალმან ზესთა კერძო ყოველთა ნათესავთა ქვეყა-
ნისათა, და მოვედინ მისა ყოველნი კურთხევანი,
კურთხეულ იყოს იგი ქალაქსა და სახლსა შინა თვის-
სა, კურთხეულ იყავნ შვილნი და შვილისწულნი
მუცლისა მისისანი, და ნაშრომნი ქვეყანისა მისისანი
ბროწეულნი ზროხათა მისთანი, და ცხოვარნი სამ-
წყსოთა მისთანი, კურთხეული იყოს იგი შესვლასა
მისსა და გამოსვლასა, მისცეს მას უფალმან ღმერ-
თმან მტერნი მისნი და წინა აღმდგომნი მისნი შე-
მუსრვად წინაშე პირსა მისსა, მოავლინოს უფალმან
მის ზედა კურთხევა, საუნჯეთა მისთა ზედა, და ყო-
ველსა ზედა რასაცა მიჰყოს ხელი მისი ქვეყანასა ზე-
და აღადგინოს იგი უფალმან ღმერთმან თავისა თვი-
სისა ერად წმიდად ვითარ სახედ ეფუცა მამათა ჩვენ-
თა აბრაამს ისააკს და იაკობს და განამრავლოს იგი
უფალმან ღმერთმან კეთილთა მიერ, რომელმან დაამ-
ტკიცოს სიგელი ესე და შემწე ეყოს წმიდასა ამას
მონასტერსა აკურთხოს იგი უფალმან ღმერთმან კურ-
თხევითა მით აბრამიანთა განუღოს უფალმან საუნ-
ჯე მისი კეთილი, ზეცით მოცემად მისსა წვიმა ჟამ-
სა თვისსა, ქვეყანასა თვისსა და კურთხევად ყოველ-
ნი საქმენი ხელთა მისთანი, და აკურთხოს უფალმან
ქვეყანა მისი, და ნაშრომი ხელთა მისთა, და განამ-
რავლენ ყოველნი საქონელნი მისნი, და აღაორძი-
ნოს და განამრავლოს იგი უფალმან ღმერთმან იყავნ
ცოლი მისი ვითარცა ვენახი მსხმო და შვილნი მი-
სნი ვითარცა ახალ ნერგნი ზეთის ხილისანი გარე-
მოს ტაბლისა მისისა, და იყავნ კურთხეულ უკუნი-
სამდე, ყოველნი დამამტკიცებელნი ჩვენ მიერ დამ-
ტკიცებულისა ამის სიგელ გუჯარისანი.

ხოლო ესეცა საცნაურ იყავნ ყოველთა რომელ ვისაც ჩვენ მიერ შეწირულთა ამათ სოფელთა ანუ აგარაკთა, ანუ სამძღვართა, ანუ გლეხთა სიგელი და ნიშანი ჰქონდეს, ჩვენ სიგლითა ამით განგვიცუ-დებია, და მტკიცე ესე ოდენ არს, და თქვენცა ღვთის მსახურნო მეფენო და თვით მპყრობელნო ჰტკიცე ესე სიგელ გუჯარი დაამტკიცეთ და ვინ დაამტკი-ცებდეს ღმერთმან ყოველი მისი განგებული მტკი-ცე ჰყოს და წმიდამან ღვთის მშობელმან ამინ.

გაუქმება წინააღმ-დგომთა ამისთა წერილ-თა.

ხოლო მტკიცე იქმნა ნებითა ღვთისათა სიგელ გუჯარი ესე დასაბამიდგან წელთა ადამს აქეთ შვი-დი ათას ორას და ათერთმეტსა. ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და სამსა, ქორონიკონსა (ტჟა.) ინდიკტიონ-სა მეფობისა ჩვენისასა ათხუთმეტსა, თთვესა აპრი ლსა ოცდა ექვსს. ხსენებასა წმიდის ვასილეოს ამა-სიელ ეპისკოპოსისა, მეხუთესა კვირიაკესა ზადიკთა-სა, დღესა ორშაბათსა ჟამსა დღისასა პირველსა სამე-ფოსა ქალაქს ტფილისს, ხოლო დაიწერა ორბელის ძის ვახტანგ მდივანბეგის შვილის მღვდელ-მონაზვნის ნიკოლოოზის მიერ, ბრძანებითა მეფეთ-მეფისა პა-ტრონის ძეთა და ასულთა მათთათა, რომელთა მრა-ვალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი, და ღმერთმან დაიცვას მშვიდობით სიმტკიცე მეფობისა მათისა.

წელიწა-დი ამ გუ-ჯრის და-მტკიცე-ბისა.

ხოლო რომელმან ფრიად იღვაწა დამტკიცება სიგელ გუჯარისა ამის წინამძღვრის ევთიმისი საუკუ-ნომცა არს განსვენება და კურთხევა მისი ჭეშმარი-ტად ესრეთ იყო და არს და იყოს ვიდრე გებადმდე სოფლისა ამის ამინ. (ბეჭედი.) მეფე ნაზარალიხან). ხელი მოუწერიეს ნამღვილსა ზედა საკუთრითა ხე-ლითა ესრეთ: მეფე ერეკლე ნაზარალიხან:.

ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ ქართლისა კახე-თისა და საათაბეგოს მაკურთხეველი დიასამიძე კათო-

ლიკოსი პატრონი ევდემოს კანონითა ვამტკიცებ ამა ხელმწიფეთა ბრძანებულსა ვიდრე გებადმდე სოფლისა, მშლელნი ამისნი კრულ და წყეულ იყვნენ, და დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ უკუნისამდე ამინ. (ბეჭედი კათოლიკოზის ევდემოსისა).

ქ. სარდარ სახლთხუცესი ლუარსაბ თანა მოწამე ვარ ამ ხელმწიფეთა ბრძანებისა (ბეჭედი).

ქ. ჩვენ ფანასკეთელი ციციშვილი სარდარი ქალაქის მოურავი ამ ხელმწიფეთ ბრძანებისა თანა შემწე ვარ. (ბეჭედი.)

# მთავრობის განკარგულება*)

უმაღლესად დამტკიცებული 12 ივნისს 1903 წ მინისტრთა კომიტეტის აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება მთავრობის დაწესებულებათა გამგეობას ჩაბარდეს და ზემოხსენებულ ეკლესიის იმ ქონებისა და თანხების შესახებ, რომელთაც ინახებოდა სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო სასწავლებელნი და რომელნიც საერო განათლების სამინისტროს გამგეობაში უნდა გადაიცეს.

ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა კომიტეტის აზრის თანხმად 12 ივნისს 1903 წ. უმაღლესად ბრძანება ინება:

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონება სათანადო სამინისტროთა უწყებასა და გამგეობას გადაეცეს შემდეგის განწესების ძალით:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებს, მონასტერთ, სასულიერო დაწესებულებასა და სასულიერო სასწავლებელთ, გარდა ქვემორე ჩამოთვლილისა (მუხლი 2შენიშვნითურთ), ჩამოერთოს დამტკიცებულის წესით, სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდების დადაწესებულებათა მართველობას და გადაეცეს მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას, ხოლო ხსენებულ დაწესებულებათა თანხები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობას; ამასთანავე დაცულ უნდა იქმნას სომეხ გრიგორიანთა ეკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობას უნდა გადაეცეს შემდეგი ქონება სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიისა:

ა) მიწები ნაშენი და უშენი, რა გვარისა და სახელისაც უნდა იყოს, აგრეთვე ცალკე ტყეები, საძოვარი, სათიბი და თევზის საჭერი ადგილები, წისქვილები და სხვა, არ გადაიცემის მხოლოდ ის ადგილები, რომელზედაც

*) ვბეჭდავთ ოფიციალურს თარგმანს.

აგებული ეკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები; რომელზედაც აგებულია საეპისკოპოსო სახლები და შენობანი სასულიერო დაწესებულებისა, ქალაქისა და სოფლის სამრევლო სამღვდელოებისა და სასულიერო სასწავლებლებისა; ადგილები ეკლესიებისა და სასაფლაოებისა გალავანში შეზღუდულნი და დასასრულ, სამღვდელოების ხელთ მყოფი სამოსახლო ადგილები, რომელნიც უჭირავთ ბაღებსა, ბოსტნებს, ხნულებს და სხვა, ზომით არა უმეტეს სამის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკლესიასთან, იმ შეხთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზედ არ გადაუციათ შემოსავლის გულისთვის, და

ბ) გადაიცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულების სახლები და შენობები, რომელიც საჭირო არ არის თვით სამღვდელოების საცხოვრებლად და საოჯახოდ—და ხსენებულ დაწესებულების მოსათავსებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს წესი არ შეეხება პეტერბუგისა და მოსკოვის სომხის ეკლესიის უძრავ ქონებასა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს აგრეთვე ის ქონება და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ აღნიშნულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ ქონებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო სჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტი, რომელსაც მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა გარდასცეს ანგარიში და შემოსავალი მის გამგეობაში მყოფ ქონებისა. ამ შემოსავლიდან გამოკლებული უნდა იყოს ყველა გარდასახადი, რომელიც გაწერილი იქნება ამ ქონებასა და ვალდებულებაზედ; აგრეთვე გამოკლებული უნდა იყოს ქვემორე ხსენებული ხარჯიც.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გადასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ ქონება და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს: ა) არა უმეტეს 10%-ისა ამ უძრავ ქონების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენად არა ჩვეულებრივ ხარჯთათვის, ქონების გასაუმჯობესებლად, და ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოეკლოს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხის შესადგენად; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებას; ამ თანხას უნდა მიემატოს რაც ზემოხსენებულს (პუნკტი ა.) 10% ხარჯიდან დარჩება.

6) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უთანხმოება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოირკვა—სამღვდელოების ესა თუ ის ქონება ან თანხა მთავრობას გადაეცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს

II. მიენდოს: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის დამხმარებელ თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდელოების დამხმარებელ თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ უნდა წარადგინოს წესისამებრ დასამტკიცებლად; და ბ) დაადგინოს წესი იმისა, თუ როგორ უნდა შეადგინონ სასულიერო დაწესებულებამ ანგარიში იმ შემოსავლისა, რომელიც სახარჯოდ გადაეცემა და 2) მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სათანადო სამინისტროებს და ბ) წესი ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

და III. უმაღლესად დამტკიცებულის 26 მარტს 1898 წელს მინისტრთა კომიტეტის აზრის ნაცვლად დაწესდეს:

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოს, ამ დებულების 1 მუხლის თანახმად, სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონება სახელმწიფო მმართველობაში რომ მიღებული იქმნება, ერთმანერთთან შეთანხმებით გამოარკვიონ იქ ქონება, რომლის შემოსავლითაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს, და მას შემდეგ: ა) აღნიშნონ ის ქონება, რომელიც უნდა დასტოვონ სასწავლებელთა საჭიროებისათვის, და ბ) დანარჩენ ქონების შემოსავლის დაგვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადაეცეს ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ სასწავლებელთა შესანახად.

12 ივნისის 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან შეთანხმებით ვამტკიცებ. ს-პეტერბურგი, 30 ივნისს 1903 წელს.

შინაგან საქმეთა მინისტრი
სტატს-სეკრეტარი (ხელს აწერს)
ჰლევე.

# წ ე ს ი

## სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონებისა და თანხათა სათანადო სამინისტროთა გამგებლობაში გარდატემისა.

1) სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის იმ ქონების შესახები ცნობანი, რომელიც 12 ივნისის 1903 წლის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის აზრისამებრ, უნდა ჩამოერთვას, სასულიერო დაწესებულებათა განმგებლობას, უნდა აუწყოს: ევროპიის რუსეთში—შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და, იმის და მიხედვით, საცა ეგ ქონებანი იმყოფება,—იქაურ გუბერნატორებსა და ქალაქის უფროსთა, ხოლო კავკასიის ეპარქიებში—მთავარ-მართებლის მმართველობიდან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ნდობა-მოსილს კავკასიაში და იქაურ გუბერნატორებსა და ოლქების უფროსთა. მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ და ამ სამინისტროს ნდობა-მოსილმა კავკასიაში უნდა აუწყონ მათ მიერ მიღებულნი ცნობანი თვისთა ხელ-ქვეით საგუბერნიო მმართველობათა.

2) მიღებისამებრ ადგილობრივ, უწყებათა სახით, ზემოხსენებულ ცნობათა, რომელნიც ამოკრებილ იქმნება ეჩმიაძინის სინოდის უკანასკნელ ანგარიშებიდან, გუბერნატორებმა და სახელმწიფო ქონებათა გამგებლებმა, ერთმანერთ შორის მორიგებით, უნდა განკარგულება მოახდინონ და ერთსა და იმავე დროს გაჰგზავნონ თვისნი ხელ-ქვეითნი თანამდებობის სარწმუნო კაცნი, რომ ერთად ჩაიბარონ სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო დაწესებულებათაგან საეკლესიო ქონება და თანხა. ზემოხსენებულთ კაცთ უნდა მიეცეთ ჯეროვანი დარიგება, ფორმალური ბძანება და ნიმუში ჩაბარების ოქმებისა და ნუსხისა.

3) თითოეულს ქალაქსა და მაზრაში ჩაბარება უძრავის ქონებისა და თანხისა უნდა დაწყებულ იქმნას უფრო იმ მამულიდან, რომელიც შესამჩნევია თვისის სიდიდითა.

4) ზემო-ხსენებულნი მოხელენი, მივლენ თუ არა ადგილობრივ, იწვევენ მათდა მინდობილ საქმეში დასახმარებლად იქაურ პოლიციის ფარმომა-

დგენელს, იქაურსავე სომეხ-გრიგორიანთა კეთილ-მოწესე მღდელს თუ არის იქ, აგრედვე იმ სასულიერო კაცს ან იმ სასულიერო დაწესებულების წარმომადგენელს, ვის გამგებლობაშიაც არის მისაღები ქონება; ამას გარდა, იწვევენ ქალაქ ადგილას—ქალაქის თვით-მართველობის წარმომადგენელს, ხოლო სოფლად—ორს კეთილს-სვინდისიერს მცხოვრებელს, არა ამაზედ ნაკლებ, და მამასახლისს. ქონების ჩაბარების დროს უნდა დაესწროს ქტიტორი ანუ მნათე, რომლის პირდაპირს გამგებლობაშიაც არის მთლად საეკლესიო ქონება (მუხ. 1225 უცხ. აღსაარ. სასულ. საქმეთა წესდებისა გამოც. 1896 წ).

5) შეუდგებიან თუ არა ჩასაბარებელ ქონებიდათვალიერებას ისინიც ვისაც ეს საქმე აქვთ დავალებული უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ, რო, ქტიტორმა, მონასტრის წინამძღვარმა ან ამა თუ იმ სასულიერო დაწესებულების უფროსმა წარუდგინოს საინვენტარო ნუსხა მთლად საეკლესიო თუ სამონასტრო, აგრედვე სასემინარიო და სხვა ქონებისა უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა წესდების 1226 მუხლით დაწესებულ ზონარ-გაყრილი დავთრები, აგრედვე გეგმანი, კონტრაქტები, ნამდვილი გუჯარ-სიგელნი მფლობელობისა, ვალდებულობის ქადალდები, შესანახად დაბინავებულ ფულის კვიტანციები, ანუ წიგნები შემნახველის კასებისა, არედვე სხვა ოქმები, რომელიც-კი შეეხება ეკკლესიის გამგებლობაში მყოფ მამულებსა, ვალდებულების წერილებსა და თანხებსა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რადგან სომეხ-გრიგორიანთა მონასტრების უმეტეს ნაწილს არა ჰყავს მონაზონთა ძმანი და კანონით დაწესებული (მუხ. 1235 უცხ. აღსაარ. სასულიერო საქმეთა წესდებისა) სამონასტრო გამგეობანი, ამიტომ, ასეთ გარემოებაში, ქონების მისაღებად ადგილას წასვლამდე უნდა მოითხოვონ საბუთები და ნუსხანი საეპარქიო კონსისტორიებისაგან, საცა ინახება, კანონისამებრ, ასეთნი ცნობანი.

6) ასეთ ნუსხათა და საბუთების შემოწმების შემდეგ, რწმუნებულნი შეუდგებიან თვით ქონების მიღებასა. თან ასეთა წესი უნდა იქმნას დაცული:

ა) ქალაქის სახლები, დუქნები, ქარვასლები, წისქვილები, ღვინის სარდაფნი და სხვა სამნეო შენობანი, გარდა კაცთა საცხოვრებელ სახლთა და შენობათა, აგრედვე სამნეო საწყობთა და ნაშენობათა, რომელიც უნდა დარჩეს სამღვდელოების ხელში მათის საჭიროებისათვის, უნდა მიღებულ იქმნას ყოველის თვისის ინვენტარითა და იმ მიწითურთ, რომელზედაც იგი შენობანია აგებული;

ბ) სააგარაკო სადგომ-სამყოფელნი პატრიარქ კათრლიკოსისა და ეპარქიის უფროსთა, საცა ამისთანა რამ დიდის ხნიდგანვე არსებობს, თვისის ბაღებითა, ბოსტნებითა, და ჭალა ტყეებითა, რჩება ზემოხსენებულ სასულიერო კაცთა ხელში;

გ) იმ მამულებში, საცა სახნავ-სათესია, ან ტყე, მამულთან ერთად უნდა მიღებულ იქმნას ყოველივე იარაღი წარმოებისა, ხოლო საქონელი, პური და სხვა დამზადებული სამნეო ნუშლ-სანოვაგე რჩება იმ კაცთა და დაწესებულებათა ხელში, რომელთა გამგებლობას უნდა ჩამოერთვას ხსენებული მამული;

დ) თუ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულების მფლობელობაში მყოფი მამული კანონით დაწესებულ 3 დესეტინას მცირედ რამით აღემა

ტება და ეს ნამეტანი დამოუკიდებელ მეურნეობისათვის არ გამოდგება, არ უნდა იქმნას მიღებული განსაკუთრებულ განკარკულებამდე და უნდა იქმნას მოხსენებული განაჩენში და

ე) თანხათაგან უნდა მიღებულ იქმნას სრულიად სარგებლიანი ქაღალდები, გირავნობის ქაღალდები და ვალდებულობის წერილები, ხოლო ნაღდის საეკლესიო ფულიდან უნდა მიღებულ იქმნას სულ, ას თუმანს ზევით ათ-ათ თუმნობით. დანარჩენი დატოვებულ უნდა იქმნას მიმდინარე საეკლესიო ხარჯისათვის. ეს გარემოებაც უნდა განმარტებულ იქმნას ქონების მიღების ოქმში.

7) როცა რწმუნებულნი დაწვრილებით დაათვალიერებენ ეკლესიათა და სასულიერო დაწესებულებათაგან მიღებულს ქონებას ადგილობრივ, შეადგენენ ორ ეგზემპლიარად დაწვრილებულს ოქმს, მიცემულ ნიმუშისამებრ და მოაწერინებენ ხელს მათ, ვინც დაესწრო ქონებათა მიღებას და დათვალიერებასა; შემდეგ აღწერილ უძრავ ქონებას თვისის კუთვნილებითა გადასცემენ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელე კაცს, რომელსაც დავალებული აქვს და დაუყენებლივ აუწყებენ გუბერნატორს და ადგილობრივ მმართველობას და თან წარუდგენენ შინაგან საქმეთა და მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან გასაგზავნად ნუსხას ნამდვილად მიღებულ ქონებისას. საბუთები თანხის შენახვა-დაცვისა და თვით თანხანი, საცა ეს თანხანი აღმოჩნდება, უნდა გაეგზავნოთ გუბერნატორებს შინაგან საქმეთა სამინისტროს უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დეპოზიტში გადასაცემად.

8) თუ უძრავი მამული ამა თუ იმ ეკლესიისა ანუ სასულიერო დაწესებულებისა სხვა მაზრაში ან გუბერნიაშია, რწმუნებულთ უნდა მოითხოვოდ იმ მამულის სიგელ-გუჯარნი და აღწერილობა და წარუდგინონ გუბერნატორს იმ გუბერნიის უფროსის გარდასაცემად, საცა მამულია, რათა მან მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება მისის მიღებისათვის.

9) თუ მიღებული ქონება ანუ მისი ნაწილი იჯარით არის გაცემული ან სასარგებლოდ არის მიცემული ხელ-შეკრულობით ან ადგილობრივის ჩვეულობის ძალით, იჯარადართ, ან მამულის სასარგებლოდ ამღებთ უნდა ეუწყოთ, რომ ეგ მამულები მიიღო ხაზინამ თვის გამგებლობაში და რომ ისინი მოვალენი არიან, რაც გადასახდელი აქვთ ფულად, შემდეგისათვის შეიტანონ ხოლმე სათანადო სახაზინოში იმ დეპოზიტზედ, რომელიც გარკვევით უნდა აეხსნათ, ხოლო თუ თვით მოსავალია შესატანი, წარუდგინონ ხოლმე იმას, ვისაც დავალებული ექმნება მამულის გამგებლობა.

10) ყოველივე ხარჯი, რაც მოუნდება ხსენებულ ქონებათა გადაცემას მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის გამგებლობაში, უნდა გასტუმრებულ იქმნას იმ ფულიდან, რომელიც ადგილობრივ არის გადადებული აქეთ-იქით სამსახურთა კაცთა გასაგზავნად და შემდეგ ეს დანახარჯი უნდა შეივსოს იმ ფულის 10%-დან, რომელიც უნდა გამოირიცხოს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის ქონების შემოსავალიდან; ხარჯი თანხათა გასაგზავნად შინაგან საქმეთა მინისტრის გამგებლობაში, გასტუმრებულ უნდა იქმნას ამავე თანხიდგან.

უცხო აღსაარების სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი (ხელს აწერს) მ ო ს ო ლ ო ვ ი.

# უცხოეთის მიმოხილვა

1) შორე აღმოსავლეთი. 2) ბალკანეთი. 3) ახალი საერთაშორისო მდგომარეობა. 4) დრეზდენის პარტაიტაგი. 5) ერთი სამრეწველო დაწესებულება.

აუარებელი ხარჯი და შრომა მოანდომა რუსეთის იმპერიამ შორე აღმოსავლეთის საქმეს; მარტო ჩინეთის რკინის გზა დაჯდა ნახევარ მილიარდამდე; ნავსადგურების მოწყობა, დიდძალი ჯარისა და აღურიცხველ მოხელეების შენახვა კიდევ სხვაა. ერთის სიტყვით, შორე აღმოსავლეთი საშინელის სიმძიმით აწევს რუსეთის იმპერიის ხარჯის გამღებს და სარგებლობა კი არა თუ ეხლა, შორე მომავალშიაც არა სჩანს.

ამას ამბობს და ამტკიცებს არა მარტო საღი და შეგნებული ნაწილი რუსეთის პერიოდიულ მწერლობისა, არამედ უკიდურესი შოვინისტებიც-კი.

„ნოვოე ვრემია"-ში იბეჭდებოდა და ეხლაც იბეჭდება მთელი წყება პოლიტიკურ წერილებისა, სადაც ცხადზედ უცხადესად მტკიცდება, თუ რა საშინელ და აუტანელ სიმძიმეს წარმოადგენს შორე აღმოსავლეთში დაწყებული საქმე რუსეთის იმპერიისათვის. მარტო ჩინეთის რკინის გზის ისტორია კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უანგარიშოდ და წინდაუხედავად ვიქცეოდითო, ამბობს გაზეთი. როდესაც გზა დაწყდა რკინის გზის გაყვანა, ყველა გონიერ კაცს ეგონა, რომ ეს გზა ამურის მარცხენა ნაპირზე გაივლიდა რუსეთის ტერიტორიაზეო, მაგრამ სულ სხვა აზრმა გაიმარჯვა: ვითომდა იმიტომ, რომ ხსენებულ მიმართულების გზა ერთი ვერსტი მე-

ტად ძვირად (89,000 მ.) დაჯდება, არჩიეს უფრო მოხერხებული ჩინეთის ტერიტორია. ვინც საქმეს დაკვირვებული იყო, კარგად ხედავდა, რომ მანჯურიის რკინის გზა დიდ დავიდარაბას უმზადებდა რუსეთს, მაგრამ საქმე უკვე გადაწყვეტილი იყო და მას არა ეშველებოდა რა. შეუდგნენ მუშაობას და რა აღმოჩნდა? ვერსტი გზა დაჯდა 150 ათასზე მეტი. ეს კიდევ არაფერი: გაყვანილ გზას დიდი სამხედრო ძალა დასჭირდა სადარაჯოდ და ამ გვარად რუსეთი იძულებული გახდა მთელის თავის ძალღონით გაბმულიყო ჩინეთის საქმეებში.

რათა, რისთვის, რა უნდა მოვიგოთ ამ საქმიდანაო, ჰკითხულობენ რუსის პოლიტიკური მწერლები და თვითონვე შემდეგ პასუხს იძლევიან.

მანჯურიის გზა სამხედრო გზაა და, მაშასადამე, მუდამ ჟამს დიდძალ ხარჯს მოითხოვს. „ნოვოე ვრემია“ს თანამშრომლის გამოანგარიშებით, სულ უკანასკნელი ოთხმოცი-ასი მილიონი მანეთი უნდა გაიღოს მთავრობამ ყოველ წელს ამ გზის შესანახად, და არც არის მოსალოდნელი, რომ ოდესმე მოაკლდეს რამე ამ საშინელ კონტრიბუციას. თუ ამ გზას რამე ეკონომიური მნიშვნელობა ექნება, ისევ უცხოელებისათვის, განსაკუთრებით იაპონელებისა და ამერიკელებისათვის, რადგან უცხოელები მეტად დახელოვნებული არიან სავაჭრო-სამრეწველო საქმეებში და რუსები კი მეტად ჩამორჩენილები. მაგალითად, მთელი მასალა, რომელიც კი დასჭირდა რუსეთის მთავრობას შორე აღმოსავლეთის რკინის გზისათვის, სულ ამერიკიდან იყო მოტანილი, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ერთი ხანია რუსეთის მთავრობა არავითარ მსხვერპლს არ ჰზოგავდა რუსეთში რკინის წარმოების განვითარებისათვის.

ეს კიდევ არაფერი. მანჯურიის დაპყრობით რუსეთის იმპერია გაება მეტად მძიმე საერთაშორისო დავიდარაბაში. უცხოელები, განსაკუთრებით იაპონელები, მუშტრის თვალით უყურებენ რუსების მოძრაობას შორე აღმოსავლეთში და ყოველ ღონეს ღონობენ შეაჩერონ ეს მოძრაობა. გაზეთის მკითხველს კარგათ ეცოდინება უკანასკნელი გამწვავება რუსეთ-

იაპონიის დამოკიდებულებისა; ლამის იყო, თოფი არ გავარდა და არ დაიწყო საშინელი სისხლის ღვრა.

ერთის სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა განვიხილოთ მანჯურიის საქმე, იგი მეტად მავნებელია რუსეთის არსებით ინტერესებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაშია იაპონიის საქმე. კორეაცა და მანჯურიაც მისთვის არა თუ სასარგებლო, აუცილებელიც არის. იაპონია მეტად ძჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, ადგილი არა აქვს ზედ-მეტი ხალხი დაასახლოს და გამოკვებოს. კორეა და მანჯურია კი მეტად თხლად არის დასახლებული და, რადგან გეოგრაფიულად მეტად მოხერხებულია იაპონიისათვის, ამიტომ იაპონელი კოლონისტები აუცილებლად აქეთკენ უნდა დაიძრნენ. გარდა ამისა, როგორც კორეა, ისე მანჯურია მდიდარია მადნებით, რაც იაპონიისათვის ეხლანდელ პირობებში ძალიან საჭიროა. თუ იაპონია ხარჯს არ გაურბის დიდი ჯარისა და ფლოტის შენახვისათვის, თუ იგი მზად არის სისხლი დაღვაროს კორეასა და მანჯურიისათვის, ეს იმიტომ, რომ ამას თხოულობს მისი საკოლონიო და სამრეწველო ინტერესები, რაც სრულებით არ ითქმის მისი მეტოქის შესახებ. შესაძლებელია დღეს ომის შიში აღარ იყოს იაპონიასა და რუსეთ შორის, მაგრამ რაკი არსებითი პირობები მათის დამოკიდებულებისა არ შეცვლილა, ომი მუდამ ჟამს არის მოსალოდნელი. რუსეთის მთავრობა, როგორც სჩანს, მანჯურიას თავს არ ანებებს. იაპონიის ცხოვრების პირობების შეცვლა ხომ ყოვლად წარმოუდგენელია. ამიტომაც შორე აღმოსავლეთის დიდი დავის გადაწყვეტა მხოლოდ დროებით თუ არის გადადებული.

მოპირდაპირენი განაგრძობენ მომზადებას საქმის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის, და სანამ ეს გადაწყვეტა მოხდებოდეს, შესაძლებელია ბრძოლის პირობები შეიცვალოს: ასპარეზზე გამოვიდეს ახალი მებრძოლი, რომელსაც ეხლა არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს იგი ამ ქვეყანაზე აღარ არსებობდეს მას შემდეგ, რაც „კულტურულსან და ქრის-

ტიან“ ევროპის სახელმწიფოების მოკავშირე ჯარებმა თემურ-ლენგისებურის კაცთმოყვარეობით დააწყნარეს და დაამშვიდეს.

ჩინეთი დღესაც დიდი და საბედისწერო ამოცანაა დღეს თავისუფლად და ლაღად მოთარეშე სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიისათვის. ყვითელკანიანი იაპონელი კი აქაც დიდის ხერხითა და გამოცდილებით იქცევა. იაპონიის ძველი კულტურა ჩინური იყო, ერთ დროს ჩინელი იყო იაპონელის მასწავლებელი და გამწვრთნელი. დღეს პიროვნები შეიცვალა: გონზე მოსული იაპონელი აღვიძებს და წვრთნის ძველ ჩინურ კულტურის ქსელში გაბმულ ჩინელს. გამოღვიძებული და გაწვრთნილი ჩინელი კი ისე არავისათვის არ არის საშიში, როგორც რუსეთის იმპერიისათვის.

---

ბალკანეთი ისევ ბოუსვენარ და გამოურკვეველ მდგომარეობაშია. თუმცა ხალხის ჟლეტის ხასიათი ნაკლებ სასტიკია, მაგრამ მაინც დიდძალი სისხლი იღვრება და ურემი კი ისევ ერთ ადგილას არის“.

თუ ვისმესთვის კიდევ ცხადი არ იყო სრული უვარგისობა და სიყალბე ევროპის „კულტურულსან“ სახელმწიფოების კონცერტისა, დღეს ეს უვარგისობა და სიყალბე ყველასათვის თვალსაჩინოა. გავიხსენოთ ერთი პერიოდი ბედკრულ მაკედონელების საქმისა.

მაკედონიაში სრული ანარხია იყო გამეფებული. ევროპის პრესა და საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო ოსმალთა სიმხეცითა და აჯანყებულ მამულისშვილების ტრაღიკულ მდგომარეობით. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელნი აფრთხილებდნენ სულთანს და ურჩევდნენ მეტ ლმობიერებას და კაცთმოყვარეობას. ამაებს შეჩვეული სულთანი ჯარს ჯარზე უმატებდა მაკედონიაში, რომ სახსენებელიც კი გ ექრო მაკედონელებისა. ბოლოს ავსტრია და რუსეთი შეთანხმდნენ— ერთად ვიმოქმედოთ და მაკედონიის ცეცხლი ჩავაქროთო. შეიმუშავეს რეფორმების პროექტი და ბრწყინვალე პორტას წარუდგინეს. არც ეს იყო ახალი ხილი სულთანისათვის, ბევრი

ამისთანა პროექტი უნახავს და შემდეგ გადუფურჩეჩებია. ეს კარგად იცოდნენ რეფორმების პროექტის ავტორებმაც, მაგრამ არავითარ სხვა ღონისძიებისათვის არ მიუმართავსო. სულთანი დასთანხმდა პროექტს, მოიწონა იგი, ბრძანებაც გასცა ეხლავ შემოიღეთ ჩემ საყვარელ ქვეშევრდომების საბედნიეროთო. ავსტრიისა და რუსეთის დიპლომატია თავმომწონეობით ლაპარაკობდა თავის გამარჯვებაზე, თუმცა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, წინდაწინვე იცოდა, რომ ასეთ ჩვეულებრივ ღონისძიებას ჩვეულებრივივე შედეგი მოჰყვებოდა, ე. ი. არაფერი, და ტანჯული მაკედონელები ისევ ძველ აუტანელ მდგომარეობაში დარჩებოდნენ.

განზრახული რეფორმები იმდენად უმნიშვნელო და უვარგისი იყო, რომ მთელ მაკედონიასა და ბოლგარიაში დიდი გულის წყრომა გამოიწვია. ესეც კარგად იცოდნენ წინდაწინვე ავტორებმა.

ოსმალთა მთავრობის მტარვალობა და რევოლიუციონერების გამწარება უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ამ მოძრაობამ თითქმის წმინდა ანარხისტული ხასიათი მიიღო როგორც მაკედონელების, ისე ოსმალების მხრივაც.

ავსტრია და რუსეთი ისევ ალაპარაკდნენ, გამართეს თათბირები და ბოლოს რეფორმების პროექტის ხასიათი შესცვალეს. თუ აქამდე ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ გააგონებდი ევროპის კონტროლის აუცილებლობაზე მაკედონიაში რეფორმების შემოღებისათვის, დღეს თვითონ მოსთხოვეს ოსმალეთს, რომ უთუოდ ყოფილიყო ეს კონტროლი.

განა პირველ ხანებშივე არ შეიძლებოდა რეფორმების პროექტში ასეთი მუხლი შეეტანათ? განა აქამდე არ იცოდნენ, რომ ოსმალეთის მთავრობა ძალდაუტანებლად, თავის მოხელეების საშუალებით არავითარ რეფორმას არ შემოიღებდა, რადგან ყოველი ასეთი რეფორმა ახალი ეტაპია ამ მთავრობის საბოლოო დასასრულისა? ნუ თუ მთელი საუკუნის გამოცდილებამ არაფერი არ ასწავლა ევროპის დიპლომატიას?

ასეთ გულუბრყვილობას ვერ დავწამებთ ევროპის გაწვრთნილ და განსწავლულ დიპლომატებს. ამათ მშვენიერად იცოდნენ, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მთელ მათ დიპლომატურ მანქანას, ბევრჯელ და ბევრგან გამონაცადს, მაგრამ რაკი იცოდნენ, რომ თავიანთ გულის ნადებს ვერ აისრულებდნენ (საქმეს მხოლოდ თავის სასარგებლოდ ვერ გადაწყვეტდნენ), ამიტომ ისევ ძველს ხერხს მიჰმართეს, რომ საქმე გაეჭიანურებინათ და ძველ მდგომარეობაში დაეტოვებიათ.

ეხლა რა პასუხი გასცა ოსმალეთმა ავსტრია-რუსეთის ახალ წინადადებას? კონტროლი, ამ წინადადებით, ორ გვარი უნდა იყოს—ერთი რეფორმების შემოღებისა, მეორე—ოსმალეთის ჯარის მოქმედებისა.

მე დამოუკიდებელი სახელმწიფო ვარ, ჩემი ჯარი სახელოვანია, და როგორ მეუბნებით, რომ ჩემი პატიოსანი მოხელეები და ეს სახელოვანი ჯარი თქვენ კონტროლის ქვეშ დავაყენოთ. ეს ხომ სრული დამცირება იქნება ოსმალეთის დიდებისა და სახელისაო.

ეს პასუხიც ხომ ძველთა ძველია; ასეთი პასუხი ასჯერ მაინც გაუცია ოსმალეთის მთავრობას ევროპისათვის, როცა ეს უკანასკნელი ბალკანეთის საქმეებში გაერეოდა.

ერთის სიტყვით, მაკედონიის საქმე, კრილოვის ურმისა არ იყოს, ისევ ერთ ადგილას დგას.

პატარა იმედი იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი ჩაერეოდნენ საქმეში და ამ მძიმე ურემს ადგილიდან დაძრავდნენ, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. საფრანგეთიც და ინგლისიც ისე გართული არიან თავიანთ შინაურ საქმეებში (კლერიკალისმთან ბრძოლა; პროტექციონისმი), რომ ბალკანეთისათვის სასურველად ვერ მიუცლიათ გარდა ამისა, საფრანგეთის ყურადღება ეხლა მაროკოზეა მიქცეული, სადაც არეულობა აქამდე არ დამშვრალა და მოსალოდნელია დიდი ცვლილებანი, რაც არსებითად ეხება საფრანგეთის საახალშენო ინტერესებს. ინგლისიც უფრო შორე აღმოსავლეთისაკენ იცქირება.

—

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ევროპის სახელმწიფოების საერთაშორისო დამოკიდებულებაზე, ესე იგი ეგრედ წოდებულ „ორთა“ და „სამთა“ კავშირზე, არა ერთხელ აღგვინიშნავს ახალი ტენდეციები არსებულ კომბინაციებისა: ერთის მხრით იტალიამ, რომელიც, კრისპის იმპერიალისტურ პოლიტიკის გამო, გერმანიის იმპერიისა და თავის ტრადიციონულ მტერს ავსტრიას დაუკავშირდა, პირი იბრუნა ისევ საფრანგეთისაკენ; მეორე მხრივ საფრანგეთის გარეშე პოლიტიკა, რომელიც მოკავშირე იმპერიის სრულ გავლენის ქვეშ იყო, უფრო და უფრო გაბედული და დამოუკიდებელი გახდა.

ამ მოკლე ხანში ამ ტენდენციებმა უკვე გარეგანი ფორმა, სახე მიიღეს.

როცა საფრანგეთი და რუსეთი დაუახლოვდნენ და დაუკავშირდნენ ერთმანერთს, თუ საფრანგეთს ალზას-ლორენი და გერმანიის იმპერია ჰქონდა სახეში, რუსეთი თითქმის მხოლოდ ინგლისზე ჰფიქრობდა. საფრანგეთის ძლიერი ფლოტი იყო საჭირო რუსეთისთვის, რომ საჭიროების დროს შეურიგებელ და დაუძინებელ მეტოქეს გზაში გადასდგომოდა შორე თუ ახლო აღმოსავლეთში.

რაღა დარჩა ეხლა ამ განზრახვებისა? მართალია, ალზას-ლორენი არ დავიწყებია საფრანგეთს და ვერც დაივიწყებს: ეს ჭრილობა კიდევ მოურჩენელი აქვს დიდ რესპუბლიკას, მაგრამ იგი დარწმუნდა, რომ „ორთა კავშირი“ ვერაფერი წამალია ამ იარისათვის. ამიტომ ეს ერთ დროს „გულითადი“ კავშირი დღეს თითქმის უმნიშვნელო შეიქნა საფრანგეთისათვის, და რაკი დიდ სახელმწიფოს ეხლანდელი საერთაშორისო პირობებში არ შეუძლია დარჩეს ასეთ პატარა მნიშვნელოვან კავშირის ამარა, საფრანგეთი შეუდგა ახალ კომბინაციების ძებნას და მოგვარებას.

პირველად ყოვლისა საფრანგეთის დიპლომატია, ნიჭიერ და შორს გამჭვრეტ დელკასეს ხელმძღვანელობით, იმის ცდაში იყო, რომ „სამთა კავშირი“-ს ძალა და გავლენა შეემცირებინა. ცდას ამაოდ არ ჩაუვლია და საფრანგეთმა მით უფრო

ადვილად ზიარწია თვის მიზანს, რომ იტალია უკვე გამოფხიზ-ლებული იყო კრისპის „მანია გრანდიოზა“-ს ბურუსიდან.

იტალია და საფრანგეთი იმდენად დაახლოვდნენ და შე-თანხმდნენ ფრიად მნიშვნელოვან საერთაშორისო კითხვების გამო, რომ გერმანიის დიპლომატიამ ვერ მოახერხა, ბრაზი გულში ჩაეკლა. ავსტრიასთან ხომ იმ თავითვე მეტად ცუდი განწყობილება ჰქონდა იტალიას. ამ გვარად „სამთა კავშირი“ უფრო ფორმალურად არსებობს, ვიდრე არსებითად. იტალია ვერ უღალატებს საფრანგეთს გერმანიის იმპერიისა და ავსტრია-ჰუნგრეთის „ლამაზ თვალებისათვის“, როგორც ფრანგები ამ-ბობენ ხოლმე.

გამარჯვებული დიპლომიტია საფრანგეთისა ენერგიულად განაგრძობდა ახალ კომბინაციების ძებნას და პირი ეხლა .... ინგლისისაკენ იბრუნა.

ეს მიმართულება საფრანგეთის დიპლომატიისა იმდენად გაბედული და ახალი იყო, რომ ევროპის მთელი პრესსა აალა-პარაკა. მართლაც საფრანგეთისა და ინგლისის დაახლოვება ყო-ველ მხრივ დიდად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი იყო. ეს ორი უგანათლებულესი სახელმწიფო, ევროპის ცივილიზა-ციის შემქნელნი და მეთაურნი, მუდამ ცილაობაში იყვნენ. ინგლისელი და ფრანგი, ორი თვალი განათლებულ ევროპისა, შეურიგებელ მეტოქეებად ითვლებოდნენ. ამერიკის ახალშე-ნები და დიდ ნაპოლეონის პოლიტიკა წინად და ეგვიპტე და ფაშოდა ეხლა, ბევრი პოლიტიკოსის შეხედულობით, შეუძ-ლებლად ხდიდნენ საფრანგეთისა და ინგლისის დაახლოებას. მაგრამ, როგორც ვიცით, შეუძლებელი შესაძლებელი გახდა.

ედუარდ მეშვიდე აღტაცებით მიიღეს პარიზელებმა; სა ფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე ისე მიიღეს ინგლისში, რო-გორც „არც ერთი გვირგვინოსანი“. ბრწყინვალე მიღებითა და დახვედრით საქმე არ გათავებულა: საფრანგეთმა და ინგ-ლისმა პირობა დასდეს ერთმანერთში, რომ განსაზღვრულ შემ-თხვევებში სადავო საგანი სამედიატორო სამართალს გადაეცემა განსახილველად და გადასაწყვეტად.

გარდა წმინდა პრინციპიალურ, ეგრე ვთქვათ, ზნეობრივ მნიშვნელობისა საფრანგეთ-ინგლისის ამ შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს არსებულ საერთაშორისო კომბინაციისათვის—„ორთა კავშირისათვის“.

როგორც ზემოდაც გვქონდა ნათქვამი, საფრანგეთთან კავშირს ის მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისათვის, რომ დიდი ბრიტანიის პოლიტიკისათვის წინააღმდეგობა გაეწია საჭიროების დროს. სხვა აზრი არც შეიძლება ჰქონოდა საფრანგეთთან დაახლოებას: ბალკანეთზე და მცირე აზიაში მოკავშირეთა ინტერესები არა თუ ერთი და იგივე არ არის, ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან კიდეც, რაც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული; გერმანიის იმპერიასთან რუსეთს საომარი არა აქვს რა და თუ გერმანია თვითონ მივიდოდა იერიშით რუსეთზე, საფრანგეთი კავშირ შეუკვრელადაც რუსეთის მხარეზე იქნებოდა. ერთის სიტყვით, როცა რუსეთი საფრანგეთს ეკვროდა კავშირით, ინგლისი ჰყავდა სახეში. ეხლა კი რას ვხედავთ? რუსეთის იმპერიის მოკავშირე საფრანგეთი არა თუ უახლოვდება რუსეთის შეურიგებელ მტერს, პირობითაც ეკვრება, რომ განსაზღვრულ შემთხვევებში სამედიატორო სამართალს გადასცენ სადავო საგნები.

არსებული საერთაშორისო კომბინაციები გამოუდეგარი შეიქნა მუდამ ცვალებად მოთხოვნილებათათვის და ამიტომაც მათ საფუძველი ეცლებათ ფეხ-ქვეშ.

ერთი გავლენიანი ბერლინელ გაზეთი სწერს, სხვათა შორის: „საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის კავშირს ჯერ არ მიუღია განსაზღვრული ფორმა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათი დაახლოება გვაგონებს ყირიმის ომის დროს, როცა ინგლისელები, ფრანგები და პიემონტელები ძმურად ებრძოდნენ რუსებს სებასტოპოლთან. საფრანგეთის პოლიტიკის ცვლილებამ არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ორთა კავშირზე—საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობაზე. რეალურ პოლიტიკის მხრივ ამ კავშირს საფრანგეთისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

გერმანული გაზეთი, რასაკვირველია, აჭარბებს რუსეთის მტრობით; რაც მას სურს, იგი უკვე არსებულად მიუჩნევია, სებასტოპოლის დროის კომბინაცია, შეიძლება, ბევრისთვის სასურველი იყოს, მაგრამ ჯერ იგი არ არსებობს. ერთი კი ცხადია—სამთა კავშირზე თუ ითქმის, რომ მხოლოდ ფორმალური, ნიადაგს მოკლებული კავშირია, მეტი საბუთია ვიფიქროთ, რომ ორთა კავშირი ნიადაგ-გამოცლილია, განსაკუთრებით რუსეთისათვის

---

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გერმანიის დემოკრატიის უკანასკნელმა პარტაიტაგმა, თუმცა შედეგი კონგრესისა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. გარეგნად, ფორმალურად გაიმარჯვეს შეურიგებლებმა: მიიღეს მათი ფორმულა. მაგრამ არსებითად კი საქმე ისევ ძველ მდგომარეობაშია, არაფერი არ გამოცვლილა. და არც შეიძლება გამოცვლილიყოს, რადგან სინამდვილე, საქმეთა ბუნებრივი მსვლელობა და განვითარება არ ემორჩ-ლება თუნდა დიდ კონგრესების დადგენილებასაც. რევიზიონისტები, იგივ ოპორტიუნისტები ვითომ დამარცხდნენ, გაიმარჯვეს ბებელმა და კაუტსკიმ, მაგრამ ეგრე კია ნამდვილად? ამ კითხვის საპასუხოდ მოვიყვანთ ერთ პატარა ადგილს პარტაიტაგის ანგარიშიდან. ფოლმარმა, სხვათა შორის, სთქვა ბებელზე—„იგი მზად არის ხმა არ ამოაღებინოს ყველას, ვინც კი გამოსთქვამს ისეთ აზრს, რომელიც მისას არ ეთანხმება. ბებელი: „სრულიადაც არა, აზრს, რომელიც არ ეთანხმება პარტიის ძირითად პრინციპებს". ფოლმარი: „საყვარელო ავგუსტ (ბებელის სახელია)! შენ და განსვენებულმა ლიბკნეხტმა ბევრი რამ მონათლეთ ღალატის სახელით. ბევრ შუშაზე დაგიწერია—„ფრთხილად! საწამლავია" და ეხლა კი შენ თვითონ სთვლი ამ შუშებს სასარგებლოდ. გაიხსენე 1869 წელიწადი: ლიბკნეხტმა ღალატი დაარქვა აკტიურ მონაწილეობას საკანონმდებლო მუშაობაში, შემდეგ კი თვითონ გახდა რეიხსტაგის წევრი. რას ამბობდი შენ თითონ 1893 წელს კელნის კონგრესის დროს პრუსიის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ? „ღალატია! მხოლოდ მტერს შეუძლია გვირჩიოს კენ-

ჭის ყრაში მონაწილეობის მიღება, სანამ ასეთი სამარცხვინო საარჩევნო სისტემაა“, ეხლა კი შენ თვითონ ხარ ნამდვილი მომხრე მონაწილეობის მიღებისა ყველა არჩევნებში პრუსიაში და კომუნებში. საპროფესიო კავშირებს, შენის აზრით, მივყავ-დით მუშათა მოძრაობის პროფანაციისაკენ, „პირდაპირ ჭაობ-ში“—ნამდვილი შენი სიტყვებია,—შრომის საზოგადოებრივ ბიუროს შენ ეძახდი მახეს, რომელსაც კაპიტალისტები უგებენ მუშებს, მუშების დაზღვევა, შენის შეხედულებით, იყო დამამ-ცირებელი მოწყალება, რომელიც არ უნდა აეღო არც ერთ თავის-თავის პატივისმცემელ პროლეტარს. ეხლა? მე არავის არ ვუსაყვედურებ, რომ პატიოსნად დარწმუნდა შეცდომაში და აზრი გამოიცვალა. მაგრამ ვინც თვითონ ზის მინის სახლში, სხვას ქვას არ უნდა ესროდეს!

„შეურიგებლობა და მართლმორწმუნეობა“ ან, უკეთ რომ ვსთქვათ, დოგმატისმი შეუფერებელი ყოფილა და არის ცვა-ლებად, მიმდინარე ცხოვრებისათვის. თვითონ ბებელისა და ვის თანამოაზრეთა პრაქტიკული მოღვაწეობაა ამის საუკეთესო საბუთი, რაც ცხადლივ გამოირკვა უკანასკნელ პარტაიტაგზე.

---

გერმანიის ერთ პატარა ქალაქში (სულ ჩვიდმეტი ათასი მცხოვრებია), იენაში (საქსონიის საზღვარზე, ლეიფციგის ახლო) არსებობს ერთი შესანიშნავი დაწესებულება—ოპტიური ქარ-ხანა, რომლის სახელი ცნობილია მთელ განათლებულ კაცობ-რიობაში.

1846 წელს კარლ ცეისმა დაარსა იენაში ეს ოპტიური ქარხანა და, რადგან შრომის მოყვარე და მცოდნე გერმანელს ძალიან უყვარდა თავის საქმე, ყოველ ღონეს ღონობდა, რომ ახლად დაარსებული დაწესებულება გაზრდილიყო და გამაგრე-ბულიყო. კარლ ცეისის შრომას და მაცადინობას ტყვილა არ ჩაუვლია და მისმა ფირმამ მალე დიდი სახელი შეიძინა.

სრული ოცდაათი წელიწადი უვლიდა და ულალავებდა კარლ ცეისი თავის საყვარელ საქმეს. მისი ახლო თანამშრო-მელი იყო ერნსტ აბბე, რომელიც 1875 წელს დამაარსებლის

ამხანაგი (კომპანიონი) გახდა. ამ დროიდან ცეისის დაწესებულება კიდევ უფრო აყვავდა.

1888 წელს, კარლ ცეისის სიკვდილის შემდეგ, საქმის პატრონი და ხელმძღვანელი ერნსტ აბბე გახდა.

ეს აბბე ჩვეულებრივი მექარხნე არ იყო. ცეისის არ იყოს, ამასაც დიდათ უყვარდა თვისი საქმე და მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ იგი მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა.

ასეთ შიზნის მისაღწევად აბბემ შჰექმნა მეტად თავისებური დაწესებულება თავის ოპტიურ ქარხნიდან და სახელად უწოდა პირველ დამაარსებელის—კარლ ცეისის დაწესებულება.

პირველი თავისებურება „კარლ ცეისის დაწესებულებისა“ ის არის, რომ იგი საქსონიის საერო განათლების სამინისტროს უწყებაშია. ყოველი დაწყებულება, აბბეს აზრით, ეკუთვნის ყველა იმას, ვინც კი ხელს უწყობს მის წარმატებას. წარმატების ხელის შემწყობნი კი არიან მუშები, სხვა მოხელენი, მეცნიერება და საზოგადოება.

ოპტიურ საქმისათვის ყველაზე მეტი, რასაკვირველია, მეცნიერებამ გააკეთა. ამიტომაც აბბემ შეჰქმნა ახლო დამოკიდებულება უნივერსიტეტთან და დაწესებულების მართვა-გამგეობა საერო განათლების სამინისტროს გადასცა.

სამინისტროს მაინცა და მაინც დიდი გავლენა არა აქვს „კარლ ცეისის დაწესებულებაზე“, იგი მხოლოდ თვალყურს ადევნებს, რომ არ დაირღვეს დაწესებულების სახელმძღვანელო წესდებულება. პირდაპირი მმართველი და ხელმძღვანელი მთელის დაწესებულებისა—ოპტიურ ფაბრიკისა და მინის ქარხნისა—არიან საგანგებო კომიტეტები. თითეული კომიტეტი ან სამმართველო შესდგება 2—4 წევრისაგან. კომიტეტის წევრებად ირჩევენ თვითონ დაწესებულებაში მოსამსახურეთ. როცა რომელიმე მოხელე სამმართველოს წევრად ხდება, წესდების ძალით, იგი თავისუფალი არ არის თავის წინანდელ თანამდებობის მოვალეობისაგან, თუმც ნამდვილად კი მთელ თავის დროს სამმართველოს საქმეს ანდომებს. კომიტეტის ან სამმართველოს წევრობისათვის მოხელე ცალკე ჯამაგირს არ იღებს: ეს უფრო

საპატიო თანამდებობაა. მუშის მდგომარეობაც სულ სხვანაირია კარლ ცეისის დაწესებულებაში.

ქირას იძლევიან იმის მიხედვით, თუ რამდენს გააკეთებს მუშა, მაგრამ არსებობს ქირის მინიმუმი და ამ მინიმუმზე ნაკლებს ვერც ერთ მუშას ვერ მისცემენ. ასეთი წესი გერმანიაში ზოგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებშიაც არის, მაგრამ კარლ ცეისის მუშის ოდენა ქირას არსად არ იღებენ. ყოველი მუშა, რომელსაც კი სამ წელიწადზე ნაკლები არ უმუშავნია დაწესებულებაში, იღებს საშუალოდ არა ნაკლებ ცხრაას მანეთისა. მაგრამ ბევრია ისეთი გამოცდილი და ნიჭიერი მუშა, რომ თვეში 100—150 მანეთს იღებს. სამაგიეროდ უფროს მოსამსახურეთა ჯამაგირი შედარებით ძალიან მცირეა. წესდების ძალით ვერც ერთი უფროსი მოსამსახურე ვერ აიღებს 9000 მანეთზე მეტს, ე. ი. მთელ დაწესებულებაში არც ერთი ჯამაგირი არ აღემატება ჩვეულებრივ მუშის ათ ჯამაგირს. საგანგებო შემთხვევები და პირობები უნდა იყოს, რომ უფროს მოხელის ჯამაგირი აღნიშნულ მაქსიმუმამდე (9000 მან.) ავიდეს. ჩვეულებრივი მუშისა და მოხელის ჯამაგირს შორის შედარებით ძალიან მცირე განსხვავებაა.

მუშის მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის წესდება ნებას არ იძლევა, რომ ერთხელ მომატებულ ქირას მოაკლდეს. მართალია, ამ გარემოების მიზეზით ქირის მომატება მძიმედ სწარმოებს, მაგრამ აბბე სხვა გზით სცდილობს მუშის ქირის გადიდებას: წესდების ძალით წმინდა მოგების ერთი წილი ეძლევა მუშებსა და მოხელეთ დამატების ქირის სახით. ჩვეულებრივ ეს დამატებითი ქირა უდრის თვიურ ჯამაგირს.

მოგებაში წილი არა აქვთ სამმართველოს წევრებს—საქმის ხელმძღვანელებს, ე. ი. სწორედ იმ პირებს, რომელნიც სააქციო კომპანიებში ითვისებენ მოგების უდიდეს ნაწილს.

აბბემ იმიტომ ჩააყენა სამმართველოს წევრები ასეთ მდგომარეობაში, რომ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ჯამაგირების დანიშვნა, საქონლის დაფასება და სხვა სწორედ ამ წევრების საქმეა; ამათ შეუძლიათ მიუმატონ და მოუკლონ წმინდა შემო

სავალს, რასაკვირველია, განსაზღვრულ საზღვრებში. სამმართველოს წევრებიც რომ იღებდნენ მოგების წილს, ამათ შეეძლოთ ხელოვნურად გაედიდებიათ წმინდა შემოსავალი. მუშისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სამუშაო დღის ოდნობას.

ბევრი საქმის პატრონი დიდი წინააღმდეგია სამუშაო დღის შემოკლებისა, რადგან, მათის აზრით, ასეთი შემოკლება დიდათ საზარალოა საქმისათვის, ზოგი ცოტას უთმობს მუშებს—ამოკლებენ სამუშაო დღეს, მაგრამ იმდენად მცირედ, რომ მუშა დიდ შეღავათს ვერა გრძნობს. პირველებიცა და მეორენიც იმ აზრის არიან, რომ აქ მუშისა და პატრონის ინტერესი შეურიგებელია. აბბეს აზრით კი ინტერესების ასეთ შეურიგებლობას ადგილი არა აქვს: საქმის პატრონი ყოველთვის არ აგებს, როცა სამუშაო დღეს ამოკლებს, არის საზღვრები, რომელთა შორის შეიძლება მუშისა და საქმის პატრონის ინტერესის შეთანხმება და შერიგება. საჭიროა მხოლოდ ამ საზღვრების გამონახვა. წარმოების სხვა და-სხვა დარგისათვის ეს საზღვრები სხვა-და-სხვანაირია. ამიტომ წარმოების ყოველ დარგისათვის საჭიროა საგანგებო გამოკვლევა. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს გამოკვლევა? ცოტაობით და თანდათანობით უნდა შემოკლდეს სამუშაო დრო და თან უნდა შეისწავლოს ამ შემოკლების გავლენა შრომის ნაყოფიერობაზე. თუ სამუშაო დღის შემოკლებას თან მოჰყვა შრომის ნაყოფიერობის მომატება, ცხადია, მოგებული საქმის პატრონიც არის და მუშაც. სანამ არ შევამჩნევთ შრომის ნაყოფიერობის შემცირებას, სამუშაო დღის შემოკლებაც შეიძლება ორივე მხრის სასარგებლოდ.

ასეთია შრომის საზოგადო პირობები „კარლ-ცეისის დაწესებულებაში“.

აბბე სხვა მხრივაც იჩენს მუშის ინტერესის პატივისცემასა და შეგნებას. ჯერ კიდევ 1875-ში შემოიღო მან „საავადმყოფო კასსა“, რომლის თანხა ივსებოდი მუშებისა და საქმის პატრონების გადასახადისაგან. 1884 წელს გერმანიის იმპერიაში დააწესეს მუშების სახელმწიფო დაზღვევა. „ცეისის“ საავადმყოფო

კასსაც შესაფერად შეიცვალა და უფრო წინაც წავიდა. მუშა რომ მთელი წელიწადიც იყოს ავად, საავადმყოფო კასსა მას შემწეობას აძლევს მთელის ამ ხნის განმავლობაში.

მუშა იხდის ამ კასისათვის თავის ქირის სამ პროცენტს, ამდენივე შემოაქვს საქმის პატრონსაც; სამაგიეროდ საავადმყოფო კასით სარგებლობა შეუძლია მუშის ოჯახის წევრებსაც.

მოხუც და უძლურ მუშათა უზრუნველყოფაც უკედ აქვს მოწყობილი აბბეს, ვიდრე ამას სავალდებულო კანონი თხოულობს.

იღებს პენსიას ყოველი მუშა, რომელიც კი ორმოც წლამდე შესულა დაწესებულებაში და რომელსაც არა ნაკლებ ხუთის წლისა უმსახურნია; სიკვდილის შემდეგ პენსია ეძლევა ცოლშვილს. თვითონ პენსიის რაოდენობა იმისაგან არის დამოკიდებული, თუ ვის რამდენი ხანი უმუშავნია. ხუთის წლის შემდეგ მუშას ეძლევა თვეში ასი მარკა (46 მ.), ათი წლის შემდეგ—120. 15 წლის შემდეგ—140. ყოველი წელწადი სამსახურისა 15 წლის შემდეგ ადიდებს პენსიას ქირის ერთი პროცენტით. პენსია არ უნდა იყოს ქირის 75 პროცენტზე მეტი. ასეთ პენსიას იღებს ორმოცის წლის ნამსახური მუშა, ქვრივს ეძლევა ქმრის პენსიის ოთხი მეათედი, ობოლს ორი მეათედი.

მეტად საყურადღებოა საპენსიო წესდების ერთი პარაგრაფი. ამ პარაგრაფის ძალით, შესაფერი დახმარება ეძლევა ისეთ მუშასაც, რომელსაც დაითხოვენ სამსახურიდან, თუ სამსახურიდან დათხოვის მიზეზი რამე დიდი დანაშაული არ იყო. ჩვეულებრივ ასეთი შემწეობა უდრის წლის ჯამაგირის ნახევარს.

აბბე მარტო მუშის მომავალზე არა ჰფიქრობს, იგი სცდილობს შეუმსუბუქოს მას მდგომარეობა თვით ქარხანაში მუშაობის დროსაც. რადგან მუდმივ, ერთგვარ და განუწყვეტელ შრომას მეტად ცუდი გავლენა აქვს მუშის სხეულსა და სულზე, აბბემ შემოიღო დროებით განთავისუფლება მუშები

სა, რომ რამდენიმე დღე მაინც სრულებით თავისუფლად ამოისუნთქონ. გარდა ამისა, თუ მუშა მოისურვებს გამოფენაზე ან შესაფერ კრებაზე დასწრებას, ცეისის დაწესებულება არა თუ წასვლის ნებას აძლევს, ხელსაც უწყობს. რასაკვირველია, რომ ამ დროებით განთავისუფლების დროსაც მუშა თავის ქირას იღებს.

ცეისის დაწესებულებაში რომ აბანოც არის, სკოლაც, სამკითხველოც და სხვა ამ გვარები, ამას ლაპარაკიც არ უნდა. ასეთი დაწესებულებანი თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნებშია გერმანიაში („ბაკინ. იზვესტია").

რედაქტორი
ალ. ჭყონია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი